

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტი

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

იურიდიული კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორები“

ლადო ჭანტურია 55

საიუბილეო გამოცემა

დimitრი გეგენავას რედაქტორობით



დავით ბატონიშვილის
სამართლის ინსტიტუტის
გამომცემლობა

ლადო ჭანტურია 55

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018

Lado Chanturia 55

Prince David Institute for Law Publishing, 2018

რედაქტორი

ასოც. პროფ. დოქტ. დიმიტრი გეგენავა

EDITOR

Assoc. Prof. Dr. Dimitry Gegenava

© ავტორები/Authors, 2018

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი/Prince David Institute for Law, 2018

ISBN

რედაქტორისგან

თანამედროვე ქართული სამართლებრივი სკოლა ნიჭიერი, განათლებული და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მქონე იურისტებს ნამდვილად არ უჩივის. ჩვენს იურიდიული საზოგადოებაში უამრავი ტიპის ადამიანს შეხვდები, – გამოცდილს, ახალბედს, ანალიტიკურად მოაზროვნეს, განვითარებაზე ორიენტირებულს, თუ წარსულში ჩარჩენილს, ტოტალიტარიზმის მარწმუნებით შემოჭილებს, გამბედაობამოკლებულ იურისტებს, რომლებიც ასე არ უყვარდა გუსტავ რადბრუხს. ამ ჭრელ საზოგადოებაში არიან ისინიც, ვინც შეძლო არა მხოლოდ წარმატებისთვის მიეღწია, სახელი გაეთქვა და განვითარებულიყო, არამედ დარჩენილიყო ადამიანად, ამ სიტყვის უპირველესი, ყოველგვარი დანამატისგან განძარცვული გაგებით, ადამიანად, რომლის ღირსება, პროფესიონალიზმთან ერთად, უპირველესად, კვლავაც ადამიანობაა. სწორედ ასეთი პიროვნებაა პროფესორი ლადო ჭანტურია – პროფესორი, მოსამართლე, მოაზროვნე და რაც მთავარია, ადამიანი.

ლადო ჭანტურიას სანამ უშუალოდ გაიცნობ, მისი სახელიდან, ავტორიტეტიდან, გამოცდილებიდან, აკადემიზმიდან გამომდინარე, მისი პიროვნების მიმართ განსაკუთრებული კრძალვა გაქვს. მას შემდეგ, რაც პირადად შეხვდები და პიროვნულად მეტს გაიგებ მასზე, შეუძლებელია ეს კრძალვა არ გაათმავდეს, უფრო მეტიც, ყოველივე ამას განცვიფრებაც არ დაემატოს მისი შინაგანი უბრალოების გამო. ამ და უამრავი სხვა მიზეზის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო, პატივი არ მიგვეგო პროფესორ ჭანტურიას მოღვაწეობისთვის და არ გაგვეგრძელებინა ის კარგი ტრადიცია, რომელსაც დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა საფუძველი 2013 წელს ჩაუყარა.

წარმოდგენილ კრებულში გაერთიანებულია ძალიან საინტერესო ნაშრომები სამართლის სხვადასხვა დარგიდან, არაჩვეულებრივი პროფესიონალების ავტორობით. მინდა, მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის და ქართულ სამართლებრივ სივრცეს მათი კიდევ უამრავი ნაშრომი ვუსურვო. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტს, ასევე, სულხან-

საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტსა და იურიდიულ კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორებს“. რომ არა ასეთი ინსტიტუტები და მათი წარმომადგენლები, ეს კრებული არ შეიქმნებოდა.

ვიმედოვნებ, კრებული საინტერესო აღმოჩნდება მკითხველისთვის და სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას მიიღებს. პროფესორ ლადო ქანტურიას კი ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ წინსვლას და რაც მთავარია, სულიერ სიმტკიცეს იმ მომავალი წარმატებისათვის, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მრავლად ექნება ცხოვრებაში.

ასოც. პროფ. დიმიტრი გეგენავა

დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის დირექტორი

შინაარსი

„ნდობის ზიანის“ მნიშვნელობა, ანაზღაურების საფუძვლები და ფარგლები გარიგებებში წარმომადგენლობისას..... 1

აკაკი გაწერელია

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები..... 10

გიორგი უსტიაშვილი

მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება - სირთულე სასამართლო პრაქტიკაში 25

თათია ჯორბენაძე

ასოცირების ხელშეკრულების გავლენა სასაქონლო ნიშნის დაცვის სამართლებრივ რეფორმაზე 39

მარიამ ლუბიანური

სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერის გასაჯაროების თავისუფლების სამართლებრივი ფარგლები 53

სერგი ჯორბენაძე

ევროკავშირის სტრუქტურა, კომპეტენციები და ევროკავშირში განვერიანების სტანდარტები 67

მარიამ ჯიქია

დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში: შოტლანდიის გაზრდილი
უფლებები სოციალურ-ეკონომიკურ და საგადასახადო-
საფინანსო სფეროებში 81

გიორგი გორაძე

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების
უკუძალა 101

დავით გუჩმაზაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური
კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები 117

დიმიტრი გეგენავა, პაატა ჯავახიშვილი

გარანტირებული სიმძლავრე: სამართლებრივი მონესრიგება და
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 142

მაკა ფარცვანია

„ნდობის ზიანის“ მნიშვნელობა, ანაზღაურების საფუძვლები და ფარგლები გარიგებებში წარმომადგენლობისას

აკაკი განერელია*

I. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გარიგებებში წარმომადგენლობითი ურთიერთობების მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმების განსაზღვრისა და შემდგომში, სასამართლო პრაქტიკაში მათი სწორი გამოყენების მთავარი წინაპირობა ამ ურთიერთობების მონაწილე მხარეთა ინტერესების თანაფარდობის დაცვაა¹. უდავოა, რომ წარმომადგენლის ბრალეული მოქმედებით დამდგარი ნეგატიური შედეგებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ წარმომადგენელს უნდა დაეკისროს. თუმცა, ასევე, განსახილველია საკითხი, ადგენს თუ არა სამოქალაქო კოდექსი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას იმ შემთხვევებშიც, როცა მას ბრალი არ მიუძღვის.

როგორც ცნობილია, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი სახე ზიანის ანაზღაურებაა. ზიანის ლეგალური დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურაში ზიანის სხვადასხვა სახეს გამოჰყოფენ. მათგან ყველაზე აბსტრაქტული ბუნებისაა ე.წ. „ნდობის ზიანი“, რამდენადაც, მისი მნიშვნელობა და ანაზღაურების ფარგლები პირდაპირ არ არის დადგენილი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით და იგი მხოლოდ შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განისაზღვრება.

* დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი, იურიდიული კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორების“ მმართველი პარტნიორი.

¹ ერქვანია თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(34)12, 28.

სტატიის მიზანია, მიმოიხილოს გარიგებებში წარმომადგენლობისას „ნდობის ზიანის“ ანაზღაურების საფუძვლები, წინაპირობები და შესაბამისი მასშტაბის შესახებ არსებული ინფორმაცია. ამასთან, ნაშრომი არ ეხება ნაკლიანი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი პირის ზოგადი პასუხისმგებლობის საკითხებსა და წარმომადგენლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევებს, როდესაც მესამე პირმა (მეორე მხარემ) იცოდა, ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ.

II. ზიანის არსი

ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება გამოიყენება ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას.² სამოქალაქო კანონმდებლობა ზიანის სხვადასხვა სახეს/კატეგორიას ადგენს. დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ძირითადად ზიანის შემდეგი სახეები გამოიყოფა: 1. ქონებრივი/არაქონებრივი; 2. სახელშეკრულებო/არასახელშეკრულებო, 3. პოზიტიური/ნეგატიური (ინტერესი)³; 4. გარკვეულწილად ზიანის სახეს განეკუთვნება, ასევე, პირგასამტეხლო და პროცენტი⁴.

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის (ვალდებულების შეუსრულებლობის) ყველა შემთხვევის ძირითადი სამართლებრივი შედეგი დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან.⁵ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ცენტრალური

² ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2014, 192.

³ ნაგულისხმებია მაგ., ფაქტობრივად დამდგარი ზიანი/მიუღებელი შემოსავლით გამოწვეული ზიანი.

⁴ იგულისხმება, ზიანის ანაზღაურების სახით დაიცხული პროცენტი. იხ. ასევე, სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 657.

⁵ ბილინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 31.

და უზოგადესი ნორმის – სკ-ის 394-ე მუხლის, დისპოზიციიდან და განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს⁶.

სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების დამდგენ ზოგად წესებთან ერთად, ვალდებულების სამართლის კერძო ნაწილი მოიცავს ზიანის ანაზღაურების სპეციალურ ნორმებსაც (მაგ., ნასყიდობა, ნარდობა, ქირავნობა და ა.შ.)⁷. რამდენადაც ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან, არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა ეფუძნებოდეს სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ნორმებს (ანაზღაურების მოთხოვნის დამდგენ ინსტიტუტებს), რომლებიც არ ექცევა სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობების როგორც ზოგად, ისე კერძო წესების მომწესრიგებელ დებულებებში⁸. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში რთულია განისაზღვროს, ატარებს თუ არა კონკრეტული ვალდებულების დარღვევა არასახელშეკრულებო ხასიათს, რადგანაც მისი არასახელშეკრულებო ხასიათის მქონედ აღიარება ხშირად შეუძლებელია. ამდენად, ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის განხილვისას უნდა დადგინდეს, ცდება თუ არა ვალდებულების დარღვევა სახელშეკრულებო, მათ შორის, არაძირითადი ვალდებულების დარღვევის ფარგლებს.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესაძლოა ეფუძნებოდეს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებების (მაგ. სკ-ის 79-ე, 113-ე მუხლები), სანივთო სამართლის (მაგ. 197-ე მუხლი), ან კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების (მაგ., სკ-ის 970

⁶ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2014, 194.

⁷ ბილინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 45.

⁸ იხ., სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 649.

II, 974 I, 976 I, 982-ე, 986-991-ე, 992-ე და ა.შ.) მომწესრიგებელ დებულებებს.⁹

როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ განსაზღვრავს.¹⁰ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ტერმინი „ზიანი“ მოიაზრებს „ნებისმიერ უარყოფით შედეგს“, რაც, ასევე, გულისხმობს როგორც „დანაკარგს“ (ეკონომიკური/არაეკონომიკური), ისე „დაზიანებას“ (მაგ., სხეულის დაზიანება), ხოლო ზიანის ობიექტური და ადეკვატური განმარტება უნდა ხდებოდეს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული სპეციფიკის გათვალისწინებით¹¹. ამდენად, ზიანი შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც ნებისმიერი არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რაც გამომწვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზრდით, ასევე, შემოსავლის მიუღებლობით¹².

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლებში მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა შინაარსი და წინაპირობები, რომელთა მოქმედება არ შემოისაზღვრება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით ან სახელშეკრულებო სამართლით, შესაბამისად, ძალაშია ყველა სხვა კანონისმიერი ურთიერთობის შემთხვევაში დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის¹³. ამდენად, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამდგენი ყველა დანაწესი ექცევა 408-ე-415-ე მუხლებით გათვალისწინებულ მასშტაბებში.

⁹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, 115.

¹⁰ სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 646.

¹¹ იქვე, 649.

¹² რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის კომენტარი, 5; <<http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-მეოთხე/მუხლი-408/>> [11.05.2018]

¹³ იქვე, 1-2.

III. „ნდობის ზიანის“ მნიშვნელობა და ანაზღაურების ფარგლები

სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ხელშეკრულების დადებისას წარმომადგენლის პასუხისმგებლობას (ნაკისრი ვალდებულების თავად შესრულების, ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას), თუ ეს უკანასკნელი წინდანივე მოქმედებდა სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე და თუ ხელშეკრულების დადების შემდგომაც, წარმომადგენელი პირის მიერ ხელშეკრულებაზე თანხმობა არ იქნება გაცხადებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, საგამონაკლისო წესით, ადგენს წარმომადგენლის ქმედებით გამოწვეული, მხოლოდ იმ სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მეორე მხარეს მიაღდა იმის გამო, **რომ იგი ენდო წარმომადგენლის ამ უფლებამოსილებას**. შესაბამისად, წარმომადგენლის პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა მხოლოდ ამ უფლებამოსილების ნაკლის შესახებ პოზიტიურ ცოდნაზეა დამოკიდებული.

პასუხისმგებლობის შემსუბუქების ამგვარ მიდგომას განაპირობებს ის გარემოება, რომ ნაკლის შესახებ ინფორმაციის არმქონე წარმომადგენელს არ შეიძლება იმავე მოცულობით დაეკისროს პასუხისმგებლობა, რა მოცულობითაც პასუხს უნდა აგებდეს ამ უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ინფორმირებული წარმომადგენელი¹⁴. ამდენად, ქართველი კანონმდებელი, 113-ე მუხლის მე-2 ნაწილში, ე.წ. ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების სახით, პასუხისმგებლობის სპეციალურ სახეს განსაზღვრავს, თუმცა, იმავედროულად, **პირდაპირ არ აზუსტებს, თუ რას მოიცავს ეს ე.წ. „ნდობის ზიანი“ და რა მოცულობით უნდა აგოს კეთილსინდისიერმა წარმომადგენელმა პასუხი**.

დოქტრინაში არსებული განმარტებით, „ნდობის ზიანი“ (ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი) გულისხმობს ზიანს, რომელიც მხარეს იმის შედეგად წარმოეშვა, რომ **ენდო პარტნიორის წინადადებას** და შევიდა მასთან სამართლებრივ

¹⁴ BeckOK BGB/Schäfer BGB §179 Rn. 25.

ბოჭვაში¹⁵. შესაბამისად, „ნდობის ზიანი“ მოიცავს ქონებრივ დანაკლისს, რომელიც დაზარალებულ პირს წარმოეშვა იმის გამო, რომ იგი **ენდო ნების გამოვლენის ნამდვილობას** და მისი **შემდგომი მოქმედება სწორედ ამ ნდობის საფუძველზე განხორციელდა**¹⁶. სწორედ „ნდობის ზიანის“ ამგვარი განმარტების საფუძველზე, მისი ანაზღაურება შემოისაზღვრება მხოლოდ მხარის ნეგატიური ინტერესით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნეგატიურ ინტერესს უპირისპირდება შესრულების ინტერესი (პოზიტიური ინტერესი). კერძოდ, განსხვავებით შესრულების ინტერესისგან, ნეგატიური ინტერესისას უფლებამოსილ პირს არ შეუძლია მოითხოვოს იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელშიც იგი აღმოჩნდებოდა ნების გამოვლენის ნამდვილობის შემთხვევაში, კერძოდ, **მას არ შეუძლია იმ სარგებლის მოთხოვნა, რომლის მიღებასაც იგი ისახავდა მიზნად ნივთის შემდგომი რეალიზაციით**¹⁷. „ნდობის ზიანის“ ანაზღაურება არ მოიაზრებს ნატურით რესტიტუციას და ეხება მხოლოდ ფულადი თანხის ანაზღაურების ვალდებულებას, რომლის ოდენობაც იმ ინტერესის პროპორციულია, რაც მესამე პირს კონკრეტული შესრულების მიმართ ჰქონდა¹⁸.

IV. „ნდობის ზიანის“ ანაზღაურება, როგორც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სახე გარიგებებში წარმომადგენლობისას

ზოგადი წესის თანახმად, ზიანის ანაზღაურების გამოყენების წინაპირობად, მხოლოდ ვალდებულების ბრალეული დარღვევა

¹⁵ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 415.

¹⁶ იქვე; იხ. ასევე, BGH NJW 1984 1950.

¹⁷ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის, თ. დარჯანიას და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 46-47.

¹⁸ ერქვანია თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(34) 12, 32.

მოიაზრება.¹⁹ განსხვავებით ანგლოამერიკული სამართლისგან, სადაც ვალდებულების დარღვევის წინაპირობად ბრალის არსებობის განსაზღვრით დასაწყისშივე გამოირიცხება არაბრალეული შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება,²⁰ საქართველოში ამგვარი მიდგომა საკანონმდებლო დონეზე არ წესრიგდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას პირის ბრალეული მოქმედების გარეშეც, რასაც, სამოქალაქო კოდექსითვე გათვალისწინებული, კონკრეტული შემთხვევების მონესრიგების მიზნით, სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი წინდახედულობის განსაკუთრებულად მაღალი სტანდარტით არსებობის ვალდებულება განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადებისას წამომადგენელმა არ იცოდა, – მას არ გააჩნდა სათანადო უფლებამოსილება (მნიშვნელობა არა აქვს ეს გარემოება წარმომადგენლის გაუფრთხილებლობას უკავშირდებოდა თუ არა), სამოქალაქო კოდექსი არ ანიჭებს ხსენებულ ფაქტს არსებით მნიშვნელობას, რადგანაც წარმომადგენლის მიერ სათანადო გულისხმიერების გამოვლენის შემთხვევაშიც, აღნიშნული გარემოების აღკვეთის შეუძლებლობის დროსაც კი, იგი ვალდებული იქნება აუნაზღაუროს მესამე პირს ნდობის ზიანი²¹.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რატომ უნდა აგოს მოცემულ შემთხვევაში პასუხი მხოლოდ წარმომადგენელმა და კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, რატომ არ უნდა განაწილდეს პასუხისმგებლობა მესამე პირსა (მეორე მხარე) და ბრალის გარეშე მოქმედ წარმომადგენელს შორის. ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ანაზღაურებას

¹⁹ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2014, 192.

²⁰ იქვე, 194.

²¹ ერქვანია თ., მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(34)12, 32.

დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, ანგარიშს არ უწევს თუ ბრალის რომელი ფორმითაა ვალდებულების დარღვევა გამოხატული, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ კეთილსინდისიერების უნივერსალური პრინციპიდან გამომდინარე, გათვალისწინების კრიტერიუმი არ უნდა მიემართებოდეს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობას მხოლოდ განზრახი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, რაც მიზანშეწონილია აისახოს ქართულ სამოქალაქო კოდექსშიც²².

V. დასკვნა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს გამონაკლის წესებს, რომლის თანახმად, თუ პირის ქმედება, სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ წინდახედულობის სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, ბრალეულად შეირაცხება, კონკრეტული ურთიერთობის ბუნებისა და ბრალის ხარისხიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა მაინც გათავისუფლდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან. მსგავს შემთხვევებია, მაგალითად, როდესაც პირი მოქმედებდა წინდაუხედავად, თუმცა ვითარების ობიექტურად შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ მისი ეს მოქმედება ხარისხობრივად ვერ ექცევა სამოქალაქოსამართლებრივი დასჯის არეალში.²³ ნიშანდობლივია, რომ სკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ბრალის არარსებობის მიუხედავად, მართალია, შეზღუდულად, მაგრამ მაინც აკისრებს წარმომადგენელს პასუხისმგებლობას.

ამდენად, „ნდობის ზიანის“ სამართლებრივი ბუნებისა და მისი ანაზღაურების ფარგლების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ თუ პირს, წინდახედულობის ვალდებულების დაბალი ხარისხით დარღვევისას (მარტივი გაუფრთხილებლობისას) შესაძლოა გამოერიცხოს პასუხისმგებლობა, მიზანშეწონილი იქნება, თუ სამოქალაქო კოდექსის 113 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი

²² ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2014, 199.

²³ იხ. მაგ., სკ-ის 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

განიმარტება არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ შეფასდება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებისა და ზიანის დადგომაში მხარეთა (წარმომადგენლის/მესამე პირის) მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრის საფუძველზე.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები

გიორგი უსტიაშვილი*

Legislators are the unacknowledged poets of the world
- Ronald Dworkin (1982)

I. შესავალი

სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოები სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ როგორც კერძო სამართლის სუბიექტები. სხვადასხვა ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანოები სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან. ზოგადად, სამოქალაქო ბრუნვაში სახელმწიფოს და სახელისუფლებო ორგანოების მონაწილეობის პრინციპები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით.¹

სახელმწიფოს ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებთან განპირობებულია პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოებებით. ერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს შესვლა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში საჯარო ხელისუფლების განხორციელების და მისი ეკონომიკური ფუნქციების შესრულების ნაწილი შეიძლება იყოს, ხოლო სხვა შემთხვევაში, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობა შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი გარიგება.

კერძო სამართლის სუბიექტებთან სახელმწიფოს და მისი ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთობა, რომელიც დაკავშირე-

* სამართლის მაგისტრი (MA, LL.M.); დოქტორანტი (Regensburg Universität), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი, ადვოკატი, სს „მარგებლის“ იურიდიული განყოფილების უფროსი.

¹ იხ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ.1, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 47-51.

ბულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების განხორციელებასთან, სპეციალური სამართლებრივ რეჟიმით განისაზღვრება, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში საჯარო და კერძო პარტნიორობით (Public-Private Partnership, შემოკლებით PPP ან P3) არის ცნობილი.²

საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონტექსტში, სახელმწიფო კერძო სექტორის მეშვეობით ახორციელებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მაგ., გზების და ხიდების მშენებლობა, ელექტროსადგურების მშენებლობა, რკინიგზის მშენებლობა და ოპერირება, საზღვაო პორტებისა და აეროპორტების მშენებლობა და მართვა და სხვა. გარდა აღნიშნულისა, კერძო სექტორის რესურსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯანდაცვაში, განათლებაში, თავდაცვის სფეროში, პენიტენციურ სისტემაში და ა.შ.

საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის შორის თანამშრომლობა მიმდინარეობს სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით, სახელმწიფო კერძო სექტორთან ურთიერთობს პირდაპირ, ადმინისტრაციული ორგანოების ან სათანადო საჯარო სამართლის იურდიული პირების მეშვეობით, ხოლო ზოგიერთი ურთიერთობა ხორციელდება არაპირდაპირი გზით, სახელმწიფოს ასი პროცენტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის სუბიექტების მეშვეობით.

საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის საკითხი საკანონმდებლო დონეზეა მოწესრიგებული. არსებობს სპეციალური კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკი (EBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), აგრეთვე, წამყვანი საერთაშორისო იურდიული კომპანიები.³

² International Handbook on Public-Private Partnership, Edited by G.A. Hodge, C. Greve and A.E. Boardman, Edward Elgar Publishing, 2010, 17.

³ იხ., „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, 33-34. <<http://bit.ly/2F8c93e>> [03.03.2018].

გარდა აღნიშნულისა, საჯარო და კერძო სექტორის შორის თანამშრომლობის საკითხები, ასევე, წესრიგდება მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის N245 დადგენილებით.⁴

საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იგი ხელს შეუწყობს სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარებას, კერძო სექტორის მეშვეობით სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის განხორციელებას და საბოლოო ჯამში, საქართველოში ინვესტიციების შემოძინებას.

სტატიაში განიხილება საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის არსი და მისი კონცეპტუალური საკითხები, ასევე, საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ფორმები. ნაშრომის ფარგლებში დაისახება რამოდენიმე რეკომენდაცია საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით.

II. საჯარო და კერძო თანამშრომლობა, ნიშნები და სახეები

1. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ცნება

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმები და სავალდებულო სამართლებრივი ნიშნები. საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მიზანია, სახელმწიფომ კერძო სექტორის მეშვეობით უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლება, სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, თანამშრომლობს კერძო სექტორთან, კერძო სამართლის იურდიულ ან ფიზიკურ პირებთან.⁵ საჯარო და კერძო თანამშრომლობა შე-

⁴ იხ., საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 ივნისის №245 დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“.

⁵ Reimann W., *Corporate Law - Drafting of Corporate Contracts with Reference to Tax Law*, Stuttgart, 2015, 210.

იძლება ემყარებოდეს სახელშეკრულებო და არა სახელშეკრულებო ფორმებს.⁶

საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის თანამშრომლობა ხორციელდება ენერგეტიკის სექტორში, ტრანსპორტის მიმართულებით, ჯანდაცვისა და განათლების საკითხებში და ა.შ. მაგ., საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონტექსტში შესაძლებელია კერძო სექტორის მეშვეობით ჰიდროელექტრო სადგურების, საგზაო კომუნიკაციების, რკინიგზის, მეტროს სადგურების, სკოლების, უნივერსიტეტების მშენებლობა და სხვ. საჯარო და კერძო თანამშრომლობა, აგრეთვე, ხორციელდება პენიტენციურ და თავდაცვით პროექტებში, მაგ., ციხეების მშენებლობა, მაღალი ტექნოლოგიის საფრენი აპარატების შექმნა და ა.შ. შესაბამისად, საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის სფეროები პრაქტიკაში შეზღუდული არაა.

საჯარო და კერძო თანამშრომლობა ემყარება სასყიდლიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებს. თითოეულ მხარეს აქვს საკუთარი ეკონომიკური ინტერესები. საჯარო სექტორს, ანუ სახელმწიფოს, სურს განახორციელოს საჯაროსამართლებრივი ეკონომიკური ფუნქციები, შექმნას და განავითაროს ქვეყნის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ხოლო კერძო სექტორს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სურთ, სახელმწიფოს დაკვეთიდან მიიღონ ეკონომიკური სარგებელი, ანუ მოგება.

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობისას, ერთ მხარეს ყოველთვის იმყოფება საჯარო სამართლის სუბიექტი, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სპეციალური სამეწარმეო ორგანიზაციები, ხოლო ურთიერთობის მეორე მხარეს ყოველთვის არის კერძო სამართლის რეზიდენტი ან არარეზიდენტი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ბანკები და ა.შ.

პრაქტიკაში, საჯარო და კერძო მხარეებს შორის ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს სახელშეკრულებო ან არა სახელშეკრუ-

⁶ იქვე.

ლებო ფორმით. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის ფორმების კლასიფიკაცია შემუშავებულია ევროკომისიის მიერ და იყოფა სახელშეკრულებო ფორმის საჯარო და კერძო თანამშრომლობად და ინსტიტუციური ფორმის საჯარო და კერძო თანამშრომლობად.⁷ სახელშეკრულებო თანამშრომლობისას, მხარეებს შორის იდება კომპლექსური გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლითაც დაწვრილებითაა განერილი განსახორციელებელი პროექტის არსი, ვადები, მხარეთა უფლება-მოვალეობა, კერძო სექტორის მხრიდან ინვესტიციის მოცულობა და კერძო სექტორის ეკონომიკური სარგებელი, ანუ მოგების მიღების პირობები. ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობისას, საჯარო და კერძო მხარეები აფუძნებენ ერთობლივ სამეწარმეო ორგანიზაციას და მისი მეშვეობით ახორციელებენ შეთანხმებულ პროექტს.⁸

საჯარო და კერძო სექტორს შორის არსებული ურთიერთობა კომპლექსური სამართლებრივი მოწესრიგების ქვეშ ექცევა. აღნიშნული ურთიერთობა წესრიგდება როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლით. საჯარო სამართლით განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება და კომპეტენციის ფარგლები, კერძო პარტნიორის შერჩევის წესები და ა.შ. ხოლო კერძო სამართლით წესრიგდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ჩამოყალიბებული კონკრეტული კერძო ხასიათის კომერციული ურთიერთობები. აღნიშნულ ურთიერთობებზე მეტწილად სამოქალაქო, საკორპორაციო და საერთაშორისო კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა ვრცელდება.

საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთობა, აგრეთვე, შეიძლება განხილულ იქნეს ინვესტიციების მოზიდვისა და დაცვის კონტექსტშიც. აღნიშნულ ურთიერთობაში კერძო სუბიექტებად უმეტეს შემთხვევაში გამოდიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. შესაბამისად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის გამართული საკანონმდებლო ბაზის არსებობით, სახელმწიფო ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნასაც უზრუნველყოფს.

⁷ იქვე, 213.

⁸ იქვე.

2. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ნიშნები

საჯარო და კერძო სექტორს შორის შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ ყველა ურთიერთობა არ შეიძლება შეფასდეს საჯარო და კერძო თანამშრომლობად. საერთაშორისო პრაქტიკითა და იურიდიული დოქტრინის მიერ შემუშავებულია გარკვეული ნიშნები, რომლებიც საჯარო და კერძო თანამშრომლობის არსებობას განაპირობებს. აღნიშნული ნიშნებია: ა) სამართლებრივი ურთიერთობა უნდა არსებობდეს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ან ადგილობრივ ორგანოებსა და კერძო სამართლის სუბიექტს შორის;⁹ ბ) საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა შეეხება კონკრეტულ ეკონომიკურ/ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლის განხორციელებაც დროშია შეზღუდული;¹⁰ გ) საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობისას თითოეული მხარე პროექტში საკუთარ რესურსს დებს, რაც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად;¹¹ დ) საჯარო და კერძო სექტორს სხვადასხვა ეკონომიკური მიზნები აქვთ, თუმცა საერთო პროექტის ფარგლებში ერთმანეთს ავსებენ;¹² ე) საჯარო და კერძო თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა გზით, მეტწილად სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო ფორმით; ვ) საჯარო და კერძო თანამშრომლობა ორიენტირებულია მოგებაზე და პროექტის ფარგლებში მიღებული შემოსავალი სტიმულირებას ახდენს კერძო სექტორის მიერ თანამშრომლობის გაგრძელებაზე.¹³

3. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმები

3.1. ინსტიტუციური თანამშრომლობა

საჯარო და კერძო სექტორს შორის შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ფორმის ურთიერთთანამშრომლობა, თუმცაღა, ევრო-

⁹ იქვე, 212-213.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

კომიისის თანახმად, საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა იყოფა ორ ჯგუფად, – ინსტიტუციური თანამშრომლობა და სახელშეკრულებო თანამშრომლობა.¹⁴ ინსტიტუციური ფორმით საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს (ადმინისტრაციული ორგანოები) და კერძო სუბიექტის მიერ იქმნება სპეციალური ერთობლივი სამეწარმეო საზოგადოება – იურიდიული პირი, რომლის მეშვეობითაც საჯარო და კერძო პროექტი ხორციელდება. პრაქტიკაში, აგრეთვე, არსებობს ერთობლივი კომპანის შექმნის სხვა გზაც, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, კერძო პირზე – პოტენციურ ინვესტორზე, ყიდის აქციებს ან წილს, შესაბამისად საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობა ყალიბდება. ზემოხსენებული წესით ერთობლივი კომპანის ფორმირების პროცესი წესრიგდება საკორპორაციო კანონმდებლობით, როგორც წესი, ამ შემთხვევაში არ არსებობს ერთობლივი კომპანიის სპეციალური სტატუსი და დაფუძნების დამატებითი საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ერთობლივი კომპანიის დაფუძნების შემდეგ, საჯარო და კერძო პარტნიორს შორის კომერციული ურთიერთობა წესრიგდება კომპანიის წესდებით და სათანადო აქციონერთა ხელშეკრულებით (Shareholders' Agreement). სხვა დებულებებთან ერთად, აქციონერთა ხელშეკრულებით განისაზღვრება ერთობლივი პროექტში მხარეების ვალდებულებულებები, ინვესტიციის მოცულობა და კერძო ინვესტორის მიერ პროექტიდან მოგების მიღების წესები. პრაქტიკაში, აქციონერთა ხელშეკრულებაში, საგანგებოდ გაინერება ხოლმე პროექტის დასრულების შემდეგ კომპანიის ბედი და ერთ-ერთი მხარის მიერ წილის გამოსყიდვისა და გადაცემის იურიდიული მექანიზმები.

3.2. სახელშეკრულებო თანამშრომლობა

საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორული თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იურიდიული მექანიზმია სახელშეკრუ-

¹⁴ International Handbook on Public-Private Partnership, Edited by G.A. Hodge, C. Greve and A.E. Boardman, Edward Elgar Publishing, 2010, 217.

ლებო ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, საჯარო სექტორს – სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისულების ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და კერძო სექტორს – კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შორის იდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კერძო სექტორი ვალდებულებას კისრულობს, სარგებლის სანაცვლოდ შეთანხმებული ინფრასტრუქტურული პროექტი (მშენებლობა, ოპერირება და ა.შ.) განხორციელოს.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დადებულ ხელშეკრულების მიმართ კერძოსამართლებრივი ნორმები ვრცელდება, საჯარო და კერძო სექტორს შორის ხელშეკრულება არის ორმხრივი, შერეული ტიპის, სასყიდლიანი და კონსენსუალური. საჯარო და კერძო თანამშრომლობისას, მხარეთა უფლებები და მოვალეობები წესრიგდება სამოქალაქო კოდექსისა და სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით.

საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის სხვადასხვა ტიპი. ხელშეკრულების ტიპოლოგია მათი კომერციული შინაარსის მიხედვით ხდება.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის, პრაქტიკაში შესაძლებელია დაიდოს შემდეგი სახის ხელშეკრულებები:

საოპერაციო მოდელის ხელშეკრულება – ხელშეკრულების კერძო სუბიექტის ვალდებულებათა, ინფრასტრუქტურული ობიექტის დაგეგმვა, დაფინანსება და აშენება.¹⁵ ინფრასტრუქტურული ობიექტის აშენებისათვის ფინანსების მოზიდვა ხდება სესხის სახით ბანკიდან, რომელიც იფარება ექსპლოატაციის შედეგად მიღებული შემოსავლებისგან.¹⁶ პროექტის ფარგლებში ხელშეკრულების კერძო სუბიექტი მოქმედებს თავისი ან საჯარო მხარის, მაგ., მუნიციპალიტეტის, სახელით. როგორც წესი, საოპერაციო მოდელის ხელშეკრულება იდება კონცესიის ფორმით;¹⁷

¹⁵ Reimann W., *Corporate Law - Drafting of Corporate Contracts with Reference to Tax Law*, Stuttgart, 2015, 213-214.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე.

მენეჯმენტის მოდელის ხელშეკრულება – ამ შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტის მესაკუთრეა ხელშეკრულების საჯარო მხარე, ხოლო კერძო მხარე, ანაზღაურების სანაცვლოდ მხოლოდ ინფრასტრუქტურული ობიექტის მენეჯმენტს ახორციელებს.¹⁸ მენეჯმენტის მოდელი ითვალისწინებს ობიექტის მართვას, შეკეთებას, აგრეთვე, ტექნიკურ და კომერციულ მენეჯმენტს.¹⁹

საოპერაციო იჯარის მოდელი – აღნიშნული ხელშეკრულება შუალედური ფორმაა მენეჯმენტისა და საოპერაციო მოდელებს შორის.²⁰ ინფრასტრუქტურული პროექტის მართვა ხორციელდება ხელშეკრულების კერძო მხარის მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში კი შესაძლებელია – საერთაშორისო ოპერატორის მიერაც.²¹

შეძენის მოდელი – აღნიშნული ხელშეკრულების დროს, კერძო მხარე ახორციელებს ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმარებას, მშენებლობას, დაფინანსებას და მართვას. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ინფრასტრუქტურული პროექტი საკუთრებაში გადაეცემა საჯარო მხარეს.²²

საკონცესიო მოდელი – აღნიშნული ხელშეკრულების დროს კერძო მხარეს ეკისრება ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმარების, დაფინანსებისა და მშენებლობის ვალდებულება. ამ შემთხვევაში კერძო მხარე სარგებელს იღებს ინფრასტრუქტურული პროექტის უშუალო მომხმარებლებისაგან, მაგ., სარგებლობის მომსახურების აღება, პარკირების მოსაკრებელის მიღება და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის დროს შესაძლებელია დაფინანსება მოხდეს საჯარო მხრიდანაც, მაგ., საჯარო მხარე მომხმარებლისგან მომსახურების მოსაკრებელს მიღებასა და ამის შემდეგ ხელშეკრულების კერძო მხარესთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს.²³

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² იქვე.

²³ იქვე.

იჯარის მოდელი – ამ შემთხვევაში ხელშეკრულების კერძო მხარის ვალდებულებაა ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმარება, დაფინანსება და მშენებლობა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ინფრასტრუქტურული პროექტის საჯარო მხარისათვის გადაცემის ვალდებულება არ არსებობს, კერძო მხარეს შეუძლია ობიექტი გადასცეს ან თავად შეიძინოს ნარჩენი ღირებულების ფასად.²⁴

ზემოხსენებული ხელშეკრულების მოდელების გარდა, პრაქტიკაში, საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის სხვა მოდელებიც არსებობს, რაც განპირობებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსითა და იმ ქვეყნის სპეციფიკით, სადაც ეს ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

III. საჯარო და კერძო თანამშრომლობა საქართველოში

1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის შესახებ დახვეწილი, უნიფიცირებული საკანონმდებლო ბაზა პრაქტიკულად არ არსებობს. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონიც ახალი მიღებულია. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, სახელმწიფო ეკონომიკურ და კომერციულ ურთიერთობებში აქტიურად მონაწილეობს კერძო სამართლის სუბიექტებთან. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთობას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს და დაკავშირებულია 1990-იან წლებთან, კერძოდ, პრივატიზაციის პროცესის დაწყებასთან. პრივატიზაციის პროცესის ფარგლებში, კერძო პირებთან იდებოდა სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობით გაცემის ხელშეკრულებები, ასევე, კერძო პირებთან ერთად იქმნებოდა ერთობლივი საწარმოები, მაგ., სახელმწიფო საწარმოები გარდაიქმნებოდა სამეწარმეო საზოგადოებებად და მათი აქციები და წილები გადაეცემოდათ მუშა-მოსამსახურეებსა და კერძო ინვესტორებს.

²⁴ იქვე.

აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, სახელმწიფო პირდაპირი ფორმით, სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტში ხშირად თანამშრომლობს რეზიდენტ და არარეზიდენტ კერძო სამართლის იურდიულ და ფიზიკურ პირებთან, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და ბანკებთან, მაგ., ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და ა.შ. აღნიშნული ორგანიზაციების მონაწილეობით საქართველოში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. გარდა აღნიშნულისა, საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა მიმდინარეობს განათლების, ჯანდაცვისა და სატრანსპორტო მომსახურების სექტორშიც.

სახელმწიფო, აგრეთვე, არაპირდაპირი ფორმითაც მონაწილეობს სხვადასხვა ეკონომიკურ ურთიერთობაში. არაპირდაპირი ფორმით მონაწილეობა ხდება სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამეწარმეო ორგანიზაციებისა და საინვესტიციო ფონდების მეშვეობით. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა სს „საპარტნიორო ფონდი“, რომლის საქმიანობაც სპეციალური კანონით წესრიგდება.²⁵ აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით სახელმწიფო მონაწილეობს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საინვესტიციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ფლობს წილებს და აქციებს სხვადასხვა მსხვილ კორპორაციაში.²⁶

საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზა ფაქტობრივად ჩამოყალიბების ეტაპზეა. აღნიშნული საკითხის გასავითარებლად 2016 წელს 6 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი“, აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.

²⁵ იხ., „სააქციო საზოგადოების-საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონი.

²⁶ იხ., ინფორმაცია საპარტნიორო ფონდის საქმიანობის შესახებ <<http://bit.ly/2CVIANC>> [03.03.2018].

ბები.²⁷ მოგვიანებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოელი კონსულტანტების მეშვეობით, შემუშავდა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის პროექტი, რომელიც შემდეგ საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისს დაამტკიცა.²⁸

კანონში გათვალისწინებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ძირითადი ასპექტები, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის დაწყების პირობები, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი და მისი განხორციელების ეტაპები, კერძო პარტნიორის შერჩევის წესები და პირობები, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმები და ა.შ.²⁹

აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო სექტორის ურთიერთობები საქართველოში, ასევე, ნაწილობრივ რამდენიმე სხვა ნორმატიული აქტითაც წესრიგდება, მათ შორის, არის საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“.³⁰ აღნიშნული საკანონმდებლო აქტით განისაზღვრება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის და სხვადასხვა ფორმით განკარგვის წესები და სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირებთან ხელშეკრულების დადებისა და ურთიერთობის პირობები.

2. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმებთან დაკავშირებული საკითხები

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები. თუმცა საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული არაა საჯარო და კერძო

²⁷ იხ., საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 ივნისის N245 დადგენილება „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“.

²⁸ იხ., საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“.

²⁹ იქვე.

³⁰ იხ., „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი.

თანამშრომლობის ხელშეკრულების კონკრეტული ტიპები. შესაბამისად, კანონმდებელმა, ეს საკითხი საჯარო და კერძო თანამშრომლობის დოქტრინასა და მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო პრაქტიკას მიანდო. ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა უნდა განსაზღვრონ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სახელშეკრულებო მოდელები და მასთან დაკავშირებული უფლებამოვალეობანი. პრაქტიკაში გამოიციხული არაა, მხარეთა მიერ არჩეული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მოდელის პირობები საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრებულ სტანდარტებთან შეუსაბამო აღმოჩნდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების ძირითადი მოდელები განისაზღვროს კანონმდებლობით და მხარეებმა მკაფიოდ იცოდნენ თითოეული საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელის დროს მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები. ეს გარემოება გააადვილებს სახელშეკრულებო პრაქტიკას და ამავედროულად, თავიდან ააცილებს შესაძლო სასამართლო დავებს.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო გარიგებაა, შესაბამისად, ხელშეკრულების სახეები, მისი ძირითადი პირობებისა და მხარეთა უფლებამოვალეობის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა საჯაროსამართლებრივი კანონმდებლობით, არამედ სამოქალაქო კოდექსით, ანუ საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსში უნდა შევიდეს სათანადო ცვლილებები და სახელშეკრულებო ნაწილში ამ საკითხის მოსაწესრიგებლად დაემატოს სპეციალური დებულებები.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე, საუბრობს ინსტიტუციური საჯარო და კერძო სამეწარმეო საზოგადოების ჩამოყალიბების შემთხვევაში, რა სავალდებულო დებულებებს უნდა შეიცავდეს ერთობლივი კომპანიის წესდება/პარტნიორთა შეთანხმება. კანონით დადგენილია, რომ წესდება უნდა შეიცავდეს: ა) ერთობლივი ფინანსური რესურსების, ტიპს, ოდენობას და ფორმას; ბ) ისეთ ორგანიზაციულ ცვლილებებს, მათ შორის ინსტიტუციური საჯარო და კერძო

კომპანიის პარტნიორის ცვლილებას, რომელთა განსახორციელებლად, კერძო პარტნიორს ესაჭიროება საჯარო პარტნიორის თანხმობა; გ) კერძო პარტნიორის ჩანაცვლების ან საჯარო პარტნიორის მიერ ინსტიტუციური საჯარო და კერძო თანამშრომლობის კომპანიიდან გასვლის პირობებს და წესებს.

კორპორაციის წესდება საკორპორაციო სამართლებრივი მონესრიგების საგანია და შესაბამისად, მისი პირობები უნდა განისაზღვროს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (საკორპორაციო სამართლით). ინსტიტუციური საჯარო და კერძო სამენარმეო საზოგადოება, სამართლებრივი თვალსაზრისით ჩვეულებრივი სამენარმეო ორგანიზაციაა, რომლის შექმნა და რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს სამენარმეო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისე როგორც იქმნება ყველა ჩვეულებრივი სამენარმეო ორგანიზაციები. შესაბამისად, საჭირო არაა, მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილ წესდებას/პარტნიორთა შეთანხმებას დაემატოს სხვა რაიმე სპეციალური დებულებები. აღნიშნული საკითხები ეხება პარტნიორების უფლება-მოვალეობებს და აღნიშნული გარემოებები უნდა მონესრიგდეს უშუალოდ აქციონერთა ხელშეკრულებით (**Shareholders' Agreement**). ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს თითოეული პარტნიორის მიერ ინვესტიციის მოცულობა, ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების წესები და ა.შ.

III. დასკვნა

საქართველოში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა ჩამოყალიბების ეტაპზეა, საჯარო და კერძო სექტორის მომნესრიგებელი კანონის მიღება უდავოდ დადებითი ნაბიჯია. კანონით მონესრიგებულია მნიშვნელოვანი ასპექტები, საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიზნები, განვითარების ეტაპები და სახელმწიფოს როლი აღნიშნულ საკითხში. კანონით ასევე იქმნება ინვესტორის დაცვის დამატებითი გარანტიები.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის მომნესრიგებელი კანონი საჯაროსამართლებრივი საკანონმდებლო აქტია, რომლითაც წე-

სრიგდება სახელმწიფოსა და კერძო პირების ურთიერთობის საჯაროსამართლებრივი ასპექტები, სახელმწიფოს კომპეტენცია და როლი აღნიშნულ ურთიერთობაში. თავად სახელმწიფოსა და კერძო პირების ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს შესაბამისი კერძოსამართლებრივი აქტებით, მაგ., სამოქალაქო კოდექსით, „მენარმეთა შესახებ“ კანონით და სხვ. აღნიშნული ურთიერთობა თანასწორობის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კერძო ხასიათის დებულებები, როგორცაა ხელშეკრულების არსებითი პირობები, მისი შინაარსი და მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამოქალაქო კოდექსით უნდა მოწესრიგდეს. ინსტიტუციური საჯარო და კერძო ურთიერთობის დროს შერეული კომპანიების დაფუძნებისას წესდების სავალდებულო დებულებები უნდა მოწესრიგდეს „მენარმეთა შესახებ“ კანონით, ხოლო პარტნიორთა უფლება-მოვალეობები – აქციონერთა ხელშეკრულებით.

მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება - სირთულე სასამართლო პრაქტიკაში

თათია ჯორბენაძე*

I. შესავალი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში მონაწილეობენ შემპირებული (მოვალე), შეპირების მიმღები (კრედიტორი) და მესამე პირი, ვის სასარგებლოდაც უნდა შესრულდეს ხელშეკრულება (ბენეფიციარი).¹ მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არის ორმხრივი, კრედიტორსა (შეპირების მიმღები) და მოვალეს (შემპირებული) შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიზანია სარგებელი მოუტანოს მესამე პირს. ამით განსხვავდება იგი სამმხრივი ხელშეკრულებისაგან.² რიგ შემთხვევებში, მესამე პირს მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების დადებისთანავე ან მის შემდგომ წარმოეშობა.³ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მესამე პირებს მოთხოვნის

* სამართლის მაგისტრი, იურიდიული კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორების“ იურისტი.

¹ ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 85.

² ლეგაშვილი დ., დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრის თავისებურებანი, სამართლის ჟურნალი, N2, 2016, 105, 106.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინება №ას-718-673-2010; სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2001, 214;

<<http://www.juraindividuell.de/artikel/grosser-bgb-schein-vertrag-mit-schutzwirkung-zugunsten-drittervsd/>> [16.06.2018];

Silva M.S., The Draft Common Frame of Reference as a “Toolbox” for Domestic Courts: A Solution to the Pure Economic Loss Problem from a Comparative Perspective, Springer, 2017, 169;

<[https://www.jura.uni-](https://www.jura.uni-augsburg.de/lehrende/professoren/gomille/downloads/Skript_Lehrprobe_FU.pdf)

[augsburg.de/lehrende/professoren/gomille/downloads/Skript_Lehrprobe_FU.pdf](https://www.jura.uni-augsburg.de/lehrende/professoren/gomille/downloads/Skript_Lehrprobe_FU.pdf)> [27.05.2018];

<<https://jura-online.de/lernen/drittschadensliquidation-dsl/174/excursus>> [25.05.2018].

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

უფლება აქვთ, გერმანელები უწოდებენ ნამდვილ, სრულ ხელშეკრულებას და ასეთ დროს იყენებენ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სამოქალაქო კოდექსის ზოგად მუხლს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის ანალოგია, ასევე, კეთილსინდისიერების პრინციპსა და ნების გამოვლენის გონივრულ განმარტებას.⁴

სტატიაში განხილულ დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებები ძალიან ზოგადად მიუთითებს, რომ მესამე პირის მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების არსიდან გამომდინარეობს, თუმცა ინტერპრეტაციის საფუძველი განმარტებული არ არის.⁵ სასამართლოს სიტყვაძვირი განმარტება ართულებს სამოქალაქო ბრუნვას. მესამე პირისთვის მოთხოვნის უფლების განსაზღვრა ხელშეკრულების დადებისა და სამართლებრივი რისკების განსაზღვრის დროს გარდამტეხ როლს ასრულებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძირითად, ზოგად მითითებებს იძლევა ურთიერთობის მონაწილე სამივე მხარის უფლებებსა და მოვალეობებზე, რაც ნიშნავს, რომ ისეთი ღიად დარჩენილი საკითხები, როგორიცაა, თუ როდის შეიძლება მესამე პირმა მოითხოვოს მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება, სავალდებულოა თუ არა მესამე პირისთვის მოთხოვნის უფლების მისანიჭებლად ურთიერთობის მონაწილე სამივე მხარის ინფორმირებულობა, რას გულისხმობს ურთიერთინფორმირებულობა – ზუსტ იდენტიფიკაციასა თუ ზოგად მითითებას, რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სამოქალაქოსამართლებრივი, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ან ზოგადად ადმინისტრაციული ხელშეკრულება, სასამართლო პრაქტიკით უნდა დარეგულირდეს.

⁴<https://www.lecturio.de/magazin/%C2%A7%C2%A7-328-ff-bgb-echte-vertrag-dritter/> [14.06.2018].

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 15 მაისის განჩინება №3კ-454-02; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის განჩინება №3კ/804-01.

სტატიაში სასამართლო პრაქტიკის ანალიზით წარმოჩენილია სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომა, სასამართლოს მხრიდან მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების უფრო ფართო, ზუსტი განმარტების მიზანშეწონილობა სამოქალაქო პროცესის სტაბილურობისა და მართლმსაჯულების ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე.

II. მესამე პირისთვის უფლების მინიჭების ბუნდოვანი განმარტება

1. გადაწყვეტილება ავტომატურად გადაზიდვა-გადაყვანის შესახებ

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი ტიპური შემთხვევაა საქმე, სადაც A კომპანიამ B კომპანიას ფიზიკურ პირ C-ს სასარგებლოდ დაუდო ავტომატურად გადაზიდვა-გადაყვანის უფლება ჩამოყვანის შესახებ ხელშეკრულება. C-მ საზღაური პირდაპირ B კომპანიას გადაუხადა, რითაც, საკასაციო სასამართლოს აზრით, მოთხოვნის უფლება შეიძინა. სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ შესრულების მოთხოვნის მქონე მესამე პირი შესრულების კრედიტორი ხდებოდა და ამგვარი დასკვნა ხელშეკრულებიდან და საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარეობდა,⁶ თუმცა კონკრეტულად რა სახის მტკიცებულებებისა ხელშეკრულების მუხლები იძლეოდა ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, სასამართლოს არ დაუკონკრეტებია.

2. მესამე პირის სარგებელი სახელმწიფოს

მოთხოვნიდან გამომდინარე

შპს-მ სახელმწიფოგან იყიდა ფართი, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰქონდათ დაკავებული.⁷ ნასყიდობის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ შემძენს, სამინისტროს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, 10 საბანკო დღის ვადაში

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინება №ას-274-262-2015.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მაისის განჩინება №ას-668-629-2012.

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

უნდა გადაეხადა გამოსახლებული პირებისათვის კომპენსაცია ან ფართის შესაძენი თანხა. მოპასუხის აზრით, აღნიშნული ხელშეკრულებით მესამე პირებს (მოსარჩელეს) არ ჰქონდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნის უფლება, რადგან მან ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს და არა კონკრეტული პირების მიმართ. სამივე ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და შპს-სა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება ჩათვალა მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ისეთ ხელშეკრულებად, რომლიდანაც შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ კონტრაჰენტებს წარმოეშობოდათ. სასამართლოს ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველია თვით კონტრაჰენტებს შორის არსებული ვალდებულების შინაარსი, თუმცა **თუ რატომ არ იკითხებოდა ხსენებული გარიგებიდან მესამე პირის მოთხოვნის უფლება, სასამართლოს არ დაუკონკრეტებია.**

3. მესამე პირის მონაცემების გაყალბება

ფიზიკურმა პირმა ბანკთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც ბანკი ვალდებული იყო, გადარიცხული 25 000 აშშ დოლარი გადაეცა მესამე პირისთვის. თანხა ყალბი პირადობის მოწმობით გაიტანა უცნობმა პირმა, რაზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მესამე პირმა მოითხოვა ბანკისთვის 25 000 აშშ დოლარის დაკისრება.⁸

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, მოთხოვნა დააკმაყოფილა და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლზე, რომელიც საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა. მაშასადამე, **სასამართლომ მოსარჩელეს მოთხოვნა დაუკმაყოფილა კონტრაჰენტებს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა გადაწყვეტილებით არ იკვეთება, ხელშეკრულების რა სახის ინტერპრეტაციით მიენიჭა მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება.**

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინება №ას-1205-1225-2011.

მესამე პირს ამგვარი უფლება რომც ჰქონოდა, ბანკისთვის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლოს მხრიდან თამამი განაცხადია. გადაწყვეტილებით რთულია დამდგარ ზიანთან ბანკის ბრალეულობისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ამოკითხვა. შესაბამისად, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პასუხისმგებლობის არა ბანკისთვის, არამედ დამნაშავისთვის დაკისრება – თანხის გატანა მოხდა გაყალბებული პირადობით, არაუფლებამოსილმა თანხის მიმღებმა პირმა დაასახელა თანხის ოდენობა და ფულადი გზავნილის ნომერი⁹, ხოლო ბანკის არგუმენტაციით, მას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა გონივრული ეჭვი პირადობის მოწმობის სიყალბესთან დაკავშირებით.

III. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ადმინისტრაციული და სამოქალაქო სასამართლებრივი ხელშეკრულებების ურთიერთგამიჯვნა

ბანკსა და სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკს მომსახურება უნდა გაენია 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებული მოსახლეობისთვის.¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, **სააპელაციო და უზენაესმა სასამართლომ მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ სამოქალაქო სასამართლებრივ ხელშეკრულებად ჩათვალა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ბანკს შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ დადებული ხელშეკრულება**,¹¹ რომლის მიხედვითაც, სამინისტრო ბანკს აწვდიდა იმ პირების სიას, რომელთა სახელზეც უნდა გახსნილიყო პირადი

⁹ იქვე.

¹⁰ იხ., საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის N915 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინება №ას-963-921-2013.

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

ანგარიში და თითოეულ ოჯახს უნდა ჩარიცხვოდა 16 620 ლარი. ბანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა უფლებამოსილი, გაეცა საკომპენსაციო თანხები, თუკი მიმღები პირი, რომლის სახელზეც ანგარიში იყო გახსნილი, დაფიქსირდებოდა ე.წ. დაზუსტებულ სიაში, რომელიც სამინისტროს უნდა მიეწოდებინა ბანკისათვის დამატებითი ინფორმაციის სახით. სწორედ ამ დამატებითი ინფორმაციით, სამინისტრომ მოსთხოვა ბანკს მოსარჩელის ნაცვლად სხვის სახელზე გადაერიცხა თანხა, რის საფუძველზე, ბანკმა მოსარჩელეს ერთი თვის წინ ჩარიცხული 16 620 ლარი ჩამოაწერა. მოსარჩელემ, როგორც 2008 წლის ომში დაზარალებულმა პირმა, მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ, იხელმძღვანელა რა მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმებიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ სამინისტროს სამოქალაქო კოდექსის მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული მომწესრიგებელი ნორმის საფუძველზე¹², უფლება ჰქონდა, შეეცვალა ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი და მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნული პოზიცია გაიზიარა საკასაციო სასამართლომაც. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის პრეტენზია სამინისტროს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლების დაუსაბუთებლად ჩამოართმევს თაობაზე მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ სამართალს და შესაბამისად, ცალკე განხილვის სფეროს.

წარმოდგენილ შემთხვევაში აშკარაა ბანკის შეცდომა. სასამართლოს მსჯელობის ძირითადი საგანი ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა ყოფილიყო და არა სამინისტროს მხრიდან მესამე პირის შეცვლის უფლებამოსილება, რადგან აქ ადმინისტრაციულსამართლებრივი და არა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობაა. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები კერძო და საჯარო სფეროებში განსხვავებულად წესრიგდება. ერთმანეთისგან განსხვავდება თვით ზოგადად ადმინისტრაციული და კონკრეტულად, მესამე პირის

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სასარგებლოდ დადებული ადმინისტრაციულსამართლებრივი ხელშეკრულებაც.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო ვერ ისარგებლებს სამოქალაქო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ნების ავტონომიით, ვინაიდან იგი ამ მომენტში საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს.¹³ კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მოაწესრიგოს ისეთი ურთიერთობები, რომლის მოწესრიგებაც შეუძლია კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემით¹⁴.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სამოქალაქოსამართლებრივისგან მიჯნავს ისიც, რომ ამ უკანასკნელის დადებისას მხარეები წმინდა სამოქალაქოსამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ატარებენ, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებისას შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯაროსამართლებრივი უფლება-მოვალეობებით.¹⁵ მაშასადამე, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.¹⁶ ეს არ გამორიცხავს ადმინისტრაციულ ორგანოს მხრიდან სამოქალაქო ხელშეკრულების დადებას, თუმცა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სხვა სახის ხელშეკრულებებისგან მიჯნავს ხელშეკრულების საგანი,¹⁷ ანუ საჯარო მიზნის განხორციელება. ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია ის, რომ შეზღუდულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დავებზე, თბილისი, 2018, 47.

¹⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი.

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ბს-466-447(კ-10).

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დავებზე, თბილისი, 2018, 46.

¹⁷ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი 2016, 154.

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

ციული ორგანო, არამედ მისი კონტრაჰენტიც. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების დადება ემსახურება იმ მიზნების მიღწევას, რისთვისაც არსებობს ზოგადად ადმინისტრაციული ორგანო.¹⁸ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ: შესაფასებელი ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველი ადმინისტრაციული კანონმდებლობაა; შესაფასებელი ხელშეკრულების საგანი საჯარო მიზნის მიღწევასა და საჯარო ინტერესების აღსრულებას ემსახურება; სამართალურთიერთობის შედეგი საზოგადო ამოცანის გადაწყვეტას განაპირობებს.¹⁹

მოცემულ შემთხვევაში, სამივე წინაპირობას აკმაყოფილებს ბანკსა და სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება, რადგან უპირველესად, ამაზე თვით გადანყვეტილება უთითებს: „გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში გამოტანილი დასკვნები „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის N915 განკარგულებით (შემდეგში: მთავრობის განკარგულება) დადგენილი წესების ანალიზს ეყრდნობა. ამ განკარგულებით სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართების მიღებაზე. ამ მიზნით, 2008 წლის 29 დეკემბერს სამინისტროსა და მოპასუხეს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ აიღო ვალდებულება, შეესრულებინა დაზარალებული მოსახლეობისთვის ერთჯერადი ფულადი

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინება №ბს-128-126(გ-17).

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 ნოემბრის განჩინება №ბს-580-567 (გ-14).

დახმარების თანხების გაცემის საბანკო მომსახურება მთავრობის განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად²⁰.

სამინისტროს დებულებით, რომელიც ხაზს უსვამს საჯარო მიზნებსა და ამოცანებს, სამინისტროს ფუნქციები და ამოცანებია ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვა.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა, სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა. თვით ბანკსაც დაევალა, რომ თანხა ფიზიკურ პირებზე დებულების შესაბამისად გაცემა.

ცალკე მსჯელობის საგანია, ჩაითვლებოდა თუ არა განსახილველი ადმინისტრაციული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შემთხვევაშიც შესაძლოა ის არ განმარტებულიყო, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულად, ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ ნორმათა გამო (თუ მესამე პირს რაიმე ვალდებულება ეკისრება ან უფლება ეზღუდება, ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ მესამე პირის წერილობითი თანხმობის შემდეგ²¹).

ცალსახაა, რომ ბანკსა და სამინისტროს შორის ურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება. სასამართლოს სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველად არ უნდა მიეთითებინა სამოქალაქო კოდექსის მუხლები, რომლებიც კრედიტორს მესამე პირის შეცვლის საშუალებას აძლევს. მიზანშეწონილი იქნებოდა, მსჯელობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარმართულიყო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციე-

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინება №ას-963-921-2013.

²¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლი.

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

ლებელი კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელ პირს განსაზღვრავს.

სასამართლომ მესამე პირის შეცვლის უფლება კონტრაჰენტს მინიჭა სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თუმცა აღნიშნული ნორმა მესამე პირის უპირობო შეცვლას ალბათ უფრო არ ითვალისწინებს. მაგალითად, შოტლანდიურ სამართალში ცალკე წესრიგდება მესამე პირის დაცვის სტანდარტი²² შესაბამისი აქტით (**Contract (Third Party Rights) (Scotland) Act 2017**) კონტრაჰენტს მესამე პირის შეცვლის უფლება ეზღუდება, თუ ამ უკანასკნელს აქვს ღირსი მოლოდინი ხელშეკრულების შესრულების მიმართ, მაგალითად, თუ ის რაიმეს აკეთებს ან მოქმედებისგან თავს იკავებს თავის უფლებაზე დაყრდნობით, რაც შესაძლებელია გავლენის მომხდენი იყოს მის მატერიალურ მდგომარეობაზე. თუ პირი იღებს ან ითხოვს შესრულებას მესამე პირის უფლებების ქონაზე დაყრდნობით, ყურადღება არ უნდა მიექცეს პირობის შეცვლას ან გაუქმებას, მის მიერ მატერიალური ზიანის მიღების ან გაუქმების, შეცვლის შემთხვევაში. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს კონტრაჰენტების მიერ ამგვარი უფლებამოსილების განხორციელებას და მესამე პირმაც უნდა იცოდეს ან მოსალოდნელია, რომ იცოდეს ამგვარი სახელშეკრულებო პირობის შესახებ მანამ, სანამ იმოქმედებდა ან თავს შეიკავებდა მოქმედებისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ ის საკითხები, რაც საქართველოში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით წესრიგდება, შოტლანდიამ განსაზღვრა ერთიანი აქტით. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობები საზოგადოებაზე იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენს,²³ ხშირად ხელშეკრულების თავისუფლება მოითხოვს გარკვეული შეზღუდვების დანერგვას, რათა თავისუფალი არჩევანის გაკეთება უზრუნ-

²²<http://www.lindsays.co.uk/news-and-insights/news/changes-now-in-force-for-business-contracts-involving-third-parties> [11.06.2018]

²³ Hilmlman R.A., *The Richness of Contract Law*, Springer, 1997, 271.

ველყოს.²⁴ სხვა სიტყვებით, ხშირად ხელშეკრულების თავისუფლების ქვეშ იმალება არსებითად უთანასწორო მდგომარეობა მხარეებს შორის²⁵ მაშინ, როდესაც ეს პრინციპი საწინააღმდეგოს მოიაზრებს.²⁶

შოტლანდიის მაგალითი არ ნიშნავს, რომ ქართულ სამართალშიც მესამე პირის უფლებები აუცილებლად საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს. შოტლანდიურ სამართალში მესამე პირის უფლებების განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს – მესამე პირის უფლებები ეფუძნება საერთო სამართლის სისტემას²⁷ და თვით ინგლისის დოქტრინის, “Privity of Contract”-ის დახვეწა მესამე პირებისთვის გარკვეული გამოწვევების დაშვების სახით შოტლანდიური სამართლიდან იყო ნაკარნახევი.²⁸ შოტლანდიაში მოქმედებდა დოქტრინა *Jus Quaesitum Tertio*²⁹ („მოქმედება მესამე პირის სასარგებლოდ“), რომლის პირველი გამოჩენა 1681 წელს, ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებას უკავშირდება.³⁰ მესამე პირების უფლებების ცვლილება ყველაზე გვიან 2018 წელს განხორციელდა³¹ და მიიღეს აქტი (Contract (Third Party Rights) (Scotland) Act 2017), შესაბამისად, ამ ტიპის ურთიერთობის ნორ-

²⁴ იქვე, 268.

²⁵ Turner Chr., *Unlocking Contract Law*, 4th Ed., Routledge, 2014, 4.

²⁶ McKendrick E., *Contract Law, Text, Cases and Materials*, 4th Ed., Oxford University Press, 2010, 684.

²⁷ <<http://constructionblog.practicallaw.com/contract-third-party-rights-scotland-act-2017-now-in-force/>> [03.04.2018];

²⁸ Merkin R., *Privity of Contract: The Impact of the Contracts (Right of Third Parties) Act 1999*, Routledge, 2013, 1, 333.

²⁹ <https://www.scotlawcom.gov.uk/files/8013/9592/4224/DP_TSO.pdf> [03.04.2018];

<<https://www.macrobets.com/farewell-jus-quesitum-tertio-hello-third-party-rights/>> [03.04.2018];

<<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=a585afd1-3651-4e78-a3f1-c5727a609364>> [03.04.2018].

³⁰ *New Perspectives in Scottish Legal History*, Edited by A. Kiralfy and H.L. Macqueen, Routledge, 1984, 5;

<<https://www.lexology.com/library/detail.aspx?g=a585afd1-3651-4e78-a3f1-c5727a609364>> [03.04.2018].

³¹ <<http://www.lindsays.co.uk/news-and-insights/news/changes-now-in-force-for-business-contractsinvolving-third-parties>> [11.06.2018].

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

მატიულად ფართო მასშტაბით შეზღუდვა ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგი უნდა იყოს.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში კონტრაჰენტს მესამე პირის უპირობო შეცვლა შესაძლებელია შეეზღუდოს კეთილსინდისიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების პრინციპების, მიზნობრიობისა და შესაძლო ზიანის ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზოგადად, საკითხი, თუ რა ფორმით, რა სიზუსტით უნდა იყოს მესამე პირის მონაცემები ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კითხვის ნიშნის ქვეშაა. მაგალითად, 2007 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ: „მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისას სახეზე უნდა იყოს აუცილებლად კრედიტორი, მოვალე და პირი, რომლის სასარგებლოდაც იდება გარიგება, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ მესამე პირის კონკრეტიზაცია მოხდეს უშუალოდ ხელშეკრულებაში“³².

ამის საწინააღმდეგოდ, უზენაესმა სასამართლომ მოთხოვნა სხვა საფუძვლებთან ერთად არ დააკმაყოფილა იმის გამოც, რომ *„ხელშეკრულებაში მოსარჩელე უშუალოდ მოხსენიებული არ ყოფილა...“*³³ სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, მესამე პირი მის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებში კრედიტორია და მოთხოვნის უფლება ყოველთვის აქვს, თუ საწინააღმდეგო არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან.³⁴ არსებობს უფრო ადრინდელი, საწინააღმდეგო პრაქტიკა, რომლის მიხედვით, მესამე პირს არა ავტომატურად, არამედ მხოლოდ მაშინ ენიჭება მოთხოვნის უფლება, თუ მოვალე მის წინაშე პასუხისმგებელი პირია.³⁵

³² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1339-07.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა 2011 წლის 11 აპრილის განჩინება №ას-195-184-2011.

³⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განჩინება №2ბ/5180-14.

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება N3კ/804-01.

IV. დასკვნა

საკანონმდებლო დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების თავისუფლების არეალში მხოლოდ იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ასეთი ხელშეკრულების მიზანი კანონით დადგენილ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს.³⁶ ცალკე რაიმე შეზღუდვა მესამე პირთა სასარგებლოდ ხელშეკრულების დადებისას არ გვხვდება.³⁷ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზანია, სარგებელი მოუტანოს მესამე პირს. შესაბამისად, დაუშვებელია იმგვარი ხელშეკრულების დადება, რომელიც სარგებლის ნაცვლად ზიანის მომტანი იქნება შესაბამისი პირისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავი აწესრიგებს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ გარიგებებს, რომლებიც სულ სამი მუხლისაგან შედგება. განსხვავებით შოტლანდიისაგან, საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად არ საზღვრავს მესამე პირის უფლებებს. კანონი მხოლოდ ჩარჩო მითითებებს იძლევა, თუმცა არ არის საჭირო ძირეული საკანონმდებლო ცვლილებები, თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცალკეული ასპექტები სასამართლო პრაქტიკით მოწესრიგდება. სწორედ სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება და გამარტივებული სამოქალაქო ურთიერთობები შესაძლოა ყოფილიყო შემდგომი საკანონმდებლო ცვლილების საფუძველი. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის განვითარებასა და მესამე პირის უფლებების სასამართლო პრეცედენტებით მოწესრიგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სამოქალაქო კოდექსი მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებების მიმართ იმპერატიულ მოთხოვნებს არ აწესებს. სამწუხაროდ, დღევანდელი პრაქტიკა ურთიერთწინა-

³⁶ სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 214.

³⁷ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, 280.

თათია ჯორბენაძე, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

აღმდებლობრივის გარდა ძალზე ზოგადი დასაბუთებითაც ხასიათდება. უმჯობესი იქნება სასამართლო გადაწყვეტილებებში ზუსტად მიეთითოს, თუ განსახილველ საქმეზე ხელშეკრულების რა სახის დათქმამ განაპირობა მესამე პირისთვის უფლების მინიჭება ან ამგვარი უფლების წართმევა, რა შემთხვევაში შეუძლიათ კონტრაჰენტებს მესამე პირის შეცვლა ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის უფლების ჩამორთმევა, რა სახის სახელმძღვანელო პრინციპებით უნდა იმოქმედონ მხარეებმა ამ ტიპის ხელშეკრულების დადებისას, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები და სხვ. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე მოქმედებს როგორც „სოციალური ხელშეკრულებები“³⁸, ისე კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების გამართულობა. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებაში კონკრეტული პრინციპების მითითება გააადვილებდა სამართლებრივ ურთიერთობებს. ურთიერთობის მონაწილე მხარეებს წინდანინვე გათვალისწინებული ექნებოდათ შესაძლო რისკები, რითაც ხელი შეეწყობა სასამართლოსთვის მომჩივანთა რაოდენობის კლებას, რაც პირდაპირპროპორციულ გავლენას მოახდენდა მართლმსაჯულების ეკონომიურობის პრინციპზე.

³⁸ MacMillan C., *Mistakes in Contract Law*, Oxford and Portland, 2010, 140.

ასოცირების ხელშეკრულების გავლენა სასაქონლო ნიშნის დაცვის სამართლებრივ რეფორმაზე

მარიამ ლუბიანური*

I. შესავალი

XXI საუკუნე ინტელექტუალური საკუთრების გლობალური აღიარებისა და მნიშვნელობის გაზრდის ეპოქად მიიჩნევა. მისი მნიშვნელობის ზრდა არაერთმა ფაქტორმა გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, ისე როგორც არასდროს საზოგადოებას აქვს ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა და თავისუფლება, რაც მსოფლიოში განათლებული ადამიანების რაოდენობის საგრძნობლად ზრდის მიზეზი გახდა. მეორე მხრივ, სამყარო გახდა ძალიან კონკურენტუნარიანი, იგი მუდმივად ინოვაციებსა და მათ დაცვას მოითხოვს. პირველ ორ ფაქტორთან ერთად იზრდება მომხმარებლის მოთხოვნილებები, რაც მწარმოებლებს აიძულებს, მათი პროდუქტების გასაუმჯობესებლად და ბაზარზე რეპუტაციის შესანარჩუნებლად, მუდმივად იფიქროს საკუთარი პროდუქციისა და მომსახურებების გაუმჯობესებაზე, დამატებითი სიკეთეების შექმნაზე. ამის ნათელ მაგალითად ტელეფონიც გამოდგება, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ იყო ნივთი, რომელიც მხოლოდ სახლში ასრულებდა დაკისრებულ ფუნქციას, ხოლო დღეისათვის ისეთი განვითარება ჰპოვა, რომ ის ყველაზე მოხერხებული ნივთია, რომელიც მორგებულია ადამიანის ცხოვრებისეულ რიტმს და თავის მხრივ, სხვადასხვა ინტელექტუალური საკუთრებით დაცული სიკეთეების ერთობლიობას წარმოადგენს.

ინტელექტუალური საკუთრების სათანადო დაცვა ხელს უწყობს მომხმარებელს, ადვილად შეძლოს პროდუქტის თუ მომსახურების გარჩევა მისთვის დამახასიათებელი „განსაკუთრებული“ ნიშნით. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ინტელექტუალური საკუთრე-

* სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი (თსუ), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

ბის დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესსექტორისთვის, ისე ინტელექტუალური საკუთრების მფლობელისა და სახელმწიფოსათვის.¹ სათანადოდ დაცული ინტელექტუალური საკუთრება არის ქვეყნის განვითარების საწინდარი როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა პირდაპირპროპორციულად იწვევს მსოფლიოში ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ბიზნესის, ინოვაციური პროდუქტების, ახალი გამოგონებების და სხვა სიკეთეების განვითარების წახალისებას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა უფლებები სათანადოდ არაა დაცული და დარღვეული უფლებებისათვის პასუხი არავის მოეთხოვება, დაბლდება ინტელექტუალური შრომის მოტივაცია და პირს უტყდება ახლის შექმნის სურვილი. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გარეშე ყველა ინოვაცია და ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმნილება საფრთხის ქვეშ დგება, რადგან ეს იწვევს ახალი ღირებული პროდუქტის შექმნისა და მასში ინვესტირების სტიმულის დაკარგვის საფრთხეს², რაც ეკონომიკურ შედეგებზე აისახება. ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი პრიორიტეტული არამატერიალური სიკეთეა სასაქონლო ნიშანი, რომელიც თანამედროვე სამყაროში წარმატებული ბიზნესის განუყოფელი ნაწილია.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, თუ რატომაა ინტელექტუალური საკუთრება ევოკავშირის ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით არც ისე დიდი ისტორიის მიუხედავად, საქართველო არის ამ სფეროში მოქმედი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების წევრი და საქართველოს კანონმდებლობა ძირითად სტანდარტს აკმაყოფილებს. თუმცა ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ აუცილებელია ქართული მოწესრიგების იმ რიგ სტანდარტებთან უფრო მეტად შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც

¹ იხ., Triton G., Davis R., Edenborough M., Graham J., Malynicz S., Roughton A., *Intellectual Property In Europe*, 3rd Ed., London, 2008, 3-4.

² იხ., ინტერვიუ CISAC-ის ევროპულ საკითხთა დირექტორ - მიტკო ჩატალბაშევთან, ჟურნ. Copyright, N2, 2012, 14.

სასიცოცხლოა ღრმა და ყოვილსმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესაქმნელად.

II. სასაქონლო ნიშნის დაცვის ძირითადი არსი

სასაქონლო ნიშნის მფლობელს ენიჭება ექსკლუზიური უფლება, გაყიდოს საქონელი ან მომსახურება, რომელიც დაცულია სავაჭრო ნიშნით.³ სასაქონლო ნიშნის სათანადო დაცვის გარეშე, სხვა მწარმოებლები, რომლებიც არ არიან სავაჭრო ნიშნის უფლების მფლობელები, წახალისებულნი იქნებიან, აწარმოონ მსგავსი პროდუქცია, სასაქონლო ნიშნის მფლობელისაგან ყოველგვარი ლიცენზიისა და ნებართვის მიღების გარეშე. სასაქონლო ნიშანი მომხმარებლისთვის არის გარანტი, რომ ამ კონკრეტული სასაქონლო ნიშნის ქვეშ არსებული საქონელი/მომსახურება წარმოებულია სავაჭრო ნიშნის მფლობელის მიერ, ან კონტროლდება მის მიერ და არის იმავე ხარისხის, რაც ორიგინალი პროდუქტი. ხოლო სავაჭრო ნიშნის დაცვის სათანადო ბერკეტების არარსებობისას, სასაქონლო ნიშანი ვეღარ განიხილება როგორც ხარისხის განმსაზღვრელი, რადგან ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელისგან დამოუკიდებლად, კონკურენტი, არაკანონიერად სარგებლობს სავაჭრო ნიშნით, რაც გამოიწვევს იმას, რომ უფლების მფლობელის მიერ მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისას, მის მიერ მოპოვებული რეპუტაციით არასამართლიან პირობებში ისარგებლებს უფლების დამრღვევიც და პირიქით, როცა უფლების დამრღვევი აწარმოებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, ეს უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სასაქონლო ნიშნის მფლობელზე. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებული უფლების მფლობელები „მიაგნებენ“ ხოლმე მათი უფლების დამრღვევს, ცდილობენ, მათი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური დარჩეს, რადგან მომხმარებელმა სამომავლოდ შესაძლებელია ეჭვი შეიტანოს ამ პროდუქციის ავთენტურობაში და არ შეიძინოს მისი სასაქონლო ნიშნის ქვეშ არსებული

³ იხ., Triton G., Davis R., Edenborough M., Graham J., Malynicz S., Roughton A., Intellectual Property In Europe, 3rd Ed., London, 2008, 225-226.

პროდუქტი. ქართულ სინამდვილეშიც ხშირია კარგი რეპუტაციის სასაქონლო ნიშნების მესამე პირების მიერ გამოყენება. მაგ., თბილისის ყველა კუთხეში იყიდება Adidas-ის, Nike-ის, Puma-ს, Prada-ს და სხვა ცნობილი ბრენდების სახელით ნაწარმოები საქონელი, რომელიც დაახლოებით 10-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ორიგინალი ნაწარმი. სასაქონლო ნიშანი ხარისხის გარანტი შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს, როცა ის კონტროლდება მისი კანონიერი მფლობელის მიერ ექსკლუზიურად, სხვა შემთხვევებში იგი ხარისხს ვერ გააკონტროლებს, შედეგად კი განაწყენებულ და შეცდომაში შეყვანილი მომხმარებლების დიდ რაოდენობას მიიღებს.⁴ საინტერესოა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, სასაქონლო ნიშნის დარღვევას აქვს თავისი დადებითი მხარეები, რადგან სასაქონლო ნიშნის დარღვევიდან გამომდინარე, დიდი მწარმოებელი კომპანიები, თავიანთი ინტელექტუალური საკუთრების დარღვევისათვის კოლოსალურ თანხებს იღებენ უფლების დამრღვევებისაგან.⁵

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მრავალი შეთანხმების წევრია და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი ნაწილი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდაუვალი იყო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რათა ქართული კანონმდებლობა ევროპულ რეგულაციებს მაქსიმალურად დაახლოვებოდა და სასაქონლო ნიშნის დაცვის მექანიზმები უფრო მეტად დახვეწილიყო.

ევროპული ბაზრისკენ გზის გახსნამ სათანადოდ დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. ეს გადამწყვეტი კრიტერიუმია ნებისმიერი ინვესტორისთვის, რომელიც აპირებს ქვეყნის ბაზარზე შემოსვლას, რადგან, როგორც წესი, მსხვილი და მულტინაციონალური ბიზნესის წარმადგენლები ბაზრის წინასწარი შესწავლისას მათი უფლებების

⁴ იხ. იქვე, 226, იხ. ციტირება: Case C-317/91 Deutsche Reanult v Audi (1993) E.C.R I-6227 at para 18-19.

⁵ იხ., Seuba X., The Economics of Intellectual Property Enforcement, The Wipo Journal: Analysis of Intellectual Proeprty Issues, Vol.6, No.2, 2015, 134.

დაცულობის ხარისხს უდიდეს ყურადღებას აქცევენ.⁶ ასოცირების შეთანხმება განამტკიცებს საქართველოს იმ ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის შეთანხმების ოქმითა და „ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ“ ნიცის შეთანხმებით.⁷ ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის აუცილებელი პრინციპები. მაგრამ ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ კანონმდებლობის ევროპულ სივრცესთან დაახლოება, არამედ ევროპული სტანდარტების შესაბამისი ერთიანი და სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

III. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის დასაბუთების ვალდებულება

ევროპასთან ასოცირების შეთანხმების 166-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ფარგლებში, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასაქონლო ნიშნების შესაბამისი უწყების მიერ მიღებული ყოველი საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება და წერილობით განმცხადებლისათვის მიწოდება. მსგავსი დათქმა უკვე განსაზღვრული იყო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მესამე პუნქტით: „არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე განმცხადებელს ეგზავნება გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ“. როგორც ამ დებულებიდან ჩანს, სასაქონლო ნიშნის მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული იყო, რეგისტრაციაზე უარის ან თანხმობის შემთხვევაში განმცხადებლისათვის გადაწყვეტილება გაეგზავნა, მაგრამ არ აკეთებდა იმპერატიულ დათქმას, როგორც ეს ასოცირების

⁶ <http://www.sakpatenti.gov.ge/media/publication_pdf/IP_georgia_journal2_14_Kg6SHqM.pdf> [05.06.2018]

⁷ იხ., ასოცირების შეთანხმების 165-ე მუხლი.

შეთანხმებაშია, რომ იგი უნდა ყოფილიყო სათანადოდ, წერილობით დასაბუთებული. არსებული პრაქტიკით, იქიდან გამომდინარე, რომ გადანყევტილების მიმღები სუბიექტი – საქპატენტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მის მიერ გამოტანილ გადანყევტილებებზე ვრცელდება ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნორმები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა იყოს დასაბუთებული, მაგრამ აქვე ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც არ არის აუცილებელი მისი დასაბუთება, მაგალითად როცა: ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი; გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემას. შესაბამისად, აღნიშნული დათქმა და დასაბუთებასთან დაკავშირებით „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში იმპერატიული ნორმის არარსებობა, ხშირად გამხდარა სადავო საკითხი და რიგ შემთხვევებში ათავისუფლებდა აქტის გამომცემ ორგანოს დასაბუთების ვალდებულებისაგან. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ასოცირების შეთანხმების ზემოაღნიშნული მუხლით დასაბუთების ვალდებულება სასაქონლო ნიშნის მარეგისტრირებელს წარმოეშობა მის მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმის დროს, რადგან პირის ინტელექტუალური საკუთრება უნდა იყოს სათანადოდ დაცული და მის რეგისტრაციაზე უარის თქმა არ უნდა იყოს უსაფუძვლო. მიუხედავად იმისა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით მარეგისტრირებელი ორგანო უარის შემთხვევაში ყოველთვის გამოსცემს წერილობით უარს, აღნიშნული ცვლილების შეტანა ქართულ კანონმდებლობაში სამართლებრივი კუთხით მოაწესრიგებს ზემოაღნიშნულ გაუგებრობებს, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულებების მიზანი სწორედ სპეციალურ სამართალში დაცვის მექანიზმების უფრო ამომწურავად განსაზღვრაა⁸ და ამას-

⁸ იხ., Gervais D., The TRIPS Agreement – Drafting History and Analysis, UK, 2008, 440.

თან, მარეგისტრირებელ ორგანოს, გადანყვეტილების მიღების პროცესში ექნება მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა მიიღოს სწორი და სამართლიანი გადანყვეტილება.

საქართველოს ეროვნულ ცენტრ საქპატენტში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედეგად არაერთი სააპელაციო საჩივარი განიხილება და სათანადო, ამომწურავი დასაბუთების ვალდებულებამ შესაძლებელია ეს რიცხვი საგრძნობლად შეამციროს. არასათანადო დასაბუთება იყო შპს „ჩემო იბერიკას“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის გასაჩივრების ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც საქპატენტს მიმართა სასაქონლო ნიშანი “CHEMO”-ს 1-ელ (ფარმაცევტული და სამედიცინო წარმოებისათვის განკუთვნილი ქიმიური ნაწარმი), მე-5 (სამედიცინო დანიშნულების ფარმაცევტული, ვეტერინარული და დიეტური ნაწარმი) და 42-ე (ქიმიური, ბიოლოგიური და ფარმაცევტული და კვლევის მომსახურება) კლასში სართაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნით. განცმხადებელს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე არაგანმასხვავებელ-უნარიანობის გამო, რაც ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული, რადგან ნიშანი იყო კომბინირებული და არ შეიცავდა მხოლოდ სიტყვიერ ნაწილს, ასევე ლათინური ასოებით “CHEMO”- იკითხება როგორც “ჩემო” და ის არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ქიმიური ნაწარმი და ასევე, სასაქონლო ნიშანი წარმოადგენდა განმცხადებლის საფირმო სახელწოდების შემოკლებულ სახელს. საქპატენტის სააპელაციო პალატამ მსჯელობის შედეგად დააკმაყოფილა შპს „ჩემო იბერიკას“ საჩივარი და ბათილად ცნო რეგისტრაციაზე უარის შესახებ მიღებული გადანყვეტილება.⁹

სასაქონლო ნიშნის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ თავდაპირველი განხილვისას საკითხის უფრო ღრმად შესწავლა და რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში გადანყვეტილების ამომწურავად დასაბუთება, საგრძნობლად შეამცირებს გასაჩივრებული აქტების რაოდენობას, რაც, თავის მხრივ, საკუთრების დაცვის

⁹ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სააპელაციო პალატის გადანყვეტილება N123-03/14, საიდ.70908/03 IR 1065471.

აუცილებლობისათვის პროცედურული ნორმების დროულად, ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებას განაპირობებს.

IV. სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამყარება

თითოეული ქვეყანა დაინტერესებული უნდა იყოს ისეთი ეფექტური სისტემის შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო ნიშნების დაცვას და მათ გამოყენებას მეწარმეთა და მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების შესაბამისად. მხოლოდ ასე შეიძლება სასაქონლო ნიშნებმა მაქსიმალური წვლილი შეიტანონ ეკონომიკის განვითარებაში.¹⁰ შესაბამისად, საინტერესოა სასაქონლო ნიშნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისას რა დაცვის სტანდარტს ადგენდა კანონის ძველი რედაქცია და რა ცვლილებები განხორცილდა ამ კუთხით საქართველოსა და ევროპის კანონმდებლობის დაახლოების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება მფლობელს წარმოეშობა ნიშნის რეგისტრაციის დღიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისმა უწყებამ – საქპატენტმა, შეამოწმა ნიშნის დაცვისუნარიანობა და მხოლოდ შემოწმების დადებითი შედეგის შემთხვევაში დაარეგისტრირა.¹¹ ასევე, განსაკუთრებული უფლება, როგორც ზემოთ აღინიშნა, პარიზის კონვენციის შესაბამისად წარმოიშობა საყოველთაოდ აღიარებულ ნიშნებზე რეგისტრაციის გარეშე. ამავე მუხლის მეორე პუნქტი მფლობელს ანიჭებს უფლებას მთელ რიგ შემთხვევებში აუკრძალოს მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს მისი სასაქონლო ნიშანი, ან ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშნის

¹⁰ ინტელექტუალური საკუთრება, ნ.1, დ. გაბუნიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 16.

¹¹ იხ., ტოლკმიტი ი., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, წიგნში: მოკლე კონსპექტები, თბილისი 2011, 87.

იდენტურია და ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა და ასევე, კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

მსოფლიო მასშტაბით სასაქონლო ნიშნებიდან გამომდინარე ინტელექტუალური საკუთრების დარღვევა მასობრივ ხასიათს ღებულობს, რაც ძირითად შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ უფლების დამრღვევი, ყოველგვარი ზედმეტი ნვალების გარეშე, ცდილობს გამოიყენოს უკვე ცნობილი და საზოგადოებაში დამკვიდრებული ნიშნის რეპუტაცია. ასეთი განზრახვა არსებობდა, როდესაც ცნობილი ბრენდის **Louis Vuitton**-ის მსგავსი ნიშანი გამოიყენეს ძაღლების აქსესუარების დასამზადებლად (**Malletier S.A v. Haute Diggity Dog**),¹² ასევე, არც ისე შორეულ წარსულში, „ტკბილი ქვეყნის“ მიერ ნაწარმოები შოკოლადი „ბათუმი“ და „შემიყვარე“, რომლებიც **Bounty**-სა და **Snickers**-ის სასაქონლო ნიშნებს ჰგავდა და დღეისათვის ბრუნვიდან ამოღებულია.

ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა გარკვეული მუხლების იმპლემენტირება, რომელიც უკეთესი გარანტი იქნება სასაქონლო ნიშნიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დაცვის ნაწილში, რადგან არსებული პრაქტიკით დარღვევები ამ სფეროში უმეტესად დელიქტური ხასიათისაა და სამოქალაქოსამართლებრივი სანქციები გამოიყენება.¹³ თუმცა ასეთმა ცვლილებებმა თავდაპირველად პრაქტიკაში შესაძლებელია როგორც სამართლებრივი, ისე სოციალური წინააღმდეგობები გამოიწვიოს.

სპეციალური კანონმდებლობის ძველი რედაქცია განსაკუთრებული უფლების დარღვევისას იძლეოდა არც ისე ამომწურავი ხასიათის დათქმებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ კანონის 45-ე მუხლის თანახმად, განსაკუთრებული უფლების დარღვევა ინვევდა პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო უფლების მფლობელისათვის შემოიფარგლებოდა

¹² იხ. **Louis Vuitton Malletier S.A. v. Haute Diggity Dog, LLC, United States Court of Appeals for the Fourth Circuit 507 F.3d 252 (4th Cir. 2007)**.

¹³ იხ., დამუკავშილი დ., ინტელექტუალურ საკუთრებათა სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2014, 299-300.

ისეთი სახით, როგორიცაა უფლების მფლობელის მიერ სასამართლოსათვის მიმართვა და მის მიერ 1. დამრღვევი ქმედების შეწყვეტა; 2. მიყენებული ზიანის ანაზღაურება; 3. ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო მასალის და სარეკლამო განაცხადის განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას; 4. სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისგან განცალკევება შეუძლებელი იყო, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი. იმისათვის, რომ ამოქმედდეს სასაქონლო ნიშნიდან გამომდინარე დაცვის განსაკუთრებული უფლებები, უპირველეს ყოვლისა, უეჭვო უნდა იყოს მისი გამოყენება.¹⁴ აღნიშნული მუხლი უფლების მფლობელის მიერ საქონლის განადგურების მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებდა, როცა სასაქონლო ნიშნის განცალკევება საქონლისგან შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში მოსარჩელეს დაუყენებია შუამდგომლობა, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა მხოლოდ დაცული ნიშნის გამოყენებით შექმნილი გამოსახულებების ეტიკეტების, შესაფუთი მასალის, სარეკლამო განცხადებების და არა თავად საქონლის განადგურების ნაწილში.¹⁵ გარდა სპეციალური კანონმდებლობისა, საქონლის განადგურება დასაშვებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია ევროპული სტანდარტების მიდგომა და ჰარმონიზაციის ფარგლებში, სასამართლოს შეეძლება, უფლების მფლობელის მოთხოვნითა და უფლების დამრღვევის ხარჯით, მოითხოვოს ინტელექტუალური საკუთრების დარღვევის შემცველი საქონლის განადგურება.¹⁶ ეს ცვლილება იქნება შესატყვისი იმ მთავარი მიზნისა, რომლის თანახმადაც, ინტელექტუალური საკუთრების აღსრულებისათვის

¹⁴ იხ., იქვე, 296.

¹⁵ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება №ს-471-445-2011.

¹⁶ იხ., „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება, 195-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

აუცილებელია დაინერგოს ისეთი ხელშემწყობი მექანიზმების, ქმედებებისა და პროცედურების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება TRIPS-ის ხელშეკრულებას და რომელიც შექმნის განსაკუთრებული უფლებების დაცვის გარანტიას სამართლიან, თანასწორ და შეუფერხებელ პირობებში.

კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ფარგლებში, სასამართლო იძენს უფლებამოსილებას, აუკრძალოს არამართლზომიერი ქმედების განხორციელება არა მხოლოდ განსაკუთრებული უფლების დამრღვევს, არამედ მესამე პირს, რომლის მომსახურებაც გამოყენებულია უფლების დარღვევისათვის. კანონის ძველი რედაქციითა და პრაქტიკით, „სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, აკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას შეწყვიტოს უფლების დამრღვევმა უფლების დამრღვევი ქმედება რაც თავის მხრივ, გულისხმობს ნებისმიერი საქმიანობის შეწყვეტას, მათ შორის, იდენტური/მსგავსი ნიშნის უკანონო გამოყენების აკრძალვასა და დაცული ნიშნის ყველა გამოსახულების, ეტიკეტის, სარეკლამო განაცხადის განადგურებას, რომელიც შეიცავს უფლების მფლობელის საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნის მსგავს ნიშანს, ასლს და იმიტაციას, მათ შორის, ამ სახელწოდების შემცველი ყველა გამოსახულების, ეტიკეტის, სარეკლამო განცხადების განადგურებას, რაც ხელყოფს განსაკუთრებული უფლების მფლობელი პირის უფლებებს“¹⁷, მაგრამ მესამე პირს, რომლის მომსახურებაც გამოყენებულ იქნა სასაქონლო ნიშნიდან გამომდინარე უფლების დარღვევისათვის, არ განიხილავდა იმ პირად, რომელსაც შეიძლებოდა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა. უფლების დამრღვევისათვის საქმიანობის აკრძალვისას მის კეთილ ნებაზე რჩებოდა, შეანყევტინებდა თუ არა მესამე პირს ინტელექტუალური საკუთრების დარღვევით მომსახურების გაწევას, ამიტომაც საჭირო გახდა, კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულიყო მესამე პირისთვის საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნის უფლება.

¹⁷ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება Nსს-42-41-2014.

კანონის ახალი რედაქცია უზრუნველყოფისგან დამოუკიდებლად განიხილავს ზიანის დაკისრების საკითხს და ადგენს – იმ შემთხვევაში, თუ მხარეს წინასწარ ჰქონდა შეცნობილი, რომ არღვევდა მესამე პირის ინტელექტუალურ საკუთრებას ან ჰქონდა სათანადო საფუძველი, რომ სცოდნოდა ამის შესახებ, ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი იმ ოდენობით, რაც რეალურად მიაღდა მას ამ ქმედების შედეგად ან ერთჯერადად.¹⁸ რეალური ზიანის განსაზღვრისთვის მნიშვნელობა ენიჭება ყველა გარემოებას, მაგალითად, უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს, დაკარგული შემოსავალის ჩათვლით, რომელიც განიცადა დაზარალებულმა მხარემ, ასევე, სამართალდამრღვევის მიერ მიღებული უსამართლო მოგება, უფლების მფლობელის მორალური შეურაცხყოფა და სხვ. სამწუხაროდ, რეალობიდან გამომდინარე, სასამართლო სკეპტიკურად იყო განწყობილი ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით და ერიდებოდა უფლების დამრღვევისათვის სანქციების დაკისრებას, მით უმეტეს, თუ საქმე ეხებოდა მორალურ ზიანს. არგუმენტად ზემოხსენებული დავაც გამოდგება, როდესაც მოსარჩელემ თავდაპირველად მოითხოვა ნახევარი მილიონი ლარი, როგორც მისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, ხოლო 50 000 ლარი მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მაგრამ სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ მას შემდეგ დააკისრა, რაც მოსარჩელემ შეცვალა სასარჩელო მოთხოვნა და მხოლოდ 1 ლარი მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურების საფასურად,¹⁹ ეს კი მაშინ, როდესაც ევროპასა და აშშ-ში, სასაქონლო ნიშნის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სახით კოლოსალურ თანხებს იღებენ.

ცვლილებები, ასევე, ითვალისწინებს ერთჯერადად ზიანის ანაზღაურებას, რაც მოიცავს თანხის დაკისრებას, რომელიც სულ მცირე უნდა განისაზღვროს იმ ჰონორარის ან საფასურის ოდენობით, რომელსაც დამრღვევი გადაუხდიდა უფლების მფლობელს, რომ

¹⁸ იხ., „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება, 196-ე მუხლი.

¹⁹ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება №ა-471-445-2011.

მოეთხოვა სასაქონლო ნიშნის გამოყენების ნებართვა. ზიანის დათვლის კიდეც ერთი განსხვავებული პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ სამართალდარღვევმა არ იცოდა დარღვევის შესახებ და ამ დროს სასამართლომ შეიძლება განსუსაზღვროს დამრღვევს მხოლოდ შემოსავლის ან ზიანის ანაზღაურების დაკისრება. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით, აქამდე არ ყოფილა განსაზღვრული ზიანის დათვლის კრიტერიუმები და ის კანონმდებლობითა და პრაქტიკით დამკვიდრებული ზოგადი წესების შესაბამისად დაითვლებოდა. ახალი ცვლილებებით კი განისაზღვრა ზიანის დათვლის ძირითადი მახასიათებლები, ასევე, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას მნიშვნელობა შეიძინა უფლების დამრღვევის მიერ დარღვევის „ცოდნა“- „არცოდნამ“ და მასთან დაკავშირებულმა მტკიცების ტვირთმა.

V. დასკვნა

ანალიზის შედეგად ნათლად გამოიკვეთა ის დადებითი პროცესები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიმართულია მფლობელთა უფლებების ეფექტურად განხორციელების მიზნით სასაქონლო ნიშნების ხელყოფის პრევენციის, აღკვეთისა და ადეკვატური სანქციების გატარების სამართლებრივი მექანიზმების განსასაზღვრად.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა მოხდეს არა მხოლოდ სამართლებრივი კუთხით კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, არამედ უნდა დაინერგოს ერთიანი პრაქტიკა, გადამზადდნენ მოსამართლეები, ადვოკატები და სასაქონლო ნიშნის მარეგისტრირებელი ორგანოს თანამშრომლები ევროპული სტანდარტების, მათ მიერ დაგროვილი გამოცდილების შესაბამისად. საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა გატარდეს არაერთი ღონისძიება, ასევე მაქსიმალურად უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს როგორც უფლების მფლობელებისათვის, ისე მომხმარებლებისათვის მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებას (ელექტრონული გამოცემები, გადაცემები და ა.შ.). იმისათვის, რომ მოხდეს კანონმდებლობის სრული ჰარმო-

მარიამ ღუბიანური, სასაქონლო ნიშნის დაცვა

ნიზაცია, ყველა ზემოაღნიშნულთან ერთად, უმნიშვნელოვანესია, დაინერგოს სწორი და სამართლიანი პრაქტიკა და ამით თავიდან იქნეს აცილებული უსაფუძვლო, არასამართლიანი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღება.

სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერის გასაჯაროების თავისუფლების სამართლებრივი ფარგლები

სერგი ჯორბენაძე*

I. შესავალი

ინტერნეტის საშუალებით პირად მიმოწერათა კატეგორიას განეკუთვნება: ა) პირადი ელ-ფოსტა და შესაბამისი გზავნილები; ბ) სამსახურეობრივი მიმოწერა; გ) ე.წ. „ჩათის“ სახით დამყარებული კომუნიკაცია. თითოეული მათგანის გასაჯაროება სამართლებრივად შეზღუდულია.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, გავრცელების ფარგლები ორ სახედ შეიძლება დაიყოს: ა) ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება (პირთა განუსაზღვრელი წრისადმი) და ბ) ინფორმაციის ინდივიდუალურ ადრესატამდე მიტანა (ეს ისეთ შემთხვევას ეხება, როდესაც კონკრეტული პირი ზუსტად არის განსაზღვრული, ხოლო გამავრცელებლის სურვილი ამ უკანასკნელამდე ინფორმაციის მიტანაა). სწორედ პირთა კონკრეტული წრის გათვალისწინებით, შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს პრევენციული მიზნების განსახორციელებლად. საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პრაქტიკა, თუ რას გულისხმობს შეზღუდვა. აქ იგულისხმება ფორმალური თვალსაზრისით ინფორმაციის (პირადი მიმოწერის) გავრცელების (გასაჯაროების) შეზღუდვა, თუ მისი შინაარსობრივი დანიშნულების ფარგლების განსაზღვრა?² ნაშრომის ფარგლებში სწორედ ამ საკითხებზე იქნება გამახვილებული ყურადღება, თუ რა უფლებები (და, შესაბამისად, მოლოდინი)

* სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული კომპანია „ჯეი ემ ჯი და პარტნიორების“ მმართველი პარტნიორი.

¹ Solmecke C., Wahlers J., Recht im Social Web, 1. Auflage, Bonn, 2014, 167-168.

² წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკას. ამ მხრივ, მსჯელობა განვითარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის Nას-103-98-2014 განჩინებაში.

სერგი ჯორბენაძე, პირადი მიმოწერა სოციალურ ქსელში

შეიძლება ჰქონდეს სუბიექტს, რომელსაც მოლოდინი აქვს, რომ მისი მიმოწერა არ გავრცელდება.

II. პირადი მიმოწერის არსი

1. პირადი მიმოწერის დანიშნულება

საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებაა, რომ პირადი მიმოწერა პერსონალური კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა,³ რადროსაც კონტაქტი მყარდება განსაზღვრულ პირთან.⁴ შესაბამისად, ცალკეული პრობლემის, დავის წარმოშობის შემთხვევაშიც საკითხი განხილულ უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეიძლება ორ (ან მეტ) პირს შორის არსებული მიმოწერის საშუალებით, დაირღვეს განსაზღვრული პირის, ადრესატის არაქონებრივი უფლებები და სხვ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება პირადი მიმოწერის დანიშნულება გამოიკვეთოს – მიენოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პირს (პირთა ჯგუფს) და არა პირთა განუსაზღვრელ წრეს.

პირადი მიმოწერა განსხვავდება ინფორმაციის საჯარო გავრცელებისგან.⁵ პირად მიმოწერასა და საჯარო გავრცელების განსხვავების საკითხზე საუბრისას სამი ძირითადი ასპექტი უნდა გამოიყოს, რომლითაც შესაძლებელი იქნება დასაბუთებული მსჯელობის წარმართვა: ა) პირთა წრე – პირთა განსაზღვრული წრე, რომელიც აირჩევა ინდივიდუალურად, რაც განსხვავებულადაა ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებისას. პირადი მიმოწერის შინაარსის ადრესატს ყოველთვის კონკრეტული პირი წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში, პირადი მიმოწერის საშუალებანი თავის დანიშნულებას დაკარგავდნენ (“Messenger” და სხვ.). შესაბამისად, ის,

³ იხ., მაგალითად, Kerr I., *Personal Relationships in the Year 2000: Me and My ISP/78, Personal Relationships of Dependence and Interdependence in Law*, Vancouver, 2002, 81.

⁴ Schwindt A., *Das Facebook-Buch*, Köln, 2012, 159.

⁵ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებაში იგულისხმება ნებისიერი გაზიარება, მაგალითად, ცალკეულ ჯგუფებში (თუნდაც, იგი დახურული იყოს), ასევე, სხვა პირთან პირად მიმოწერაში (შესაბამისი თანხმობის გარეშე), საკუთარ გვერდზე დადება და ა.შ.

რაც შეიძლება პირადად იქნეს მიწერილი, არ გულისხმობს, რომ ხელმისაწვდომი გახდება მესამე პირისთვის; ბ) გონივრული მოლოდინი – გონივრული მოლოდინი პირთა წრესთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული. პირადი შეტყობინების გაგზავნისას მიმწერს გონივრული მოლოდინი უჩნდება, რომ შესაბამისი კომუნიკაცია არ იქნება მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი; გ) ტექნიკური მახასიათებელი – პირთა არჩევისა და გონივრული მოლოდინის ფარგლებს სოციალური ქსელის ფუნქცია (ტექნიკური მახასიათებლის გათვალისწინებით) განსაზღვრავს. მაგალითად, “Facebook”-ის შემთხვევაში, პირადი მიმონერა არ იძლევა გაზიარების საშუალებას. ამდენად, ნებისმიერი მოქმედება, რომლითაც პირი ინფორმაციას გაიზიარებს სახალხოდ (თუნდაც, პირთა განსაზღვრული წრისთვის, თუმცა, მიმწერის თანხმობის გარეშე), განზრახ ქმედებად უნდა იქნეს მიჩნეული.

2. პირადი მიმონერის კავშირი დახურულ ჯგუფში გავრცელებულ ინფორმაციასთან – პირთა წრე

პირადი მიმონერის ფარგლებში ინფორმაციის გავრცელების ქრილში გარკვეული ანალოგიის გაკეთებაა შესაძლებელი სოციალურ ქსელში, დახურულ ჯგუფში გავრცელებულ ინფორმაციასთან, მოკლეტექსტურ შეტყობინებასთან, ელ. ფოსტასთან⁶ და ა.შ. აღნიშნულიდან სოციალური ქსელის ჯგუფებში გავრცელებული ინფორმაციის საკითხი, თავისი არსით, პირად მიმონერასთან ყველაზე ახლოს დგას. როგორც პირადი მიმონერისას, დახურული ჯგუფის შემთხვევაშიც, პიროვნებამ შესაძლებელია თავად აირჩიოს, თუ ვისთან სურს, ჰქონდეს კომუნიკაცია.⁷ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა სოციალურ ქსელში (Facebook) არსებულ დახურულ ჯგუფში გავრცელებული ინფორმაციის სამართლებრივობასთან დაკავშირებით,⁸

⁶ იხ., Notzon M., Arbeitsrecht meets Facebook, öAT, München, 2013, 182.

⁷ იხ., Schwindt A., Das Facebook-Buch, Köln, 2012, 175.

⁸ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

სერგი ჯორბენაძე, პირადი მიმონერა სოციალურ ქსელში

რომლის ფარგლებშიც, ასეთი ინფორმაციის გავრცელება უფლების დარღვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

III. პირის თანხმობა პირადი მიმონერის გავრცელებაზე

თანხმობა,⁹ რომლითაც პირი არ აცხადებს უარს პირადი მიმონერის გავრცელებაზე, უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის გავრცელების წინაპირობად. ცალსახად იმის თქმა, რომ თანხმობის შემთხვევაში პირი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი არაქონებრივი უფლებები, არ იქნებოდა მართებული. ამ შემთხვევაში ორი აუცილებელი პირობა იკვეთება, რომლის ფარგლებშიც უნდა წარიმართოს მსჯელობა: ა) არაქონებრივი უფლებების „განკარგვის“ დაუშვებლობა და ბ) შედეგების გააზრების აუცილებლობა.

1. არაქონებრივი უფლებების „განკარგვის“ დაუშვებლობა

არაქონებრივი უფლებების განკარგვა (იგულისხმება შეხედულებისამებრ დატვირთვა, ნივთთან გათანაბრებული სარგებლობა და ა.შ.) დაუშვებელია.¹⁰ შესაბამისად, რად უნდა ჩაითვალოს პიროვნების თანხმობა, ინფორმაციის (პირადი მიმონერის) გავრცელების თაობაზე? მაგალითად, პიროვნება თანხმობას აცხადებს, გავრცელდეს მისი პირადი მიმონერა სხვა პიროვნებასთან. ამ მიმონერის გავრცელებისას, მას მიაჩნია, რომ ინფორმაციის ფართო მასებისთვის მიწოდება არ შეუქმნის სამომავლოდ პრობლემას. პიროვნება არ იაზრებს (და მიიჩნევს თავისი თვალსაწიერიდან გამომდინარე), რომ მისი მიმონერა გავრცელდება იმავე პათოსით, როგორც ეს კონკრეტულ პირთან კომუნიკაციისას იყო. რეალური შედეგი აღმოჩნდა განსხვავებული: გავრცელებული მიმონერა საზოგადოების (პირთა განუსაზღვრელი წრის) მიერ სხვა ჭრილში

⁹ თანხმობა შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით თანხმობაში, ისე კონკლუდენტურ ქმედებაში.

¹⁰ იხ., კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 133.

იქნა გააზრებული. თანხმობის მიუხედავად, პიროვნება მიიჩნევს, რომ შეილახა მისი არაქონებრივი უფლებები (მაგალითად, ღირსება).

მსჯელობის კვალად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა სავარაუდო პოზიცია ექნებოდა მოპასუხეს სასამართლოში – ვინაიდან არსებობდა წერილობითი თანხმობა ინფორმაციის გავრცელებაზე, მოპასუხე ვერ იქნება პასუხისმგებელი მიყენებული ზიანისთვის (თუ არსებობს ამგვარი ზიანი ასეთ შემთხვევაში). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოსაზრების მიხედვით, წერილობითი თანხმობა მხარეს ასეთი უფლების ქონის შესაძლებლობას ანიჭებს, რაც სადავო შეიძლება გახდეს თითოეულ შემთხვევაში.

წერილობითი დადასტურება გულისხმობს გონივრულობის ფარგლებში განსახორციელებელი ქმედების თაობაზე თანხმობას და არა ღირსების შელახვის შემთხვევაში სასარჩელო წარმოებაზე უარის თქმას. ამ ორ ინსტიტუტს შორის აუცილებელია, რომ მნიშვნელოვანი ზღვარი გაივლოს. მაგალითად, პირადი მიმოწერის ფარგლებში პიროვნების თანხმობა: „დიახ, შეგიძლია, ინფორმაცია გაავრცელო“, გულისხმობს არა ღირსების უფლების განკარგვას, არამედ პირის გონივრულ მოლოდინს (რომელიც ობიექტურ რეალობასთან შესაბამისი უნდა იყოს) და ამ მოლოდინზე მისი მხრიდან ნების გამოვლენას. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითაა მნიშვნელოვანი, რომ სამომავლო შედეგები ობიექტურ, ლოგიკურ, გონივრულ კრიტერიუმთა გათვალისწინებით იქნეს გააზრებული.

2. შედეგების გააზრების აუცილებლობა

შედეგების გააზრებაა აუცილებელი თხოვნისას, როდესაც პირი მონდომებულია, გაავრცელოს ინფორმაცია და ითხოვს მეორე პირისგან ასეთი ნებართვის მიღებას. ამ შემთხვევაში, საუბარია ობიექტურად განსასაზღვრ პირთა წრეზე, რომელსაც საერთოდ ასეთი უფლებამოსილება აქვს.¹¹ მაგალითად, თუ იურიდიული

¹¹ იხ., Solmecke C., Wahlers J., Recht im Social Web, 1. Auflage, Bonn, 2014, 170.

პირის საიდუმლოების თაობაზე პირადი მიმონერაა გამართული იურიდიული პირის რიგით თანამშრომელსა და მის მეგობარს (რომელიც თანამშრომელი არაა) შორის. მეგობარი სთხოვს თანამშრომელს, უფლება მისცეს, გაავრცელოს ეს ინფორმაცია და მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი გახადოს. ასეთი თხოვნის მიუხედავად, თანამშრომლის თანხმობა ვერ ჩაითვლება იურიდიული პირის თანხმობად,¹² ვინაიდან მეგობარს გააზრებული აქვს (ან უნდა ჰქონდეს), რომ თანამშრომლის ქმედება იურიდიული პირის ნების შესაბამისი არ არის.¹³ მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობის საკითხი დაფუძნებული იქნება იმ გარემოებაზე, რამდენად უარყოფითი შედეგის მომტანი გახდა აღნიშნული ქმედება.

დასახელებული მაგალითისგან რადიკალურად განსხვავდება შემთხვევა, როდესაც პირი ითხოვს პირადი მიმონერის გასაჯაროებაზე ნებართვას – ამ შემთხვევაში, მიმონერა მომდინარეობს იმ ორი სუბიექტისგან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მიმონერაში, ხოლო, გასაჯაროების შემთხვევაშიც, ჩართული სუბიექტის მოლოდინი არსებულ გონიერულობასთან აბსოლუტურად შესაბამისი იქნება. თავის მხრივ, ცალკე განხილვის თემაა თანხმობის სახეები და მისი გამოხატვის შესაძლებლობა. ასეთ დროს, ყურადსაღებია ის, თუ რამდენი პირი მონაწილეობდა მიმონერაში და თუ როგორ მოხდა თანხმობის მიღება (მაგ., უმოქმედობა რამდენად შეიძლება ჩაითვალოს თანხმობად და ა.შ.).

2.1 კონკლუდენტური ქმედების შედეგი

პირის მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე თანხმობის გამოთქმა შესაძლებელია არა მხოლოდ განსაზღვრული თანხმობის მკაცრად გამოხატველი ფორმით – „თანახმა ვარ“, – „ერთავთ ამ მიმონერის გამოქვეყნების უფლებას“ და ა.შ., არამედ ნებისმიერი შინაარსით.

¹² გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც თანამშრომელს ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს და ეს დასტურდება შესაბამისი საშუალებით.

¹³ Solmecke C., Wahlers J., Recht im Social Web, 1. Auflage, Bonn, 2014, 170.

მაგალითად, „არ მექნება პრობლემა, თუ ეს მიმონერა გამოქვეყნდება“ და სხვ.¹⁴ ეს არის ყველაზე ლოგიკური გამოვლინება, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება, ინფორმაცია გასაჯაროვდეს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება თანხმობა დუმილშიც (უმოქმედობაშიც) გამოიხატოს.

უმოქმედობის (დუმილის) ნაწილში შესაძლებელია, პარალელი გაივლოს სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლთან. ამ მუხლში ყურადღება გამახვილებულია მენარმეზე. აღნიშნულის მიზეზად მისი საქმიანობის ფარგლები და საქმიანობის გათვალისწინებით, გონივრული მოლოდინია მიჩნეული. ასეთი მოლოდინის ანალოგიურ შემთხვევა კი შეიძლება იყოს პირადი მიმონერის ერთ-ერთი ადრესატის უმოქმედობა მაშინ, როდესაც მან იცოდა (ან შეიძლებოდა სცოდნოდა), რომ მეორე მხარე მის მიმონერას გაასაჯაროებდა და შესაბამისად არ იმოქმედა ამ კუთხით.

2.2 რამდენიმე პირის თანხმობის აუცილებლობა

იმ შემთხვევაში, თუ პირად მიმონერაში რამდენიმე პირი ფიგურირებს, მაშინ თანხმობა ყველა მათგანმა ინდივიდუალურად უნდა განაცხადოს.¹⁵ გამონაკლისის სახით შეიძლება ისეთი შემთხვევის განხილვა, როდესაც გასავრცელებელი ინფორმაცია რამდენიმე პირიდან მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ეხება და როდესაც ამ პირის უფლებების დაცვის, დარღვევის საკითხის ფარგლების დადგენაა საჭირო. ასეთ დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, თუ რამდენად დაირღვევა სხვა მონაწილე პირის უფლებები ინფორმაციის გავრცელებისას. კერძოდ, რამდენად გამოჩნდება მისი პერსონალური მონაცემები და სხვ.

2.3 შუალედური შეჯამება

პირის თანხმობა პირადი მიმონერის გასაჯაროების თაობაზე არ წარმოშობს სამომავლოდ დაბრკოლებას, თუ აღნიშნული დადა-

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

სერგი ჯორბენაძე, პირადი მიმონერა სოციალურ ქსელში

სტურებული იქნება ცალკეული მტკიცებულებებით (მაგალითად, პირად მიმონერაშივე არსებული ტექსტით). ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პირის მხრიდან თანხმობის განცხადებად, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ინდივიდუალური განხილვის საფუძველი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მიმონერის შინაარსს, ისე მის დანიშნულებასა და სახეს¹⁶.

IV. საზოგადოებრივი ყურადღების ფარგლები

საზოგადოებრივი ყურადღების საკითხი ყოველთვის არაა ინფორმაციის გასაჯაროების წინაპირობა.¹⁷ ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ყურადღება ყოველთვის ცალკეული შემთხვევებიდან გამომდინარეობს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ობიექტურ ფარგლებში უნდა მოექცეს. ასეთი შეიძლება იყოს პოლიტიკური საკითხების შესახებ ინფორმაცია,¹⁸ ასევე, სახელმწიფოს აქტივობა, სამეწარმეო საქმიანობა, პიროვნების შესახებ ინფორმაცია და ყველა ის ქმედება, რაც შესაბამისი საქმიანობის ფარგლებში შეიძლება საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს.¹⁹

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განმარტებულია საზოგადოებრივი ყურადღება – საზოგადოების ინტერესი იმ მოვლენისადმი, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ამ განმარტების მიხედვით, საზოგადოებრივი ყურადღება არ უნდა იყოს მხოლოდ ცნობისმოყვარეობაზე დაფუძნებული. შედეგად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კერძო ინტერესის დაკმაყოფილებისკენ მიმართული ქმედება და საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ მოქცეული მოვლენა.²⁰ ამავე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განმარტებულია საჯარო

¹⁶ იხ., LG Saabrücken Urteil vom 02.11.2017, Az.: 6U164/16.

¹⁷ იხ., OLG Hamburg, Beschluss vom 04.02.2013, 7W5/13.

¹⁸ იხ., Branahl U., Medienrecht, eine Einführung, 7. Auflage, Wiebaden, 2013, 100.

¹⁹ Eichhoff J., Investigativer Journalismus aus verfassungsrechtlicher Sicht, Tübingen, 2010, 182.

²⁰ იხ., BVerwGE, Beschluss vom 19. Dezember 2007, 1 BVR 620/07.

პირის ცნება, რომლის დეფინიციის ერთ-ერთ მოცემულობაშიც საზოგადოებრივი ყურადღებაზეა ხაზი გასმული. დასახელებული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სა-სარგებლოდ გადასაწყვეტი ქმედება. მე-15 მუხლით კი კვალიფიცი-ური პრივილეგიის საკითხია განსაზღვრული, რომელიც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში თავისუფლების ფართო არეალს იძლე-ვა.²¹

1. საჯარო პირის პირადი მიმონერის შედეგები სამსახურეობრივ საქმესთან დაკავშირებით

2017 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საინტერესო პრაქტიკა დაადგინა. საჯარო დაწესებულების ელ-ფოსტა, რომელიც შეეხებოდა გადა-უდებელ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ გაგზავნილ და მიღებულ წერილებს, საჯარო ინფორმაციად მიიჩნია.²² უმთავრესი საფუძველი, რის გამოც სასამართლომ საკასაციო მოთხოვნა და-ასაბუთა, მიმონერის ბუნება და საჯარო დაწესებულების მხრიდან განსახორციელებელი მოქმედებაა (შინაარსი). კერძოდ, სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ თავისი ბუნებით, ამგვარი მიმონერის გასაჯა-როება სახელმწიფოს ინტერესს არ შეზღუდავდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, შესაძლებე-ლია მსჯელობის წარმართვა სოციალურ ქსელში საჯარო პირის მიმონერის გავრცელებასთან მიმართებით. უკვე აღინიშნა შემ-თხვევა, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს ეხებოდა, თუმცა საკითხი კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობს, როდესაც პირადი მიმონერის გასაჯაროება საზოგადოებრივი ინტერესის ფარგლებს გარეთაა მიმართული. მაგალითად, ორი პოლიტიკოსის პირადი მიმონერის (რომელიც არ შეეხება პირად საკითხებს, ასევე, არ

²¹ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის №ას-677-638-2011 განჩინება.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-286-284(კ-17) გადაწყვეტილება.

განიხილება აუცილებლობად, მიმოწერა დიპლომატიური ენით შესრულებული იყოს) ადრესატი მეორე პოლიტიკოსის მიერ გასაჯაროება არ უნდა ჩაითვალოს უფლების დარღვევად ორი მიზეზის გამო: 1. პოლიტიკოსი თავისთავად საჯარო პირია (განსხვავებით არაპოლიტიკოსი საჯარო პირისგან, მის მიმართ მეტი ნდობა, მოლოდინი არსებობს საზოგადოებაში) და 2. საკითხი, რომლის თაობაზეც განხორციელებულია მიმოწერა, საზოგადოებრივი (სახელმწიფო, საჯარო) დანიშნულების მატარებელ ინფორმაციას ეხება. ანალოგიური შეიძლება ითქვას მიმოწერაზე, რომელსაც პოლიტიკოსი (საჯარო მოხელე) ახორციელებს ნებისმიერ სხვა პირთან (მაგალითად, ჟურნალისტთან). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც საუბარი არ უნდა შეეხებოდეს კერძო საკითხებს.

საჯარო მოხელისგან განსხვავებით, საჯარო პირზე, რომელიც, მაგალითად, ცნობილი მსახიობი,²³ ან ჟურნალისტი,²⁴ ასეთი მოქმედების განხორციელება შეიძლება მეტად შეიზღუდოს გავრცელების ბუნების გათვალისწინებით – ცნობილი მსახიობის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის, და საპირისპიროდ – თმენის ვალდებულების ის მაღალი სტანდარტი არ არის დანესებული, რაც პოლიტიკური ფიგურის ქმედებას მიემართება.²⁵ ამასთან, ამ პროფესიის წარმომადგენლის განცხადებას²⁶ არ გააჩნია საზოგადოებრივი ნდობის ისეთი მაღალი სტანდარტი, რომელიც საზოგადოებაზე გავლენას მოახდენდა. შესაბამისად, „საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს“ პოზიცია ვერ იქნება თავისი ბუნებით ასეთ შემთხვევაში გაზიარებული.

²³ ცნობილი მსახიობის საჯარო პირად დაკვალიფიცირება ეყრდნობა პრაქტიკაში განვითარებულ მსჯელობას – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის №ას-1332-1258-2012 განჩინება.

²⁴ ჟურნალისტის საჯარო პირად დაკვალიფიცირება ეყრდნობა პრაქტიკაში განვითარებულ მსჯელობას – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის №ას-1149-1169-2011 განჩინება.

²⁵ პოლიტიკურ ფიგურასა და საჯარო პირის სხვა წარმომადგენელს შორის არსებული უფლებებისა და ვალდებულების სტანდარტის თაობაზე იხილეთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 ივლისის №ას-1001-972-2016 გადაწყვეტილება.

²⁶ თუ იგი ამავდროულად არ არის პარლამენტის წევრი ან არ უკავია სხვა პოლიტიკური თანამდებობა.

2. საჯარო პირის პირადი მიმონერის შედგები პირად საქმესთან დაკავშირებით

საჯარო პირის პირადი მიმონერის გასაჯაროება დაუშვებელია, თუ მას თავისი ბუნებით პირადი ხასიათი აქვს, პირად საკითხებს ეხება.²⁷ ასეთ დროს, მნიშვნელობა არა აქვს, საჯარო პირი (მიუხედავად მისი დიფერენციაციისა) რა საშუალებას იყენებს პირადი მიმონერის წარმართვისთვის. საგამონაკლისო შემთხვევა შეიძლება დადგეს, თუ საჯარო პირი ისეთ საშუალებას იყენებს მიმონერის წარმოებისთვის, რომელზეც იგი ინფორმირებულია (ან უნდა იცოდეს), რომ ეს უკანასკნელი გასაჯაროვდება თავისი ბუნების გათვალისწინებით.

V. გამოხატვის თავისუფლების ფარგლები

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია, თუ სხვათა უფლებების დარღვევის არსიდან გამომდინარე, მისი შეზღუდვის აუცილებლობა? პირადი მიმონერის გასაჯაროების ქრილში მსჯელობისას ორი საკითხი უნდა იქნეს განხილული: ა) ფორმალური და შინაარსობრივი ასპექტების ურთიერთმიმართება და ბ) არაქონებრივი უფლებების შესაძლო დარღვევის საკითხი პირადი მიმონერის გავრცელების ქრილში.

1. ფორმალური და შინაარსობრივი ასპექტების ურთიერთმიმართება პირადი მიმონერის გავრცელების ქრილში

ფორმალურ მხარეში იგულისხმება გავრცელების ფაქტთან მიმართებით შესაბამისი რეაგირება – უფლების დარღვევა იმ შემთხვევაში, თუ პირადი მიმონერა გასაჯაროვდა. ამ მხრივ, არა აქვს მნიშვნელობა, რა შინაარსის მატარებელი იყო მიმონერა.

²⁷ აღნიშნულზე იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები: ნიმიეტი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany), ასევე, ჰელფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Halford v. the United Kingdom). საინტერესოა, რომ ეს საქმეები გამოყენებული აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში, რომლითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ელ-ფოსტის მიმონერის გასაჯაროება დაევალა.

გასაჯაროების ფაქტი უკვე შესაბამისი შედეგის განმსაზღვრელი უნდა იყოს. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, ამ შემთხვევაში, ყურადსაღებია ის მომენტი, თუ რას ეხებოდა პირადი მიმონერა, რამდენად იყო იგი უფლების დარღვევის მქონე და სხვ.

გავრცელების შემთხვევაში, კანონის უპირობო დარღვევის საკითხზე ყურადღების გამახვილება შესაძლებელი იქნებოდა, ასეთი კანონი ამგვარ თემატიკას რომ აწესრიგებდეს. სხვა სიტყვებით, საქართველოში არ არსებობს ნორმა, რომელიც ასეთ შემთხვევაში უფლების დარღვევის ფაქტს დაადგენდა. მეტიც, მოთხოვნის დაყენებაც, ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევაში სამართლებრივ ჩარჩოში არ ექცევა.²⁸

მსჯელობის კვალად აუცილებელია აღინიშნოს სამართლებრივი მოწესრიგების ხარვეზი: მაგალითად, გავრცელდა პირადი მიმონერა, რომელიც არ შეიცავს უხამსობას, პიროვნების უფლებებს არ არღვევს (შინაასრობრივი კუთხით)²⁹ და ა.შ., მაგრამ მიმონერის ავტორს არ სურდა ასეთი ინფორმაციის გავრცელება. სასარჩელო მოთხოვნის შემთხვევაში, მას წარმოექმნება დაბრკოლება – სამართლებრივი ნორმის მოძიება, რომლითაც ის პოზიციის ჩამოყალიბებას შეძლებდა, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მისი სურვილის დაკმაყოფილებას.

განსხვავებულადაა საკითხი, როდესაც გავრცელებული მიმონერა უფლების დარღვევის შინაარსის მატარებელია.³⁰ ამ შემთხვევაში მოთხოვნა შეიძლება დადგეს როგორც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის, ისე სპეციალური კანონის ფარგლებშიც. გარდა ამისა, შესაძლებელია, მოთხოვნა შეეხებოდეს არაქონებრივი უფლებების დარღვევას. ასეთ შემთხვევაში, საკითხი უნდა დაეფუძნოს

²⁸ ასეთ შემთხვევაში, მსჯელობა ანალოგიის საფუძველზე უნდა იქნეს წარმატული. იხ., LG Saabrücken Urteil vom 02.11.2017, Az.: 6U164/16.

²⁹ პერსონალური მონაცემების დარღვევასა და სხვა თანმდევ შედეგებზე შეგნებულად არ მახვილდება ყურადღება.

³⁰ იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის №ას-103-98-2014 განჩინება – როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ სასამართლო პრაქტიკა აფუძნებს იმ რეალობას, რაზე დაყრდნობითაც, შინაარსობრივ დატვირთვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის მოგვარებისთვის.

ასეთი უფლებების დარღვევის აუცილებელ ობიექტურ წინაპირობებს,³¹ რომელთა გათვალისწინება გონივრული შედეგის პირდაპირპროპორციულია.³²

2. არაქონებრივი უფლებების შესაძლო დარღვევის საკითხი პირადი მიმოწერის გავრცელების ჩრილში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ გავრცელებული პირადი მიმოწერის შინაარსი უფლების შემლახველია, მასზე მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა მხარეს აქვს.³³ მართალია, სასამართლო პრაქტიკა, არ ამხავილებს ყურადღებას პირადი მიმოწერის საფუძველზე შესაბამისი უფლების შელახვის ფაქტთან მიმართებით, მაგრამ მსჯელობს ასეთი დარღვევის არარსებობაზე არსებული მოცემულობიდან გამომდინარე.³⁴ სხვა სიტყვებით, სასამართლო განიხილავს მიმოწერის შინაარსს და არა მის ფორმალურ მხარეს.

3. აღსრულების სირთულე

მოთხოვნის დაყენების კვალად, სირთულეა სასამართლოს მხრიდან მისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება. მაგალითად, მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის ფარგლებთან ვერ იქნება პირდაპირ შესაბამისობაში ასეთი დათქმა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ტერმინი „ცნობა“ განიმარტოს (პირად მიმოწერასთან შესაბამისობის მიზნით). თუ ეს ტერმინი ფართოდ განიმარტება, მაშინ შეიძლება ცნობა შეეხოს ნებისმიერ გავრცელებას და სასამართლოს გზითაც საპასუხო ინფორმაციის

³¹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, ველი 16.

³³ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის №ას-103-98-2014 განჩინება.

³⁴ იხ., იქვე. სასამართლო ეთანხმება სააპელაციო ინსტანციის მიერ გავითარებულ მსჯელობას და არ მსჯელობს საკითხზე განსხვავებულ ჩრილში.

გავრცელების ვალდებულება დაეკისროს პირს.³⁵ ვინაიდან ყოველი შემთხვევა კონკრეტული ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა, უნდა განისაზღვროს ის, თუ რამდენად არსებობდა გავრცელებით უფლების დარღვევა, რამდენად იყო გავრცელების პარალელურად შეფასებითი მსჯელობა³⁶ და ა.შ.

VI. დასკვნა

სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმონერის გასაჯაროების შემთხვევაში, უფლების დარღვევის ფაქტი უპირობოდ არ დგება.³⁷ ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს შინაარსს, რომელსაც პირადი მიმონერა შეიცავდა. ვინაიდან ქართული სასამართლო პრაქტიკა, შინაარსთან მიმართებით ფაქტსა და აზრს არსებითად მიჯნავს,³⁸ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, ემყარებოდა თუ არა ინფორმაცია ნამდვილ ფაქტს და რა შედეგი დადგა გავრცელების შემდეგ. სირთულე, რომელიც სამართლებრივ რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, ეფუძნება სასარჩელო მოთხოვნას და შესაბამისად, გადაწყვეტილების შესაბამის ფორმულირებას. ამდენად, ინფორმაციის გავრცელებისას ყველა საკითხი ინდივიდუალური განსჯის შედეგადაა გადასაწყვეტი, რომლის ფარგლებშიც მოწმდება მიმონერის შინაარსი, კონტექსტი და კონკრეტული უფლების (კანონის) დარღვევის ფაქტი.³⁹ შესაბამისად, სოციალურ ქსელში პირადი მიმონერის გასაჯაროების თავისუფლების შეზღუდვა, მისი შინაარსის ობიექტური განმარტების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც თავის თავში მხარეთა სტატუსის (კერძო თუ საჯარო პირი და საქმიანობის სფერო) გათვალისწინებასაც მოიაზრებს.

³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. I, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, ველი 72.

³⁶ შეად., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 27 ივლისის №ას-627-903-04 განჩინება – მით უმეტეს, თუ შეფასებითი მსჯელობა რეალურ ფაქტებს ეყრდნობა.

³⁷ იხ., მაგალითად, LG Saabrücken Urteil vom 02.11.2017, Az.: 6U164/16.

³⁸ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის №ას-1278-1298-2011 გადაწყვეტილება.

³⁹ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვლის №ბს-683-675(2კ-15) გადაწყვეტილება.

ევროკავშირის სტრუქტურა, კომპეტენციები და ევროკავშირში განვერიანების სტანდარტები

მარიამ ჯიქია*

I. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მთლიანად ეხება ევროკავშირის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებს, მის მიზნებს, კომპეტენციებსა და ევროკავშირში განვერიანების სტანდარტებს. აღნიშნული საკითხის აქტუალობა განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებით, რომელიც პროცედურულად წინ უძღვის განვერიანებას.

ევროპის ქვეყნების გაერთიანების იდეა ათეული წლების მანძილზე არსებობდა, მაგრამ რეალური ღონისძიებები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გატარდა. XX საუკუნეში მომხდარმა ორმა მსოფლიო ომმა საშინელი კვალი დატოვა ევროპაზე – მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა და ა.შ. ამ ყველაფერმა განაპირობა ევროპის სახელმწიფოების მისწრაფება იმ გზების მოსაძიებლად, რომლებიც მათ მშვიდობიანი თანაარსებობის საშუალებას მისცემდა. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა იდეა, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას ითვალისწინებდა.¹

ევროკავშირის თავდაპირველი შექმნა სამი ორგანიზაციის არსებობას ითვალისწინებდა, რომელთა გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა ევროპის გაერთიანება. 1951 წლის 18 აპრილს დაარსდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. 1957 წლის 25 მარტს რომში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას. ცალკე

* სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

¹ ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასახადო სამართალი და ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016, 13.

ხელშეკრულებამ, რომელიც იმავე დღეს იქნა ხელმოწერილი, დააფუძნა ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანება – ევრო-ატომი. ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის პარლამენტმა მოახდინა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და იგი ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვარს.² ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა გერმანელი ვალტერ ჰალშტაინი.

1967 წლის 1 ივლისს ზემოაღნიშნული სამი ორგანიზაცია გაერთიანდა ევროპული გაერთიანების სახელით (European Community). 1973 წელს ევროპის გაერთიანების გაფართოება მოხდა, წევრი სახელმწიფოების რიცხვი გაიზარდა ექვსიდან ცხრამდე,³ ხოლო მოსახლეობის რაოდენობა – 191 მილიონიდან 255 მილიონამდე.

დღესდღეობით ევროკავშირში 28 წევრი სახელმწიფოა გაერთიანებული, მათ შორის დამფუძნებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ: ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია. მისი წევრების რაოდენობა შემდეგი ქრონოლოგიით გაიზარდა: 1973 წელი – გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, დანია; 1981 წელი – საბერძნეთი; 1986 წელი – ესპანეთი, პორტუგალია; 1995 წელი – შვედეთი, ფინეთი; 2004 წელი – ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, პოლონეთი, მალტა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, კვიპროსი; 2007 წელი – ბულგარეთი, რუმინეთი; 2013 წელი – ხორვატია.

ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფოებია: ისლანდია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი; ხოლო ალბანეთი, ბოსნია და კოსოვო პოტენციურ კანდიდატებია.⁴

ორგანიზაციის სწორი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არსებობდეს გარკვეული სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს არსებული ორგანიზაციის ფარგლებში მის სამართლებრივ რეგულირებას, მისი კომპეტენციების განწერას,

² იქვე, 14

³ გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, დანია.

⁴ ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასახადო სამართალი და ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016, 15.

წვერი სახელმწიფოების უფლებებისა და ვალდებულებების გამიჯვნას და სხვ.⁵

ევროკავშირის სამართლებრივი საფუძველია რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც შემდეგი ქრონოლოგიითაა მიღებული: 1948 წლის ბრიუსელის შეთანხმება;⁶ 1951 წლის პარიზის შეთანხმება;⁷ 1954 წელს ბრიუსელის განახლებული შეთანხმება;⁸ 1957 წლის რომის შეთანხმება;⁹ 1965 წლის შერწყმის შეთანხმება;¹⁰ 1985 წლის შენგენის შეთანხმება; 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტი;¹¹ 1992 წლის მაასტრიხტის შეთანხმება;¹² 1997 წლის ამსტერდამის შეთანხმება;¹³ 2001 წლის ნიცის შეთანხმება;¹⁴ 2007 წლის ლისაბონის შეთანხმება.¹⁵

1965 წელს მიღებული შერწყმის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა სამივე ზემოხსენებული ორგანიზაციის გაერთიანება და მათთვის საერთო მართვის ორგანოების შექმნა.

II. ევროკავშირის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციები

ევროკავშირის სისტემაში უამრავი ორგანოა, რომლებიც ხელს უწყობს მის სწორ და მართლზომიერ ფუნქციონირებას. რომის ხელშეკრულების შესაბამისად, ამ ორგანოებიდან 5 ძირითადი ორგანოა: ევროპული კომისია (ევროკომისია); მინისტრთა საბჭო; ევროსაბჭო; ევროპარლამენტი; ევროპის სასამართლო.¹⁶ მათგან

⁵ იქვე, 16.

⁶ პარიზის ხელშეკრულება შევიდა ძალაში 1952 წელს.

⁷ ბრიუსელის განახლებული ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1955 წელს.

⁸ რომის შეთანხმება ძალაში შევიდა 1958 წელს.

⁹ შერწყმის შეთანხმება ძალაში შევიდა 1967 წელს.

¹⁰ ერთიანი ევროპული აქტი ძალაში შევიდა 1987 წელს.

¹¹ მაასტრიხტის შეთანხმება ძალაში შევიდა 1993 წელს.

¹² ამსტერდამის შეთანხმება ძალაში შევიდა 1999 წელს.

¹³ ნიცის შეთანხმება ძალაში შევიდა 2003 წელს.

¹⁴ ლისაბონის შეთანხმება ძალაში შევიდა 2009 წელს.

¹⁵ ლეონარდი დ., ევროკავშირის სახელმძღვანელო, ს. ჭუმბურიძის თარგმანი, მ. მექვაბიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2002, 55.

ევროკავშირში განვერიანების პროცედურებს უზრუნველყოფს ევროკომისია, ევროსაბჭო და ევროპარლამენტი.

1. ევროპული კომისია (ევროკომისია)

ევროპული კომისია გაერთიანების აღმასრულებელი ორგანოა. ევროკომისიის წევრებს ეროვნული მთავრობები ნიშნავენ და მათი ლოიალობა მიმართულია გაერთიანების, როგორც ერთი მთლიანობის, ინტერესებისაკენ.¹⁶ კომისია შედგება 28 წევრისგან, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. მოცემულ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ 5 წლის ვადით ეროვნულ მთავრობათა წარდგენით.¹⁷ 1995 წლიდან კომისიისა და მისი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ხუთ წლით განისაზღვრა.

კომისიის მოვალეობები ჩამოთვლილია რომის ხელშეკრულების 155-ე მუხლში და მოიცავს საინიციატივო, აღმასრულებელ და საზედამხებველო ფუნქციებს.¹⁸ საინიციატივო ფუნქციები გულისხმობს ზოგად პასუხისმგებლობას მისი წინადადებების შესრულების უზრუნველყოფაზე. ამასთან, კომისიას ენიჭება განსაკუთრებული უფლება, წარადგინოს წინადადებები მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომელიც უმეტესწილად უძღურია, მიიღოს გადაწყვეტილება ამგვარი წინადადების არარსებობის შემთხვევაში.¹⁹ აღმასრულებელი ფუნქცია გულისხმობს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკაში განხორციელებას. კომისია განაგებს გაერთიანების მიერ დაარსებულ სხვადასხვა ფონდს. იგი ამზადებს ბიუჯეტის კანონპროექტს, რომელიც საბჭოსა და ევრო-

¹⁶ იქვე, 57.

¹⁷ ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასახადო სამართალი და ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016, 18; იხ., <http://europa.eu/about-eu/institutions-bodies/european-commission/index_en.htm> [12.07.2018]

¹⁸ იქვე, 19.

¹⁹ იქვე.

პარლამენტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად.²⁰ ზედამხედველობის ფუნქციამ კი კომისია აღჭურვა წევრი სახელმწიფოების კონტროლის მექანიზმით. როგორც კი კომისია მიიჩნევს, რომ წევრმა სახელმწიფომ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მან უნდა გამოთქვას თავისი აზრი და შემდეგ შეუძლია აღძრას საქმე სასამართლოში კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

2. ევროსაბჭო

1974 წლის პარიზის სამიტზე ოფიციალურად გადაწყდა, რომ მთავრობის მეთაურები წელიწადში სამჯერ უნდა შეხვედნენ ერთმანეთს ევროსაბჭოს ეგიდით. 1975 წლის მარტში დუბლინში გამართული შეხვედრიდან მოყოლებული ევროსაბჭო იკრიბებოდა ამ პრინციპით 1985 წლის დეკემბრამდე, როდესაც შეხვედრათა რიცხვი ორამდე შემცირდა. თუმცა უფრო მოგვიანებით ამ შეხვედრების რიცხვი გაიზარდა ოთხამდე. ევროსაბჭოს სხდომები ტარდება იმ ქვეყანაში, რომელი სახელმწიფოც თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს.²¹

3. ევროპარლამენტი

ევროპარლამენტის მთავარი მიზანია ევროკავშირში არსებული სხვადასხვა ინსტიტუტის დემოკრატიული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მათი კონტროლი. ევროპარლამენტის წევრები აირჩევიან პირდაპირი არჩევნების საფუძველზე 5 წლის ვადით. რომის ხელშეკრულების 138-ე მუხლის თანახმად, ამ მიზნით ყველა წევრ სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს ერთნაირი საარჩევნო სისტემა. ევროპარლამენტის წევრების რაოდენობა დღესდღეობით შეადგენს 751-ს. მისი დაკომპლექტება ხდება წევრ სახელმწიფოებში პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული დეპუტატებისგან,

²⁰ იქვე, 20

²¹ ლეონარდი დ., ევროკავშირის სახელმძღვანელო, ს. ჭუმბურიძის თარგმანი, მ. მექვაბიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2002, 73.

რომელთა რაოდენობაც თავიანთი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. ლისაბონის ხელშეკრულებით, არცერთ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰყავდეს 6 წარმომადგენელზე ნაკლები და 96-ზე მეტი.²²

ევროპარლამენტს აკისრია ევროპული კომისიისა და მინისტრთა საბჭოს ზედამხედველობის მოვალეობა, საკანონმდებლო პროექტში მონაწილეობა და საბიუჯეტო ძალაუფლებები.²³

III. ევროკავშირში განწევრიანების სტანდარტები და პროცედურები

1. ევროკავშირში განწევრიანების სტანდარტები

1997 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი სახელწოდებით – „დღის წესრიგი 2000“. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში ევროკომისიამ დიდი ყურადღება მიაქცია ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოების შესაძლებლობებს. კომისიის მოსაზრებით ადმინისტრაციული შესაძლებლობების მოდერნიზაცია აპლიკანტი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად და შესასრულებლად აუცილებელი პირობა იყო.²⁴

ევროკავშირში განწევრიანების პირობები განისაზღვრა კოპენჰაგენის 1993 წლის სამიტზე, სადაც შემდეგი კრიტერიუმები იქნა ჩამოყალიბებული:

- სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა დაცვას უზრუნველყოფს;
- ძლიერი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციას ბაზარზე;

²² ჯიქია მ., ყუფარაძე გ., ევროკავშირის საგადასახადო სამართალი და ვიშეგრადის ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკა, თბილისი, 2016, 23.

²³ იქვე, 25.

²⁴ კაპანაძე ს., პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 2009, 64.

- ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად ვალდებულებების შესრულების უნარი, რომელთა შორის არის პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიზნებთან შესაბამისობა.²⁵

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა შეუძლიათ იმ ქვეყნებს, რომლებიც გარკვეულწილად „მისდევნენ“ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ ღირებულებებს. ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურების თანახმად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობს ევროკავშირის რამდენიმე ორგანო, კერძოდ: ევროსაბჭო, ევროკომისია და ევროპარლამენტი.

2. ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურები

ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურა სამი ეტაპისგან შედგება: პირველი ეტაპი – სახელმწიფო წევრობის კანდიდატია, რაც თავისთავად არ გულისხმობს, რომ ოფიციალური მოლაპარაკებები იწყება; მეორე ეტაპი – ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყება, რაც დაკავშირებულია ევროკავშირისა და კანდიდატი სახელმწიფოს კანონმდებლობის დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესებთან, მათ შორის, ადმინისტრაციული, სასამართლო, ეკონომიკური და სხვა რეფორმების გატარების მზაობასთან, რათა სახელმწიფომ დააკმაყოფილოს კოპენჰაგენის სამიტზე მიღებული გაწევრიანების კრიტერიუმები; მესამე ეტაპი გულისხმობს იმ პერიოდს, როდესაც დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი დასრულებულია და კანდიდატი სახელმწიფო მზადაა გაწევრიანებისათვის.

გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ევროსაბჭოს ყველა წევრი ერთხმად მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ევროსაბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ ევრო-

²⁵ <http://www.europarl.europa.eu/summits/copenhagen/co_en.pdf>
[15.12.2018]

კომისია იწყებს აქტიურ მოლაპარაკებას, რომელიც ორი ელემენტისგან შედგება:

- შემოწმება – კომისია დეტალურად ამოწმებს თითოეულ მიმართულებას, რომლის ფარგლებშიც იგი განსაზღვრავს, არის თუ არა მზად კანდიდატი წევრობისთვის. შემოწმების შედეგად იწერება დასკვნა, სადაც მოცემულია ის ამოსავალი სტანდარტები, რომლებიც კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს;
- ურთიერთშეთანხმებული პოზიცია – ევროკავშირსა და კანდიდატ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება დადგენილ სტანდარტებსა და გასათარებელ რეფორმებზე, რომელიც აუცილებელია კანდიდატი სახელმწიფოსათვის.²⁶

მოლაპარაკების პროცესი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობა აქვს კანდიდატ სახელმწიფოს. მოლაპარაკების დასკვნითი ნაწილი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ევროკავშირის მიერ თითოეული მიმართულების განხილვა და გატარებული რეფორმების შეჯამება. თუ რომელიმე კონკრეტულ სფეროში კანდიდატი სახელმწიფო არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, მოლაპარაკების პროცესი გრძელდება;
- მეორე ეტაპი გულისხმობს განწევრიანების ხელშეკრულების ხელმოწერას, რომელიც მოიცავს წევრობის დეტალურ პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი საჭიროებს ევრო-საბჭოს, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის მხარდაჭერას, კანდიდატი სახელმწიფოსა და ევროკავშირის წევრების ხელმოწერას და რატიფიცირებას;
- მესამე ეტაპი მოაზრებს ქვეყნის ოფიციალურად შესვლას ორგანიზაციაში იმ კონკრეტულ დღეს, რაც მითითებულია წევრობის შესახებ ხელშეკრულებაში.²⁷

²⁶[https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/steps-towards-joining_en_\[20.10.2018\]](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/steps-towards-joining_en_[20.10.2018])

²⁷ იქვე.

3. ევროკავშირში განვერიანების ბოლო პერიოდის პრაქტიკა

ევროკავშირში განვერიანების ბოლო პერიოდის პრაქტიკა განხილულია უნგრეთისა და პოლონეთის მაგალითზე. ეს ორი ქვეყანა 2004 წელს ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე ფართო მასშტაბით გაფართოების დროს შეუერთდა კავშირს. უნგრეთმა ნევრობის შესახებ განაცხადი 1994 წლის 31 მარტს წარადგინა, თუმცა მოლაპარაკების ეტაპი მხოლოდ 1998 წელს დაიწყო. 1994 წელს უნგრეთის მთავრობამ შექმნა ევროკავშირში განვერიანების საკოორდინაციო ინსტიტუტი, სადაც სამი სამინისტრო იყო ჩართული (საგარეო საქმეთა სამინისტრო, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო), თუმცა მოგვიანებით, 1996 წელს აღნიშნული ფუნქცია მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს დარჩა, კერძოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფ ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფო სამდივნოსა და უწყებათაშორის, ევროპული ინტეგრაციის კაბინეტს. აღნიშნულ ორგანოებში შექმნილი იყო 31 სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა განვერიანების ხელშეკრულების თითოეული თავის მიხედვით და საერთო სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.²⁸

უნგრეთი აღმოსავლეთ ბლოკის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც მოახერხა წარმატებული პოლიტიკური ტრანსფორმაცია ყოფილი კომუნისტური პარტიის მონაწილეობით. უნგრეთის სოციალისტ მუშაკთა პარტიის ლიდერები ევროპული ინტეგრაციის მომხრენი იყვნენ. წლების განმავლობაში უნგრეთი იყო სახელმწიფო, რომელიც აქტიურად იზიდავდა უცხოურ ინვესტიციებს, რასაც პოლიტიკური სისტემის სტაბილურობაც განაპირობებდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსაზრებით, უნგრეთი იყო ის ქვეყანა, რომელიც უფრო მარტივად მოახერხებდა ადაპტირებას

²⁸ კაპანაძე ს., პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 2009, 100.

ევროკავშირის მოთხოვნებთან, მათ შორის ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.²⁹

1990 წლის შემდეგ, 10 წლის მანძილზე, უნგრეთის პოლიტიკური მდგომარეობა შედარებით დაბალანსებული იყო. კონსერვატორები და სოციალისტური პარტია ერთმანეთს ანაცვლებდა. აღნიშნული პერიოდი ხასიათდება პოლიტიკური ძალების მხრიდან საბაზრო ეკონომიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულებითა და სოციალიზმის მიმართ სიმპათიებით.³⁰

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები დაკავშირებულია თავისუფალ დემოკრატებთან, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ერთადერთი მომხრეები იყვნენ. 1990 წელს თავისუფალმა დემოკრატებმა არჩევნებში ხმები 21.4% დააგროვეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილო იყო მოქმედი ხელისუფლებით, მომდევნო წლების დინამიკაში ფიქსირდება თავისუფალი დემოკრატების მომხრეთა შემცირება, კერძოდ: 1994 წელს – 19.7%; 1998 წელს – 7.9%, 2002 წელს – 5.5%.³¹

1990 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში უნგრეთმა საკმაოდ დიდი გზა განვლო იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასულიყო: მოხდა იმპორტ-ექსპორტის პოლიტიკის ლიბერალიზაცია; საგადასახადო სისტემამ განიცადა ცვლილებები, რომლებიც უფრო მიახლოებულს ხდიდა მას დასავლეთის პრაქტიკასთან (ზოგიერთი გადასახადი საერთოდ გაუქმდა); მიღებულ იქნა კონკრეტული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ხელს უწყობდა პრივატიზაციის პროცესს.³² ზემოაღნიშნული პროცესების გათვალისწინებით, 2002 წლის კოპენჰაგენის სამიტზე, უნგრეთს დანარჩენ 10 კანდიდატ ქვეყანასთან ერთად ევროკავშირმა განწევრიანებაზე თანხმობა განუცხადა. 2003 წელს ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც

²⁹<https://eu.boell.org/en/2014/10/28/hungary-and-european-union-1989-2014-success-story> [11.10.2018]

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² Hare P.G., Hungary: In transition to a Market Economy, Journal of Economic Perspectives, Vol.5, No.4, 1991, 200

რეფერენდუმში მონაწილე მოსახლეობის 45%-მა ხმათა უმრავლესობით ევროკავშირში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი (83.7%).

ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკას პოლონეთში კოორდინაციას უწევდა ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის აპარატი, რომელიც 1996 წელს შეიქმნა ევროპული ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად. კომიტეტისა და მისი აპარატის შექმნა განპირობებული იყო პოლონეთის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შეტანით. ევროპული ინტეგრაციის კომიტეტს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა, ხოლო კომიტეტის მთავარი ფუნქცია ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღება და პროცესის დაჩქარება იყო.³³

უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს 2002 წელს შეემატა ევროპული ინტეგრაციის ეროვნული საბჭო (68 წევრი), რომელიც შედგებოდა სოციალური და პროფესიული ორგანიზაციების, ასევე, აკადემიური და არასამთავრობო წრეების წარმომადგენლებისგან. საბჭოს მთავარი ფუნქცია იყო ევროპული ინტეგრაციის კომიტეტისა და პრემიერ-მინისტრისათვის რჩევების მიცემა ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.³⁴

პოლონეთის სახელმწიფოს გარდასახვა კომუნისტური, ერთპარტიული სისტემიდან თანამედროვე დემოკრატიული, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე დაიწყო 1989 წლის არჩევნებიდან, რაც განპირობებული იყო დანგრეული ეკონომიკითა და მუდმივი პოლიტიკური „დაძაბულობით“. 1989 წელს ნაწილობრივ თავისუფალმა არჩევნებმა პოლონურ პოლიტიკას განსხვავებული მიმართულება მისცა. ამავე წელს დაინიშნა პრემიერ-მინისტრი, რომელიც არ იყო კომუნისტების რიგებიდან. სწორედ აქედან დაიწყო რადიკალური ცვლილებები, რაც ასე აუცილებელი

³³ კაპანაძე ს., პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 2009, 100, იხ. ციტირება: Amplac, 2004, p. 59.

³⁴ იქვე, 101, იხ. ციტირება: Amplac, 2004, p. 60.

იყო პოლონეთის შემდგომი განვითარებისათვის.³⁵ პრემიერ-მინისტრ მაზოვიეცკის მთავრობის მიერ განხორციელებული რადიკალური რეფორმები „შოკური თერაპიის“ სახელითაა ცნობილი. 1990 წლიდან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ამოქმედდა, რასაც ბევრმა წარმოებამ ფეხი ვერ აუწყო, თუმცა, მეორე მხრივ, მოსახლეობის მეორე ნაწილმა ისარგებლა სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებით და საკუთარი ბიზნესი დაიწყო.³⁶ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების პრივატიზაციამ განაპირობა უცხოური ინვესტიციების შემოდიდება, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახა. 1991 წლიდან 2009 წლამდე ქვეყანა ხასიათდებოდა მზარდი ეკონომიკური მაჩვენებლებით, მაშინაც კი, როდესაც სხვა ევროპული ქვეყნები გარკვეულ ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდნენ (2009 წელი).

ეკონომიკური რეფორმა სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო, რადგან მის გარეშე საზოგადოების ტრანსფორმაცია შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ეკონომიკის გარდა, პრობლემები იყო სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებიც რეფორმირებას საჭიროებდა. 1997 წელს პოლონეთში გატარდა რამდენიმე რეფორმა, მათ შორის, საპენსიო სისტემის, ჯანდაცვის, განათლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმები. ამის მიუხედავად, 2000 წელს პოლონეთი ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაში იყო უმუშევრობის თვალსაზრისით. 2000 წლის მაჩვენებლებით უმუშევრობამ 20% მიაღწია. სოციალურმა პრობლემებმა მოსახლეობაში წარსულის ნოსტალგია გამოიწვია. ხალხი დაიღალა მუდმივი რეფორმებისა და ადაპტაციის პერიოდით. მიუხედავად აღნიშნული უკმაყოფილებისა, პოლონეთმა შეძლო იმ რეფორმების გატარება, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ევროკავშირში გასაწევრიანებლად. დღესდღეობით იგი ევროკავშირის წევრთაგან ის გამოიყენებს, რომლის ეკონომიკაც 1991 წლიდან დღემდე მხოლოდ ზრდადი მაჩვენებლით ხასიათდება.

³⁵www.msz.gov.pl/en/c/MOBILE/foreign_policy/europe/european_union/poland_ineu/tiger_turned_eagle/ [04.09.2018]

³⁶ იქვე.

IV. დასკვნა

ბოლო ორი წლის მანძილზე მომხდარმა მოვლენებმა ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივას საფრთხე შეუქმნა. საუბარია 2016 წლის გაერთიანებული სამეფოს რეფერენდუმის შედეგებსა და თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებზე. 2016 წლის 23 ივნისს გაერთიანებული სამეფომ, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, გადაწყვიტა ევროკავშირის დატოვება. რეფერენდუმის ჩატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა იყო. ევროკავშირის მოწინააღმდეგეების მოსაზრებით, დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის დატოვების შემდგომ თავისუფლდებოდა სანევრო შენატანისგან და იმ ეკონომიკური ვალდებულებებისგან, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს აკისრია. თუმცა წინასწარ არავინ შეისწავლა ის სავარაუდო შედეგები, რომელიც შეიძლება დამდგარიყო გამოსვლის შემდეგ.

ბრექსიტის თვალსაჩინო სარგებელი ისაა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ ექნება ვალდებულება სანევრო შენატანისა, რაც მათი ეროვნული შემოსავლის 0,31%-ია. ასეთივე თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირის შორის შემცირდება სავაჭრო ურთიერთობები.³⁷ ბრექსიტის შემდეგ ზუსტი სავაჭრო ტარიფების ზრდის ინდექსის დადგენა ამ ეტაპისთვის ძალიან რთულია. ნორვეგია, რომელიც ევროკავშირის წევრი არაა, თუმცა სარგებლობს შეღავათიანი სავაჭრო პირობებით, აწყდება უამრავ სხვა პრობლემას, როგორიცაა, სხვადასხვა რეგულაცია და დირექტივა საზღვრის კვეთასთან და ანტიდემპინგურ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომაც, რომ ნორვეგიას ევროკავშირთან ნაკლები სავაჭრო ურთიერთობები აქვს, მიუხედავად შეღავათიანი სატარიფო პოლიტიკისა.

სხვადასხვა კვლევის შედეგად მეცნიერები და ექსპერტები მივიდნენ შემდეგ ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ სცენარამდე. ოპტი-

³⁷ <<https://www.questia.com/read/1P3-4123055891/the-price-of-brex-it-for-individuals>> [12.11.2018]

მისტური სცენარის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო შეინარჩუნებს ნორვეგიის მსგავს სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირთან. პესიმისტური სცენარის შემთხვევაში, გაერთიანებული სამეფო გააგრძელებს ევროკავშირთან ურთიერთობას, როგორც მესამე სახელმწიფო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სავაჭრო ურთიერთობები იკლებს. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში დიდ ბრიტანეთში თითოეული პირის შემოსავალი იკლებს 1.3%-ით, ხოლო პესიმისტურის შემთხვევაში – 2.6%-ით, რაც 850-დან 1700 ფუნტ სტერლიგამდე შემოსავლის კლებას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ შექმნა ევროკავშირიდან გასვლის პრეცედენტი, ზემოაღნიშნული ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, სხვა ქვეყნების მხრიდან ამ უფლებით სარგებლობა ნაკლებ სავარაუდოა ახლო მომავალში.

რაც შეეხება თურქეთს, რომელსაც ხანგრძლივი პერიოდის ურთიერთობები აკავშირებს ევროკავშირთან, 2016 წლის ზაფხულის მოვლენების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური გეზი და თვითონვე თქვა უარი თავის წინადადებაზე ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელიც 1999 წლიდან აქვს წარდგენილი.

ევროკავშირის მიერ კოპენჰაგენის სამიტზე დადგენილი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ევროკავშირის კანდიდატ სახელმწიფოებს ეძლევათ გარკვეული დრო, რათა შესაბამისი რეფორმები გაატაროს. აღნიშნული დრო განისაზღვრება კანდიდატი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მზაობის შესაბამისად. მსგავსი კანდიდატი სახელმწიფოები არიან: ისლანდია, სერბეთი, მონეტენგო, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო და ალბანეთი.

ზემოაღნიშნული სტანდარტების მიუხედავად, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულიდან გადახვევა დასაშვებია, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. არსებობენ ევროკავშირის დღეს უკვე წევრი სახელმწიფოები, რომელთაც მსგავსი ტრანსფორმაციის გზა სრულყოფილად არ გაუვლიათ, თუმცა პოლიტიკური ნების არსებობის გამო ნაადრევად გახდნენ ევროკავშირის წევრები (მაგალითად, რუმინეთი, ბულგარეთი).

დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში: შოტლანდიის გაზრდილი უფლებები სოციალურ-ეკონომიკურ და საგადასახადო-საფინანსო სფეროებში

გიორგი გორაძე*

I. შესავალი

კარგა ხანია, რაც საქართველოში აქტუალურია ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნისა, საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიურობის ფარგლები, მისი კომპეტენციები. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ასეთი შინაარსის კანონის მიღებას პირდაპირ უკავშირებს დეოკუპაციას იმ ლოგიკური მოსაზრებით, რომ ოკუპაციის პირობებში ასეთი კანონის არსებობა აზრს მოკლებულია და ვერ განხორციელდება.

მსგავსი მიდგომა მცდარია. ჯერ ერთი, საქართველოს კონსტიტუცია ითხოვს ასეთი შინაარსის კანონის არსებობას და ის ამ საკითხს არ უკავშირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, როგორც ამას სხვა საკითხთან დაკავშირებით აკეთებს; მეორე, ესეც რომ არ იყოს, საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, უნდა განაცხადოს თავისი დამოკიდებულება ავტონომიური ერთეულების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით. თუკი ოკუპირებული ყირიმი უკრაინის კონსტიტუციაში კვლავაც ფიგურირებს და იურიდიულად განსაზღვრული აქვს ავტონომიურობის ფარგლები, იგივე რატომ არ უნდა იყოს აფხაზეთის ავტონომიასთან მიმართებით საქართველოს შემთხვევაში?

ეს ყველაფერი აჩვენებს იმას, რომ საქართველოს და უპირველეს ყოვლისა, მის ხელისუფლებას არ გააჩნია ნათელი ხედვა და

* სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო მონყობისა და ტერიტორიული პოლიტიკის კვლევითი ცენტრის უფროსი.

გიორგი გორაძე, დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში

მყარი პოზიცია აფხაზეთის ავტონომიასთან მიმართებით. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ დეოკუპაციის პროცესი, არამედ დეოკუპაციის შემდგომი პროცესებიც. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანას არა აქვს ნათელი ხედვა და საქართველოს სახელმწიფოს არ გამოუხატავს სუვერენული ნება, თუ რა უფლებებით უნდა აღიჭურვოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა დეოკუპაციის შემდეგ.

ამ თვალსაზრისით, უცხოური გამოცდილება გარკვეულ ორიენტირად გამოდგებოდა საქართველოსთვის. მრავალ სახელმწიფოში არის ავტონომიური წარმონაქმნები, რომელთაც მეტ-ნაკლები სეპარატისტული მისწრაფებები აქვთ. ბევრმა ასეთმა სახელმწიფომ იპოვა ბალანსი ავტონომიურ ერთეულებში ადგილობრივი ელიტების ამბიციების დაკმაყოფილებასა და სახელმწიფოს ერთიანობას შორის. ამ მხრივ, ერთ-ერთი სამაგალითო სახელმწიფო გაერთიანებული სამეფოა. მისი მიდგომა შოტლანდიის საკითხისადმი, შოტლანდიის რეფერენდუმი და რეფერენდუმის შემდგომი დევოლუციური პროცესები ძალზედ საინტერესო და ყურადსაღებია.

II. სმიტის კომისია

მართალია, შოტლანდიაში 2014 წლის 18 სექტემბერს ჩატარებული რეფერენდუმი შოტლანდიის თავისუფლების მომხრე ძალათათვის უარყოფითი შედეგით დამთავრდა და მოსახლეობის 55.3%-მა გაერთიანებულ სამეფოს შემადგენლობაში დარჩენას დაუჭირა მხარი,¹ მაგრამ ამ რეფერენდუმს უკვალოდ არ ჩაუვლია.

გაერთიანებული სამეფოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, დევიდ ქემერონმა პრაქტიკულად რეფერენდუმის მეორე დღიდანვე დაიწყო თავისი დაპირების შესრულება, რომ მნიშვნელოვნად გააფართოებდა შოტლანდიის ავტონომიურ უფლებებს. ამ მიზნით, მან გააცხადა თავისი გადაწყვეტილება, შეექმნა ინტერპარტიული კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი შოტლანდიისა-

¹ Scottish Independence Referendum 2014: Results.

<http://www.scottish.parliament.uk/ResearchBriefingsAndFactsheets/Scottish_Independence_Referendum_2014_Results.pdf> [12.10.2018]

თვის კომპეტენციათა გადაცემის თაობაზე. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა კელვინის ლორდი რობერტ სმიტი (Lord Smith of Kelvin), რის გამოც ამ კომისიას სმიტის კომისია ეწოდა.

სმიტის ინტერპარტიულმა კომისიამ, რომელშიც შედიოდა შოტლანდიის კონსერვატიულ-უნიონისტური პარტიის, შოტლანდიის მწვანეთა პარტიის, შოტლანდიის ლეიბორისტული პარტიის, შოტლანდიის ლიბერალური პარტიისა და შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ორ-ორი წარმომადგენელი,² მალევე შეიმუშავა ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები (რაც კომისიის მიერ შედგენილ საბოლოო შემაჯამებელ დოკუმენტშიც აისახა). ამ პრინციპების მიხედვით, კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოო დოკუმენტს:

1. უნდა ჩემოეყალიბებინა მნიშვნელოვანი და მტკიცე უფლებამოსილებათა პაკეტი, რაც არსებითი იქნებოდა შოტლანდიელი ხალხისთვის თავისი მიზნების მისაღწევად;
2. უნდა გაეძლიერებინა შოტლანდიის დევოლუციის ხარისხი და შოტლანდიის პარლამენტი გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში (პარლამენტის ფინანსური პასუხისმგებლობის დონის ჩათვლით);
3. უნდა განემტკიცებინა დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი, რომელიც გაამყარებდა შოტლანდიის ადგილს გაერთიანებულ სამეფოში და გააძლიერებდა ურთიერთ-თანამშრომლობასა და პარტნიორობას;
4. არ უნდა ჰქონოდა დამოკიდებულება გაერთიანებულ სამეფოში გამართულ სხვა პოლიტიკური მოლაპარაკების შედეგებზე;
5. არ უნდა დაეზარალებინა როგორც მთლიანად გაერთიანებული სამეფო, ისე მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილი;
6. არ უნდა გამოეწვია ფინანსური შემოსავალი ან დანაკარგი არც გაერთიანებულ სამეფოსა და არც შოტლანდიის მთა-

² The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Par. 4.

ვრობისათვის, როგორც სპეციფიკური უფლებამოსილების გადაცემის შედეგი.

7. შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, ევროკავშირის კანონმდებლობის ჩათვლით; ასევე, პოტენციურად დაკავშირებული ხარჯების ფართო გაგებასთან, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მისი იმპლემენტირება პრაქტიკაში.³

კომისიამ, ასევე, განსაზღვრა, რომ შოტლანდიის პარლამენტისა და მთავრობისათვის დამატებითი კომპეტენციების გადაცემა უნდა ემსახურობდეს შემდეგ მიზნებს:

- შოტლანდიის მართვის მტკიცე და ამავე დროს, პასუხისმგებლიანი კონსტიტუციური ნესრიგის უზრუნველყოფა;
- კეთილდღეობის, ჯანსაღი ეკონომიკის, სამუშაო ადგილებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;
- შოტლანდიის პარლამენტის ფინანსური ანგარიშვალდებულების განმტკიცება.

სმიტის კომისიამ იმავე წლის 26 ნოემბერს დაასრულა საბოლოო დოკუმენტზე მუშაობა და გამოაქვეყნა იგი. სწორედ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2015 წლის მაისში, შემუშავდა კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ცნობილია „შოტლანდიის ბილის“ (The Scotland Bill) სახელწოდებით,⁴ ხოლო კანონი – „შოტლანდიის აქტი“, საბოლოოდ მიღებულ იქნა 2016 წლის 23 მარტს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტით ცვლილებები იქნა შეტანილი მთელ რიგ კანონებში, რომელთა შორის არის 1998 წლის „შოტლანდიის აქტი“ (The Scotland Act), 1983 წლის კანონი „ხალხის წარმომადგენლობის შესახებ“ (The Representation of the People Act), 1984 წლის კანონი „საგზაო მოძრაობის მოწესრიგების შესახებ“ (The Road Traffic Regulation Act), 1998 წლის კანონი „ნავთობის შესახებ“ (The Petroleum Act), 2000 წლის კანონი „პოლიტიკური პარტიების, არჩე-

³ იქვე, Par. 7.

⁴ იხ. Scotland Bill, 2015,

<<http://www.publications.parliament.uk/pa/bills/cbill/2015-2016/0003/16003.pdf>> [10.09.2018]

ნებისა და რეფერენდუმების შესახებ“ (The Political Parties, Elections and Referendums Act), 2007 წლის კანონი „საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ (The Income Tax Act), 2010 წლის კანონი „თანასწორობის შესახებ“ (The Equality Act) და სხვ.⁵

შოტლანდიისათვის დელეგირებული უფლებები, მათი შინაარსის მიხედვით, შეიძლება პირობითად სამ ნაწილად დაიყოს: 1. პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის უფლებები; 2. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და 3. საგადასახადო და საფინანსო ხასიათის უფლებები. ამ უფლებათაგან პირველი საკმაოდ განხილული სტატიაში – „დევოლუცია დიდ ბრიტანეთში და შოტლანდიისთვის დელეგირებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებები“⁶. ამჯერად, წინამდებარე სტატიის ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკურ და საგადასახადო-საფინანსო უფლებებზე გამახვილდება ყურადღება. კომპეტენციათა ამ ჯგუფში თავმოყრილია ისეთი საკითხები, როგორიცაა, საპენსიო უზრუნველყოფა და სახელმწიფო დახმარებები, ჯანდაცვა და დასაქმება, სანაპირო ნავთობისა და გაზის მოპოვება, კონკურენციის პოლიტიკა, მომხმარებელთა უფლებები და სხვ.

III. სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის უფლებები

სმიტის კომისიის დასკვნაში სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეხება მეორე თავი – „კეთილდღეობა, ჯანსაღი ეკონომიკა, სამუშაო ადგილები და სოციალური სამართლიანობა“. პირველივე საკითხი, რომლითაც სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის კომპეტენციებზე საუბარი იწყება, არის პენსიები და დახმარებები.

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, ყველა სახის სახელმწიფო პენსია დარჩა საერთო მთელი გაერთიანებული სამეფოსათვის და შესაბამისად, მათზე გადანეცილებების მიღების უფლება ექსკლუ-

⁵ დეტალურად იხ., Scotland Act 2016, <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/2016/11/enacted>> [11.10.2018]

⁶ იხ., გორაძე გ., დევოლუცია დიდ ბრიტანეთში და შოტლანდიისთვის დელეგირებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებები, ჟურნ. „თემიდა“, №10(12), 2016.

ზიურად შეუნარჩუნდა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს.⁷ რაც შეეხება დახმარებებს, აქ საქმე სხვანაირად არის. გაერთიანებულ სამეფოში მრავალი სახის სახელმწიფო დახმარება და შეღავათი არსებობს, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უნივერსალური კრედიტი (**Universal Credit - UC**).⁸ სმიტის კომისიამ დაადგინა, რომ უნივერსალური კრედიტის ადმინისტრირება დარჩებოდა შრომისა და პენსიების დეპარტამენტის (**DWP - Department for Work and Pensions**) ანუ ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში, თუმცა შოტლანდიის ხელისუფლებას მიეცა ადმინისტრაციული უფლებამოსილება, შეცვალოს UC-ის გადახდის სინშირე, შეცვალოს არსებული გადახდის გეგმები ცალკეული შინამეურნეოებისათვის და მინის მესაკუთრეებს გადაუხადოს პირდაპირ საყოფაცხოვრებო მშენებლობის ღირებულება. ასევე, შოტლანდიის პარლამენტს შეუძლია შეცვალოს UC-ის საყოფაცხოვრებო მშენებლობის ღირებულების ელემენტები, რაც მოიცავს ცვლილებას ქვეიჯარის გადასახადისა და ადგილობრივი საყოფაცხოვრებო სუბსიდიების განაკვეთებზე, აგრეთვე, გამოქვითვებს არადამოკიდებულ პირებზე. შოტლანდიის ხელისუფლებისათვის გადაცემულ ამ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და პროგრამულ ხარჯებს შოტლანდიის მთავრობა გაიღებს.⁹

უნივერსალურ კრედიტთან დაკავშირებული ცვლილებები აისახა 2016 წლის „შოტლანდიის აქტის“ 29-ე და 30-ე მუხლებში, რომლებითაც, ასევე, დაზუსტდა უნივერსალურ კრედიტთან დაკავშირებული დეტალები. კერძოდ, დადგინდა, რომ შოტლანდიის მთავრობას შეუძლია შეადგინოს უნივერსალური კრედიტის მარეგულირებელი წესები გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მდივანთან შეთანხმებით, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ჩათვლის,

⁷ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Par. 42.

⁸ დახმარება უმუშევრებისა და დაბალშემოსავლიანი პირებისათვის, იხ. <<https://www.gov.uk/universal-credit>> [09.2018]

⁹ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Paras. 44-47.

რომ ამ წესების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, შეცვლის მათ.¹⁰

UC-ის გარდა გაერთიანებულ სამეფოში კიდევ არის რამდენიმე ტიპის დახმარება და შეღავათი, რომელზე უფლებამოსილებაც შოტლანდიის პარლამენტს გადაეცა. ესენია:

1. შეღავათები მომვლელებისთვის, შშმ პირებისა და ავადმყოფ-თათვის: დახმარება მოვლისთვის, დახმარება სახლში მოვლისთვის, **Disability Living Allowance (DLA)** – შშმ პირთა საარსებო შემწეობა;¹¹ **Personal Independence Payment (PIP)** – პერსონალური დამოუკიდებლობის დახმარება;¹² ასევე, სამრეწველო დაზიანების შედეგად გამოწვეული შეზღუდული შესაძლებლობებისა და მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების დახმარება;

2. შეღავათები, რომლებსაც მოიცავს რეგულირებადი სოციალური ფონდი (**Regulated Social Fund**): დახმარება ცივი ამინდისთვის (**Cold Weather Payment**),¹³ დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება (**Funeral Payment**),¹⁴ ფეხმძიმობისა და მშობიარობის გრანტი (**Sure Start Maternity Grant**)¹⁵ და დახმარება ზამთრის საწვავისთვის (**Winter Fuel Payment**);¹⁶

¹⁰ Scotland Act 2016, Art. 29-30.

¹¹ დახმარება მიეცემა 16 წლამდე შშმ პირებს. იხ., <<https://www.gov.uk/dla-disability-living-allowance-benefit>> [11.10.2018]

¹² შემწეობა, რომელიც მიეცემათ ავადმყოფობის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო 16-დან 64 წლამდე პირებს. იხ., <<https://www.gov.uk/PIP>> [11.10.2018]

¹³ გაიცემა, თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე პირველი ნოემბრიდან 31 მარტამდე პერიოდში საშუალო ტემპერატურა 7 დღის განმავლობაში იქნება ნული ან ნულზე დაბალი. იხ., <<https://www.gov.uk/cold-weather-payment>> [11.10.2018]

¹⁴ ანაზღაურებს გაერთიანებული სამეფოს, ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყანაში ან შვეიცარიის ფარგლებში გაწეულ დაკრძალვის ხარჯებს. იხ., <<https://www.gov.uk/funeral-payments>> [11.10.2018]

¹⁵ გაიცემა პირველ ბავშვზე ან, როდესაც მშობლებს უკვე ჰყავთ ბავშვი და ელოდებიან ტყუპებს. იხ., <<https://www.gov.uk/sure-start-maternity-grant>> [11.10.2018]

¹⁶ ეძლევა ერთჯერადად 1953 წლის 5 ნოემბრამდე დაბადებულ პირებს ზამთარში გათბობის მიზნით. იხ., <<https://www.gov.uk/winter-fuel-payment>> [11.10.2018]

3. დისკრეციული საბინაო დახმარებები (Discretionary Housing Payments – დახმარება ბინის ქირის გადასახდელად დაბალ-შემოსავლიანი ფიზიკური პირებისათვის)^{17,18}

აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებით შოტლანდიის პარლამენტს მიენიჭა სრული ავტონომია, განსაზღვროს მათი სტრუქტურა და ოდენობა, აგრეთვე, ნებისმიერ ახალ შეღავათსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ისინი. ამ შეღავათებთან დაკავშირებით შოტლანდიის, პარლამენტის გადასაწყვეტია ითანმშრომლებს შრომისა და პენსიების დეპარტამენტთან (DWP), თუ შექმნის ცალკე შოტლანდიურ სტრუქტურებს.

შოტლანდიის პარლამენტს, ასევე, მიენიჭა უფლებამოსილებანი, შემოიღოს ახალი დახმარებები მისთვის გადაცემულ სფეროებში, აგრეთვე, უფლებამოსილებანი, შემოიღოს დისკრეციული დახმარებები სოციალური უზრუნველყოფის ნებისმიერ სფეროში გაერთიანებული სამეფოს პენსიების დეპარტამენტის წინასწარი თანხმობის საჭიროების გარეშე. ყველა ადმინისტრაციული და პროგრამული ხარჯი, რაც პირდაპირ კავშირშია ამ უფლებების განხორციელებასთან (ან არსებული სისტემის ცვლილების ან ახალი სისტემის შემოღების შედეგად), გაწეული იქნება შოტლანდიის მთავრობის მიერ.

აღსანიშნავია ერთი მთავარი პრინციპი, რომ ნებისმიერი ახალი დახმარება ან დისკრეციული დახმარება, რომელსაც შემოიღებს შოტლანდიის პარლამენტი, უნდა უზრუნველყოფდეს დამატებითი შემოსავლის მიღებას ბენეფიციარებისათვის და არ იყოს სხვა სარგებლის ან დასაქმების შემთხვევაში, წმინდა შემოსავლის შემცირების ავტომატური კომპენსაცია.¹⁹

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, შოტლანდიის პარლამენტს მიენიჭა ყველანაირი უფლებამოსილება, დაეხმაროს უმუ-

¹⁷ <<https://www.gov.uk/housing-benefit>> [11.10.2018]

¹⁸ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, para. 44-47, Paras. 49-52.

¹⁹ იქვე, Par. 55.

შევრებს დასაქმების პროგრამების მეშვეობით. მას, ასევე, გადაეცა უფლებამოსილება, გადაწყვიტოს, როგორ იფუნქციონიროს უმუშევართა დახმარების სერვისებმა. თუმცა ცვლილებები არ შეხებია საარსებო მინიმუმს და იგი დარჩა პირვანდელი სახით ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში.²⁰

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, აბორტისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები გადაეცა შოტლანდიას, ხოლო ისეთი საკითხების გადაცემა, როგორებიცაა, ქსენოტრანსპლანტაცია (ქსოვილის გადანერგვა), ემბრიოლოგია, სუროგატული დედობა და გენეტიკა, ნამლები, მედიკამენტები და შხამები, აგრეთვე, საკვების უვნებლობა, უნდა იქცეს შემდგომი განხილვის საგნად გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობებს შორის. ამდენად, ეს საკითხები შოტლანდიის აქტში არ ასახულა.

დასკვნის მიხედვით, შოტლანდიას გადაეცა უფლებამოსილებანი, განსაზღვროს, თუ როგორ არის მიმწოდებლის ვალდებულებები დაკავშირებული ენერგოეფექტიანობასა და სანავის საჭიროებასთან. ამასთან, შოტლანდიის ტერიტორიაზე მდებარე სანაპირო ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზირება გადაეცა შოტლანდიის პარლამენტს, ხოლო შელფზე მდებარე ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზირების საკითხი არ შეცვლილა.²¹ შოტლანდიის პარლამენტს გადაეცა უფლებამოსილებანი მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებითაც.²²

IV. უფლებები საგადასახადო და საფინანსო სფეროებში

სმიტის კომისიის დასკვნაში საგადასახადო და საფინანსო საკითხებს ეთმობა მესამე თავი, რომელიც, ფაქტობრივად, სრულად იქნა გაზიარებული შოტლანდიის აქტით. ამას გარდა, 2016 წლის თებერვალში მიღებულ იქნა შეთანხმება „გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობებს შორის შოტლანდიის მთავ-

²⁰ იქვე, Par. 58-59.

²¹ იქვე, Par. 69-70.

²² იქვე, Par. 72.

გიორგი გორაძე, დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში

რობის ფისკალური ჩარჩოების შესახებ“ (შემდგომ ტექსტში – „შეთანხმება „ფისკალური ჩარჩოების შესახებ“), როგორც ამას სმიტის კომისიის დასკვნის 30-ე მუხლი ითვალისწინებდა. მოცემული შეთანხმებით დაკონკრეტდა ცალკეული დეტალები და განისაზღვრა საგადასახადო და საფინანსო სფეროებში ცალკეული კომპეტენციების გადაცემის ვადები.²³

1. გადასახადები

1.1. საშემოსავლო გადასახადი

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დარჩა საერთო გადასახადად და გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის პარლამენტები ერთობლივად გააკონტროლებენ მას. პარლამენტის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ საარჩევნო ოლქებს მთელი გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით, კვლავაც გადანეყვებენ გაერთიანებული სამეფოს ბიუჯეტის საკითხს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.²⁴

აღსანიშნავია, რომ „ფისკალური ჩარჩოების შესახებ“ შეთანხმების მე-18 მუხლის მიხედვით, შოტლანდიის ბიუჯეტში რჩება შოტლანდიაში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავლის 87.7%²⁵.

დასკვნის მიხედვით, შოტლანდიის პარლამენტს არ ექნება არანაირი შეზღუდვა საშემოსავლო გადასახადის ზღვრებისა და ოდენობების განსაზღვრაში და შეეძლება დაადგინოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ.²⁶ შოტლანდიამ აქტიურად დაიწყო ამ უფლების გამოყენება. 2016 წლამდე შოტლანდიაში საშემოსავლო

²³ დეტალურად იხ., The Agreement between the Scottish Government and the United Kingdom Government on the Scottish Government's Fiscal Framework, February 2016.

²⁴ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Par. 75.

²⁵ The Agreement between the Scottish Government and the United Kingdom Government on the Scottish Government's Fiscal Framework, February 2016, Par. 18.

²⁶ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Par. 76.

გადასახადი 10 პროცენტით დაბალი იყო საერთო ეროვნულ საშემოსავლო გადასახადზე, მაგრამ 2016 წლის თებერვალში შოტლანდიის პარლამენტმა 2016-2017 საბიუჯეტო წლისთვის 10 პროცენტით გაზარდა საშემოსავლო გადასახადი და გაუთანაბრა ის საერთო ეროვნულს.²⁷ ეს იყო გარკვეული კომპენსაცია ცენტრალური ხელისუფლების მიერ შემცირებული სუბსიდიის სანაცვლოდ.²⁸ წინასწარი პროგნოზით, გაზრდილი გადასახადით შოტლანდიის ბიუჯეტს დამატებით 4.7 მილიარდი ფუნტი სტერლინგი უნდა მიეღო,²⁹ თუმცა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. თუ რეფორმამდე შოტლანდიის შემოსავალი საშემოსავლო გადასახადის სახით სულ შეადგენდა 4.6 მილიონ ფუნტ სტერლინგს, რეფორმის შემდეგ, 2016-2017 საბიუჯეტო წელს მან მიიღო 11.313 მილიარდი ფუნტი სტერლინგი, ანუ თითქმის 7 მილიარდით მეტი.³⁰

საგადასახადო ტვირთი იგივე დარჩა 2017-2018 საბიუჯეტო წელსაც,³¹ ხოლო 2018-2019 წლისთვის შოტლანდიის პარლამენტმა საშემოსავლო გადასახადის სამი განაკვეთის ნაცვლად, შემოიღო ხუთი განაკვეთი. შესაბამისად, მანამდე არსებული 20, 40 და 45 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, შემოიღო 19, 20, 21, 41 და 46 პროცენტიანი ტარიფები.³² ანუ, ერთი მხრივ, შეამცირა გადასახადები მცირეშემოსავლიანი რეზიდენტებისათვის, ხოლო მაღალშემოსავლიანი პირებისათვის საშემოსავლო გადასახადი გაზარდა თითო პროცენტით. ამ ცვლილებით საშე-

²⁷ გაერთიანებულ სამეფოში საშემოსავლო გადასახადის ოდენობა დიფერენცირებულია და დამოკიდებულია წლიურ შემოსავალზე. შემოსავლის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის ოდენობა არის შემოსავლის 20%, 40% და 45%.

²⁸ <<http://www.gov.scot/Topics/Government/Finance/scottishapproach/scottishrateofincometax>> [12.09.2018]

²⁹ Thompson S., Gunson R., *New Powers, New Scotland? How the Scottish Parliament Could Use Its New Tax and Benefit Responsibilities*, Report, Institute for Public Policy Research, Edinburgh, 2016, 8.

³⁰ *Government Expenditure and Revenue Scotland 2016-2017*, Published by the Scottish Government, Edinburgh, August 2017, 45.

³¹ <<http://www.gov.scot/Topics/Government/Finance/scottishapproach/Scottishincometax2017-18>> [12.09.2018]

³² <<http://www.gov.scot/Topics/Government/Finance/scottishapproach/Scottishincometax2018-2019>> [12.09.2018]

მოსავლო გადასახადის შოტლანდიელ გადამხდელთა 55% გადაიხდის იმაზე ნაკლებს, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს ნებისმიერ სხვა ადგილას მცხოვრები იმავე შემოსავლის მქონე რეზიდენტი, ხოლო შოტლანდიელ გადამხდელთა 70% საშემოსავლო გადასახადის სახით გადაიხდის იმაზე ნაკლებს, ვიდრე წინა წელს.³³ მიუხედავად ამისა, წინასწარი პროგნოზით, ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის ოდენობა 2018-2019 საბიუჯეტო წელს გაიზრდება თითქმის 164 მილიონით და შეადგენს 12.115 მილიარდ ფუნტ სტერლინგს.³⁴ აღსანიშნავია, რომ 2018-2019 საბიუჯეტო წელს საშემოსავლო გადასახადს უკავია შოტლანდიის მთელი ბიუჯეტის შემოსულობების 30% მაშინ, როდესაც სხვა ყველა გადასახადის ხვედრითი წილი 22%-ს არ აღემატება.³⁵

საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული ყველა სხვა ასპექტი დარჩა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის გამგებლობაში, მათ შორის, საშემოსავლო გადასახადიდან წლიური დასაბეგრი ოდენობის³⁶ განსაზღვრა, პირადი შემწეობა, დანაზოგებისა და დივიდენდებისგან მიღებული შემოსავლის დაბეგვრა, ასევე, საგადასახადო შეღავათების შემოღების და კორექტირებისა და შემოსავლის განსაზღვრის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საშემოსავლო გადასახადი შოტლანდიაში განსხვავებული სიდიდითა და ზღვრებით იქნება, მის ამოღებასა და ადმინისტრირებას კვლავაც უზრუნველყოფს HMRC (Her Majesty's Revenue and Customs) – დეპარტამენტი გაერთიანებული სამეფოს მთავრობაში. იმ მიდგომების შესაბამისად, რაც დაკავშირებულია შოტლანდიაში საშემოსავლო გადასახადის სიდიდესთან, შოტლანდიის მთავრობა აუნაზღაურებს გაერთიანებული

³³ Income tax Policy proposals in Budget Bill: Fact Sheet (Update as of 20 February 2018).

<<http://www.gov.scot/Resource/0053/00531596.pdf>> [12.09.2018]

³⁴ Scottish Budget: Draft Budget 2018-2019, Chapter 2: Tax.

<<http://www.gov.scot/Publications/2017/12/8959/3>> [12.09.2018]

³⁵ The Role of Income Tax in Scotland's Budget, Published by The Scottish Government, Edinburgh, November 2017, 7.

³⁶ იგულისხმება გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბიუჯეტისათვის გადასაცემი წილი.

სამეფოს მთავრობას დამატებით ხარჯებს, რაც წარმოიშვება საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების იმპლემენტაციისა და ადმინისტრირებისათვის.³⁷

1.2. დღგ

დასკვნის მიხედვით, შოტლანდიაში დამატებითი ღირებულების გადასახადისგან მიღებული შემოსავლის პირველი 10% შოტლანდიის ბიუჯეტში რჩება. ეს შემოსულობები უნდა დაანგარიშდეს, შეთანხმდეს გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობებს შორის და გაერთიანებული სამეფოს მთავრობისგან მიღებული სუბსიდირების პაკეტი შესაბამისად გასწორდეს. დღგ-სთან დაკავშირებულ სხვა ასპექტებს ცვლილებები არ შეხება.³⁸ აღსანიშნავია, რომ „ფისკალური ჩარჩოების შესახებ“ 2016 წლის შეთანხმების თანახმად, დღგ-გან მიღებული შემოსავლის 98.9% შოტლანდიის ბიუჯეტში რჩება.³⁹

1.3. ავიამგზავრობის მოსაკრებელი

სმიტის კომისიის დასკვნა შეიცავს რეკომენდაციას, რომ უფლებამოსილებანი, დაკავშირებული იმ ავიამგზავრებისაგან მოსაკრებლით დაბეგვრასთან (APD - Air Passenger Duty), რომლებიც მიემგზავრებიან შოტლანდიის აეროპორტიდან, უნდა გადაეცეს შოტლანდიის პარლამენტს. დასკვნის მიხედვით, შოტლანდიის ხელისუფლებას უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად გაატაროს საკუთარი ღონისძიებები და ჩაანაცვლოს სხვა გადასახით, მათ შორის, არაპირდაპირი გადასახადით გარემოს დაბინძურები-

³⁷ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Paras. 77-79.

³⁸ იქვე, Paras. 84-85.

³⁹ The Agreement between the Scottish Government and the United Kingdom Government on the Scottish Government's Fiscal Framework, February 2016, Par. 18.

გიორგი გორაძე, დევილუცია გაერთიანებულ სამეფოში

სათვის, აგრეთვე, განსაზღვროს ჩანაცვლებული გადასახადის ფორმირებისა (დიზაინის) და დაბეგვრის საკითხები. თუ ასეთ გადასახადს შემოიღებს შოტლანდიის პარლამენტი და შეცვლის ავიაგზავრის მოსაკრებელს, შოტლანდიის მთავრობა გაერთიანებული სამეფოს მთავრობას აუნაზღაურებს ყველა ხარჯს, რაც გამოწვეული იქნება APD-ის გაუქმებით.

დასკვნის მიხედვით, ადმინისტრაციული ხარჯების წილი სამართლიან და თანასწორ საფუძველზე გადაეცემა შოტლანდიის მთავრობას. შესაბამისად, მოხდება შოტლანდიის მთავრობის სუბსიდირების პაკეტის შესაბამისი კორექტირება.⁴⁰

2016 წლის შოტლანდიის აქტით სრულიად იქნა გათვალისწინებული კომისიის რეკომენდაციები და ამ კანონის მე-17 თავით შოტლანდიის პარლამენტმა მიიღო აღნიშნული უფლებანი, მათ შორის, უფლება, შეეცვალოს ეს გადასახადი. თუმცა ხსენებული უფლებები ამოქმედდა 2018 წლის აპრილიდან,⁴¹ როგორც ამას ითვალისწინებდა „ფისკალური ჩარჩოების შესახებ“ 2016 წლის შეთანხმების 26-ე მუხლი.⁴² სწორედ ამ დროიდან შოტლანდიაში „ავიაგზავრის მოსაკრებელი“ (Air Passenger Duty) გახდა „ავიაგამგზავრების გადასახადი“ (Air Departure Tax).

1.4. Aggregates Levy

Aggregates Levy არის გადასახადი ინერტული მასალების (ქვა, ხრეში, სილა) სანარმოო ექსპლუატაციისათვის.⁴³ შოტლანდიაში ინერტული მასალის კომერციული გამოყენებისთვის გადასახადით დაბეგვრის უფლებამოსილება შოტლანდიის პარლამენტს გადაეცა.

⁴⁰ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Paras. 86-88.

⁴¹ იხ. <<http://www.gov.scot/Topics/archive/airpassengerduty>> [12.09.2018]

⁴² The Agreement between the Scottish Government and the United Kingdom Government on the Scottish Government's Fiscal Framework, February 2016, Par. 26.

<http://www.gov.scot/Resource/0049/00494765.pdf> [12.09.2018]

⁴³ იხ., <<http://www.fiscalcommission.scot/what-we-forecast/aggregates-levy/>> [12.09.2018]

შოტლანდიის მთავრობას დამოუკიდებლად შეუძლია გაატაროს საკუთარი ღონისძიებები არსებული გადასახადის სხვა გადასახადით ჩანაცვლებასა და ჩანაცვლებული გადასახადების ფორმირებასა და ამოღებასთან დაკავშირებით. თუ შოტლანდიის პარლამენტი **Aggregates Levy**-ს ნაცვლად შემოიღებს სხვა გადასახადს, შოტლანდიის მთავრობა გაერთიანებული სამეფოს მთავრობას, ასევე, აუნაზღაურებს შოტლანდიაში **Aggregates Levy**-ს გაუქმებით გამოწვეულ ყველა ხარჯს. ადმინისტრაციული ხარჯების წილი სამართლიან და თანასწორ საფუძველზე გადაეცა შოტლანდიის მთავრობას, თუმცა პარალელურად მოხდა შოტლანდიის მთავრობის სუბსიდირების პაკეტის შესაბამისი კორექტირება.⁴⁴

1.5. სხვა გადასახადები

სხვა დანარჩენი გადასახადები, როგორიცაა სახელმწიფო დაზღვევის შენატანი, მემკვიდრეობასა და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებული გადასახადები, კორპორაციული გადასახადები, ნავთობისა და გაზის გადასახადები, სანავის გადასახადი და აქციზი და ამ გადასახადებთან დაკავშირებული ყველა ასპექტი დარჩა დაცული, ანუ მათ ცვლილებები არ შეხებია.⁴⁵

2. გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის ურთიერთთანამშრომლობა საგადასახადო სფეროში

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობები იმუშავებენ ერთად, რათა თავიდან აიცილონ ორმაგი დაბეგვრა და გადასახადის გადამხდელთათვის გაამარტივონ ადმინისტრირება რამდენადაც ეს არის შესაძლებელი. ამასთანავე, საგადასახადო და სახელმწიფო ხარჯების, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ელე-

⁴⁴ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Paras. 89-91.

⁴⁵ იქვე, Paras. 80-83, 92.

მენტების შემდგომ დელეგირებას თან უნდა ახლდეს განახლებული ფისკალური სისტემა შოტლანდიისთვის, რაც შესაბამისობაში იქნება გაერთიანებული სამეფოს საერთო ფისკალურ პოლიტიკასთან.

ძალიან მნიშვნელოვანია სმიტის კომისიის დასკვნის 95-ე პუნქტი. ამ პუნქტში მოცემულია შოტლანდიის ბიუჯეტის დაფინანსებისა და ზოგადად, შოტლანდიის ფისკალური სისტემის ძირითადი პრინციპები. კომისიის დასკვნის თითქმის ყველა პუნქტი, რომელშიც ლაპარაკია შოტლანდიის ხელისუფლებისათვის კონკრეტული უფლების გადაცემაზე, მიუთითებს 95-ე პუნქტზე, რომ შესაბამისი უფლების გადაცემა უნდა აისახოს ფინანსურადაც სწორედ მოცემული პუნქტის პრინციპების დაცვით.

დასკვნის 95-ე პუნქტის მიხედვით, შოტლანდიის ფისკალური სისტემა მოიცავს რიგ ელემენტებს, როგორებიცაა, შოტლანდიის ბიუჯეტის დაფინანსება, სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი, სისტემა, რომლითაც ხდება სუბსიდირების პაკეტის კორექტირება დევოლუციის შესაბამისად, ნასესხები უფლებამოსილებებისა და ფულადი რეზერვების გამოყენება, ფისკალური წესები და დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტები. ამასთანავე, ეს პუნქტი მოითხოვს, რომ შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებმა შოტლანდიის ფისკალურ და საფინანსო სისტემაში უნდა ჩაუერთონ შემდეგი ასპექტები:

1. ბარნეტის ფორმულა:⁴⁶ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შოტლანდიის სუბსიდირების პაკეტი (**block grant**) კვლავ უნდა განისაზღვროს ბარნეტის ფორმულის მეშვეობით;
2. ეკონომიკური პასუხისმგებლობა: დაფინანსების განახლებული სისტემის შედეგი უნდა იყოს შოტლანდიის დეცენტრალიზებული ბიუჯეტის მიერ მაქსიმალური სარგებლის მიღება;

⁴⁶ ბარნეტის ფორმულა არის მექანიზმი, რომელსაც იყენებს გაერთიანებული სამეფოს ზაზინა შოტლანდიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და უელსის სუბსიდირებისათვის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. **Keep M., The Barnett formula, Briefing paper, House of Commons Library, 23 January 2018, 4.**

3. უფლებამოსილებების შემდგომი დელეგირების შესახებ გადწყვეტილების შედეგი არ უნდა იყოს ზარალი: შოტლანდიის და გაერთიანებული სამეფოს მთავრობების ბიუჯეტი არ უნდა იყოს უფრო დიდი ან უფრო მცირე, როგორც საგადასახადო ან ხარჯვის უფლებამოსილებების დელეგირების უბრალო შედეგი, არამედ მანამდე უნდა მოხდეს განხილვა, თუ როგორ გამოიყენება ეს უფლებები. ეს ნიშნავს იმას, რომ საგადასახადო შემოსავლების დელეგირებას და განაწილებას თან უნდა ახლდეს სუბსიდირების პაკეტის შემცირება პროპორციულად იმ შემოსავლებისა, რაზეც გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ თქვა უარი და სუბსიდირების პაკეტის შემდგომი შემცირება შესაბამისად უნდა იყოს ინდექსირებული. ასევე, ხარჯვის უფლებამოსილების დელეგირებას თან უნდა ახლდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ სუბსიდირების პაკეტის გაზრდა შოტლანდიის არსებული ხარჯების ექვივალენტურად, რომელშიც შევა ნებისმიერი ადმინისტრაციული დანაზოგი, რომელიც წარმოეშევა გაერთიანებული სამეფოს მთავრობას აქტივობების გადაცემის შედეგად. სუბსიდირების პაკეტის შემდგომი ზრდა უნდა იყოს სათანადოდ ინდექსირებული;

4. გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და შოტლანდიის მთავრობის პოლიტიკური გადწყვეტილებები დელეგირების შემდეგ არ უნდა იყოს საზიანო:

ა) თუ გაერთიანებული სამეფოს ან შოტლანდიის მთავრობა იღებს პილიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა საგადასახადო შემოსულობებსა ან ხარჯებზე, გადაწყვეტილების მიმღები მთავრობა აანაზღაურებს წარმოშობილ ხარჯებს, ხოლო დანაზოგის წარმოშობის შემთხვევაში მიიღებს ტრანსფერს. კორექტირების განხორციელებისათვის უნდა არსებობდეს სათანადო მტკიცებულებები;

ბ) გაერთიანებული სამეფოს დანარჩენ ნაწილში იმ გადასახადების ცვლილებები, რომლებიც დელეგირებული აქვს შოტლანდიას, უნდა შეეხოს მხოლოდ სახელმწიფო ხარჯებს გაერთიანებული სამეფოს დანარჩენ ნაწილში. დელეგირებული გადასახადების ცვლილებები შოტლანდიაში გავლენას მოახდენს მხოლოდ სახელმწიფო ხარჯებზე შოტლანდიაში;

5. ნასესხები უფლებამოსილებანი: რათა აისახოს ეკონომიკური რისკები, მათ შორის, იმ საგადასახადო შემოსავლების ცვალებადობა, რის მართვასაც ფინანსური პასუხისმგებლობის დელეგირების შედეგად განახორციელებს შოტლანდიის მთავრობა, შოტლანდიის ფისკალური სისტემა უნდა შეივსოს საკმარისი, დამატებითი ნასესხები უფლებამოსილებებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საბიუჯეტო სტაბილურობა და შოტლანდიის საჯარო ხარჯები დაიფაროს ეკონომიკური რყევების დროს გაერთიანებული სამეფოს საერთო მყარი ფინანსური სისტემის ფარგლებში. შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებმა უნდა განიხილონ, რამდენად მომგებიანია ასეთი ნასესხები კაპიტალი გაერთიანებული სამეფოს ერთიანი სტაბილური სისტემისათვის:

ა) შოტლანდიის მთავრობის ნასესხები უფლებამოსილებანი შეთანხმებული უნდა იყოს გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობებს შორის და მათი საქმიანობა უნდა გაკონტროლდეს;

ბ) ნასესხები უფლებამოსილებანი უნდა არსებობდეს შოტლანდიის ერთიანი ფისკალური სისტემის ფარგლებში და ფისკალური წესების შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული იქნება შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებს შორის და დაეფუძნება ნათელ ეკონომიკურ პრინციპებზე, დადასტურებულ მონაცემებზე და შესაბამისი ეკონომიკური სიტუაციის სრულფასოვან შეფასებაზე;

6. განხორციელებადი და მდგრადი: დაფინანსების საფუძვლების შეთანხმების შემდეგ მისი ეფექტურად ფუნქციონირება ხშირ მოლაპარაკებებსარ საჭიროებს. მიუხედავად ამისა, გეგმები პერიოდულად უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი სამართლიანობა, გამჭვირვალობა და ეფექტურობა;

7. დამოუკიდებელი ფისკალური შემოწმება: შოტლანდიის პარლამენტი უნდა მიისწრაფოდეს, გააფართოოს და განამტკიცოს შოტლანდიის საჯარო ფინანსების დამოუკიდებელი კონტროლი, რადგან საგადასახადო და ხარჯვითი საკითხების შემდგომი დელე-

გირება საბიუჯეტო პროცესში დამატებით ცვალებადობასა და გაურკვევლობას შეიტანს;

8. გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის რხევები: გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს რისკებისა და ეკონომიკური რხევების მართვა, რომელიც მთელ დიდ ბრიტანეთზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ფისკალურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ შეინარჩუნოს ბერკეტები ამის განსახორციელებლად. გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს კვლავაც ექნება დარეზერვებული უფლება, დააწესოს დამატებითი საერთო-ბრიტანული გადასახადი, თუ მიიჩნევს, რომ ეს იქნება გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ ინტერესებში;

9. იმპლემენტაცია: შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ ხაზინის ერთობლივი კომისიის (Joint Exchequer Committee) ფარგლებში, რათა შეთანხმდნენ განახლებული ფისკალურ და დაფინანსების სისტემაზე შოტლანდიისათვის, რომელიც ზემოაღნიშნულ პრინციპებს დაეფუძნება. ამ ორივე მთავრობამ შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტებს უნდა მიაწოდონ განახლებები, მათ შორის, წარმოდგინონ განახლებების ყოველწლიური ანგარიში, წარუდგინონ შოტლანდიის ფისკალური სისტემის შესაბამისი ცვლილებები.⁴⁷

V. დასკვნა

შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმითა და მის შემდგომ განხორციელებული დევილუციური პროცესებით, გაერთიანებულმა სამეფომ თავის რეგიონებთან ურთიერთობის ახალი ეპოქა დაიწყო, რაც ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების პრობლემებისადმი არა თვალის დახუჭვას და მათი მისწრაფებების უგულებელყოფას, არამედ მათი ნების პატივისცემას და სათანადო მექანიზმების შექმნას გულისხმობს.

⁴⁷ The Smith Commission, Report of the Smith Commission for Further Devolution of Powers to the Scottish Parliament, 27 November 2014, Par. 95.

გიორგი გორაძე, დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში

ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული სეპარატისტული განწყობები ხშირად ეკონომიკური და ფინანსური ინტერესებითაა ნაკარნახევია გაერთიანებული სამეფოს მიდგომა შოტლანდიის საკითხისადმი პასუხია სწორედ ასეთი გამწყობების მიმართ. შოტლანდიისთვის მინიჭებული ფართო უფლებები სოციალურ-ეკონომიკურ და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში ბევრი სახელმწიფოსთვის შეიძლება იქცეს სახელმძღვანელოდ იქ არსებული სეპარატისტული ტენდენციების ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობით ჩასანაცვლებლად.

შოტლანდიასთან დაკავშირებული დევოლუციური პროცესი უდავოდ საინტერესო და საგულისხმოა საქართველოსთვისაც. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს დეოკუპაციის პროცესის კვალობაზე, როდესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციათა განსაზღვრის აუცილებლობა დადგება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალა

დავით გუჩმაზაშვილი*

I. შესავალი

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს, გადაწყვეტილება განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხში. სწორედ გადაწყვეტილება და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცედურები განსაზღვრავენ საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობას და შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან მისდამი პატივისცემასა და ნდობას.¹

ნაშრომის მიზანია საერთო სასამართლოების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტატუსის, ასევე, მისი მოქმედების ფარგლებისა და მისით საერთო სასამართლოების ბოჭვის თავისებურებების განხილვა და ანალიზი.

II. ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოსეული განმარტების მბოჭავი ძალა

სამართალგანხორციელების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი სამართლის ნორმის განმარტებაა. იგი მოქმედებაა, რომელიც გამოწვეულია კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნორმის გამოყენების აუცილებლობით და მისი მიზანია ნორმის შინაარსის სრულყოფილად გაგება.² განმარტების მიზანი განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როდესაც განმარტების ობიექტი

* სამართლის მაგისტრი.

¹ Lavins A., The Role of The Constitutional Courts In Strengthening The indipendence Of The Judicial Power: Latvian Experience, International Almanac – Constitutional Justice In The New Millenium, Yerevan, 2015, 23.

² Вида И., Юридическая сила толкования Конституции, “Конституционное Правосудие”, №2(28), 2005, 19.

კონსტიტუციაა.³ კონსტიტუციური კანონიერების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა კონსტიტუციური ნორმის შინაარსის ერთიანი და სტაბილური გაგებაა.⁴ ამ მოთხოვნის შესრულება კი კონსტიტუციის განმარტების გზით არის უზრუნველყოფილი. კონსტიტუციები იმ ძირითადი პრინციპებისა და დებულებების სახითაა მოცემული, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, განმარტების გზით უნდა დადგინდეს.⁵ სამართლებრივი ნორმის განმარტება სამართალშემოქმედებით პროცესია, რადგან მხოლოდ აქტის განმარტების გზით დგება სოციალური სინამდვილე.⁶

ნებისმიერი კონსტიტუცია უნდა შეფასდეს იმით, თუ რამდენად შეესაბამება იგი საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ფასეულობებს. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო არის ორგანო, რომელიც კონსტიტუციის ნორმებს აღნიშნულ ფასეულობებთან აკავშირებს.⁷ საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობისა თუ შესაბამისობის დადგენით, ფაქტობრივად იძლევა ნორმის განმარტებას.⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის ძირითადი ინსტრუმენტი, რის საშუალებითაც იგი განმარტავს სამართლებრივ ნორმას⁹, თუმცა გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ პოულობს სავალდებულო ნორმის ძალას, თუ იგი ხორციელდება

³ გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი, „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1, 2013, 106.

⁴ Сравнительное Конституционное Право, Под. Ред. А. И. Ковлера, В. Е. Чиркина, Ю. А. Юдина, Москва, 1996, 195

⁵ ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წ. I, დ. გეგენავასა და გ. კვერენჩილაძის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 120.

⁶ Вида И., Юридическая сила толкования Конституции, “Конституционное Правосудие”, №2(28), 2005, 19.

⁷ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 154.

⁸ ცნობილადე პ., ხუბუა გ., ხმალადე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, თბილისი, 2000, 195.

⁹ Вида И., Юридическая сила толкования Конституции, “Конституционное Правосудие”, №2(28), 2005, 23.

საყოველთაოდ და ხანგრძლივად.¹⁰ განმარტების მიზანია შესაბამისი სამართლებრივი აქტის ერთგვაროვანი გაგების უზრუნველყოფა ქვემდგომი სასამართლოების მიერ მსგავსს საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანისას.¹¹ კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც ნორმის ინტერპრეტაცია ხდება, გათვალისწინებული იქნება სხვა სახელისუფლებო ორგანოების მიერ და უპირველეს ყოვლისა, მას საერთო სასამართლოები გამოიყენებენ.¹²

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა აღნიშნულ სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს განსხვავებულ უფლებამოსილებას ანიჭებს. უმეტეს შემთხვევაში ნორმის განმარტების უფლებამოსილება კონსტიტუციებში პირდაპირ არ არის მოცემული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოებს არა აქვთ აბსტრაქტული განმარტების შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განმარტავს ნორმის კონკრეტული სასამართლო დავისგან ან სხვა რაიმე გარემოებებისაგან დამოუკიდებლად. კონტროლის ამ ფორმის პირობებში აქტის კონსტიტუციურობის საკითხი შეიძლება ნებისმიერ დროს აღიძრას.¹³ კონკრეტული კონტროლის შემთხვევაში, ამა თუ იმ აქტის კონსტიტუციურობის საკითხი განიხილება და წყდება სასამართლო დავისას, არსებულ საქმესთან დაკავშირებით. მისი თავისებურებაც სწორედ იურიდიულ შედეგში მდგომარეობს. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტება დროთა განმავლობაში პრეცედენტულ ბუნებას

¹⁰ ვაჩიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 174.

¹¹ სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2009, 245.

¹² Papuashvili G., Problematic Aspects of Interrelationship between the Constitutional and Ordinary Courts, 3;

<http://www.venice.coe.int/WCCJ/Papers/GEO_Papuashvili_E.pdf>

¹³ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 29.

იძენს.¹⁴ შესაბამისად, თუ თავდაპირველად იგი სავალდებულოა მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეთათვის, გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი სავალდებულო ხდება ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის, რომლებიც მსგავს საქმეებს განიხილავენ. ნებისმიერ საქმეზე გაკეთებული განმარტება, რომლითაც კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაცია დადგინდა, საყოველთაოდ სავალდებულოა.¹⁵

„სამართალი არ არის ზუსტი მეცნიერება, არამედ წარმოადგენს შეფასებებზე დაფუძნებულ ნორმატიულ დისციპლინას, რომელიც არ ეფუძნება ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ კატეგორიებს.“¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს ნებისმიერი ნორმა შეიძლება განიმარტოს და განსხვავებული პრეცედენტების არსებობის პირობებში, ყველაზე მართებული კონსტიტუციის შესატყვისი განმარტებაა. სამართალშემფარდებელი ვალდებულია კონსტიტუციის შესაბამისად განმარტოს ნორმა¹⁷ და რამდენიმე შესაძლო ინტერპრეტაციიდან დაადგინოს და გამოიყენოს ის, რომელიც კონსტიტუციურად სწორია.¹⁸ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, შეუძლებელია ნორმის თვითნებური და ადამიანის უფლებების საზიანოდ გამოყენება, რაც თავისთავად აკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს.¹⁹ ამასთან, კონსტიტუციის ინტერპრეტაციის არსებული

¹⁴ Сравнительное Конституционное Право, Под. Ред. А. И. Ковлера, В.Е. Чиркина, Ю.А. Юдина, Москва, 1996, 194.

¹⁵ იქვე.

¹⁶ გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდთა, თბილისი, 2005, 21.

¹⁷ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 17.

¹⁸ Garlicki L., Constitutional Courts versus Supreme Courts, 5 International Journal of Constitutional Law, Vol.5, 2007, 49.

¹⁹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

პრაქტიკის მიხედვით განისაზღვრება კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებული მიდგომები სახელმწიფოში. განმარტება სამართლებრივი აქტების მიმართ შემდგომში მოქმედ სამართლებრივ რეჟიმსა და გამოსაცემ აქტთა სამართლებრივ ჩარჩოებს განაპირობებს.²⁰

2. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის

გაუქმება და გადაწყვეტილების უკუძალა

2.1. რეტროსპექტული უკუძალა

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას ყოველთვის მნიშვნელოვანი პრობლემა იყო საკონსტიტუციო კონტროლის განმხორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილების გავლენა საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე. ქართულ სამართლებრივ სივრცეში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბოლო დროს მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილების შემდეგ, აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.²¹ დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ რა უნდა გააკეთოს საერთო სასამართლოს მოსამართლემ კონკრეტული საქმის განხილვისას, როდესაც მას უწევს იმ ნორმის გამოყენება, რომლის კონსტიტუციურობაზეც საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს.

რეტროსპექტული, ანუ არანამდვილი უკუძალა, ეხება თანამედროვე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებსა და ფაქტებს.²² ამ დროს მიმდინარე სამართალურთიერთ-

²⁰ გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი, „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1, 2013, 106.

²¹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015 წლის 16 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიჭარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 146.

დავით გუჩმაზაშვილი, გადაწყვეტილების უკუძალა

ბაში ჩარევა ხდება.²³ არანამდვილი უკუძალა კონსტიტუციური და დასაშვებია.²⁴ იგი კანონთა დროში მოქმედების ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა.²⁵ ასეთი უკუძალა სინამდვილეში არცაა უკუძალა და მხოლოდ იმის აღიარებაა, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც ადრე წარმოიშვნენ, მთლიანად ახალი კანონის ზემოქმედების ქვეშ ექცევიან.²⁶ გადაწყვეტილების რეტროსპექტული უკუძალა გულისხმობს გადაწყვეტილების მოქმედებას საერთო სასამართლოს საქმეზე, რომელიც მიმდინარეობს და განხილვის პროცესშია. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობა ფასდება, რომელიც საერთო სასამართლომ უნდა გამოიყენოს განსახილველი საქმის გადაწყვეტისას. აღნიშნული შემთხვევის ყველაზე ნათელი მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოცემული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას ითვალისწინებდა.²⁷ ასეთ სიტუაციაში, საერთო სასამართლოს მოსამართლეს მეტად რთულ მდგომარეობაში უნევს ყოფნა. საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს თუ არა სარჩელს,

²³http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/07/Artikel-6_edited.pdf [10.06.2016].

²⁴ იქვე.

²⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²⁶ იქვე.

²⁷ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი.

ამის განსაზღვრა წინასწარ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მოსამართლე კი, თავის მხრივ, იძულებულია, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოყენოს, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. შესაბამისად, პირის თავისუფლება უნდა შეიზღუდოს იმ ნორმით, რომელიც შესაძლოა არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი, როდესაც ალტერნატიული მექანიზმის არსებობის შემთხვევაში, უფლების შეზღუდვა მინიმუმადე იქნებოდა დაყვანილი.

მსგავსი მდგომარეობა შეიძლება შექმნილიყო საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი საქმის განხილვის დროს, კერძოდ 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენებას.²⁸ აღნიშნული საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის პარალელურად, საესებით დასაშვები იყო, რომ საერთო სასამართლოში კვლავ დაყენებულიყო შუამდგომლობა თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით, რომელიმე სხვა საქმეზე, სხვა პირის მიმართ. მოსამართლე კი კვლავაც იმავე დილემის წინაშე აღმოჩნდებოდა.

ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უკუძალის აკრძალვა კანონმდებლის თავისუფლებას ზღუდავს. კონსტიტუცია აღიარებს, რომ უკუძალის პრინციპი აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და მისი დარღვევა დაუშვებელია. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა ნესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავადვეა

²⁸ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სარეზოლუციო ნაწილი.

კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველი. ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში შეაფასებს.²⁹ თუმცა ძირითადი უფლებები ესაა მოქალაქეთა თავდაცვითი უფლებები სახელმწიფოს წინააღმდეგ. კანონმდებელი ვალდებულია, ნორმატიულად განსაზღვროს უკუძალის აკრძალვით დაცული სიკეთე.³⁰ აქედან გამომდინარე, უმჯობესია, თუ საერთო სასამართლოს მოსამართლეს ექნებოდა ბერკეტი, მაქსიმალურად თავიდან აეცილებინა ადამიანის უფლებისა და თავისუფლების ნებისმიერი დოზით შეზღუდვა, უკუძალის აკრძალვის პრინციპის დაცვის პარალელურად.

ზოგადად, არ არსებობს აბსოლუტური ნდობა კანონის დროში მოქმედებასთან დაკავშირებით. სამართლებრივი სისტემა ვერ იქნება ყოველთვის ერთნაირად სტაბილური, რადგან საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების დინამიკის შესაბამისად, სამართლებრივი ნორმებიც მუდმივად ცვლილებას განიცდიან. კანონისადმი ნდობა უფრო მეტ დაცვას იმსახურებს, ვიდრე ცვლილებებით მისაღწევი სასურველი შედეგი.³¹ კონსტიტუცია კი იცავს ნდობას იმის მიმართ, რომ აღიარებული, უცვლელი დარჩება უკვე ამოწურულ ფაქტობრივ ელემენტებსა და გარემოებებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები.³² არანამდვილი უკუძალის გამოყენება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, როდესაც ერთ მხარეს დგას სახელმწიფოს მიერ ცვლილებით მისაღწევი სარგებელი,

²⁹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁰ იქვე.

³¹ <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/07/Artikel-6_edited.pdf> [10.06.2016].

³² შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 335.

ხოლო მეორე მხარეს კი – სამართალსუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის დამძიმება.³³

პრობლემის გადაწყვეტის გზა შესაძლოა იყოს ისეთ პროცედურის შემოღება, როგორიც კონსტიტუციური წარდგინებისთვისაა დადგენილი. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ საერთო სასამართლოს მოსამართლეს მიენიჭებოდა უფლებამოსილება, შეეჩერებინა საქმის წარმოება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე (ამ შემთხვევაში კი საკონსტიტუციო სასამართლოს შემჭიდროებული ვადები დაუდგინდებოდა გადაწყვეტილების მისაღებად).

2.2 რეტროაქტიური უკუძალა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს.³⁴ კონსტიტუციის ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, ადგენს პირის უსაფუძვლო და გადამეტებული რეპრესიისაგან დაცვისათვის მინიმალურ სტანდარტს და ამ სტანდარტით სახელმწიფოს ბოჭვას, რაზედაც მოცემული ნორმის სუბიექტს შეუძლია ჰქონდეს კანონიერი ნდობა.³⁵ სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო იცავდეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და ამასთან, შესწევდეს უნარი, გამოასწოროს და აღადგინოს დარღვეული უფლება. სახელმწიფოს ვერ ექნება სამართლებრივი უსაფრთხოების სხვებისაგან დაკმაყოფილების მოლოდინი³⁶, არამედ სახელმწიფო თავადვეა ვალდებული, ყველაფერი ილონოს სამართლებრივი უსაფრთხოების დასაცავად.³⁷

³³http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/07/Artikel-6_edited.pdf [10.06.2016].

³⁴ იხ. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁵ სულაქველიძე დ., სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ – კომენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა II“, 2010, 151.

³⁶ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები –

უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ მოქმედებაზე მსჯელობამდე საერთო სასამართლოების პრაქტიკაში, შედარებისა და საკითხის უკეთ გაგებისათვის მიზანშეწონილია საკონსტიტუციო კონტროლის კლასიფიკაციის ერთი ფორმის განხილვა. დროში მოქმედების მიხედვით, ერთმანეთისაგან განასხვავებენ საკონსტიტუციო სასამართლოს *ex nunc* და *ex tunc* გადაწყვეტილებებს. *Ex nunc* გადაწყვეტილება პრაქტიკაში უფრო მეტად დამკვირდებულ და ხშირად გამოყენებად ფორმად მიიჩნევა. იგი გულისხმობს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ძალადაკარგულია მისი ასეთად გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების მოქმედება ვრცელდება მომავალზე და არა წარსულზე და შესაბამისად, არ ვრცელდება ამ აქტით ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე.³⁸ სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემათა უმრავლესობა უპირატესობას *ex nunc* ფორმას ანიჭებს³⁹, რაც გარკვეულწილად გამართლებულია. საქმე ისაა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება მრავალი პრობლემა გამოიწვიოს, რადგან საჭირო გახდება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა, რაც დიდწილად შეუძლებელია.⁴⁰ ამგვარმა მცდელობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სამართლებრივ სტაბილურობას და ახალი

თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁷ კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016, 42.

³⁸ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 31.

³⁹ Cvetkovski C., *The Constitutional-Judicial Control of the Legislative and Executive Powers in Central and Eastern Europe Countries*, 1999, 14.

⁴⁰ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 31.

უსამართლობის წყარო გახდეს.⁴¹ დღესდღეისობით საქართველოში სწორედ აღნიშნული ფორმა მოქმედებს.⁴² კანონმდებლობის თანახმად, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმებას.⁴³

რაც შეეხება *ex tunc* ფორმას, ასეთი გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი იურიდიულ ძალას კარგავს მისი ან იმ კონსტიტუციური კანონის ამოქმედების მომენტიდან, რომელთანაც წინააღმდეგობაშია აღნიშნული აქტი.⁴⁴ შესაბამისად, ამ ტიპის გადაწყვეტილებას აქვს უკუქმედებითი ძალა. მისი მოქმედება ვრცელდება ისეთ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობამდე. ამიტომ იგი იწვევს წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგების შეცვლას.⁴⁵ ასეთი უკუძალა, როგორც წესი, აკრძალულია და არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლების სუბიექტი უკეთეს მდგომარეობაში დგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილი უკუძალის აკრძალვა კონსტიტუციური პრინციპია და მისი გამოყენება უცხოა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.⁴⁶

⁴¹ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 178.

⁴² საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

⁴³ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

⁴⁴ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, 31.

⁴⁵ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁶ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 21 ივნისის №ბს-21-21(ე-07) გადაწყვეტილება.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა უკუძალის საკითხს საქართველოს კანონმდებლობაში მხოლოდ ერთდერითი ნორმა ეხება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, ის იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოცემული დებულება, მართალია, უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობასა და კანონის განჭვრეტადობის პრინციპის დაცვას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გამონაკლისის დაუშვებლობა ეჭვქვეშ დააყენებდა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს არსებობას. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა განსაზღვრა შემთხვევა, რომლის დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შესაძლოა უკუქმედებითი ძალა აღმოაჩნდეს, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გახდეს ამ ნორმის საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის საფუძველი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა პატიმრობის 9 თვიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობას თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც პირს ბრალი ედებოდა პატიმრობის გამოყენებამდე ჩადენილ დანაშაულში.⁴⁸ მოცემულ საქმეში მოსარჩელეს ერთხელ უკვე ჰქონდა შეფარდებული წინასწარი პატიმრობა, რომლის გასვლამდეც იგივე

⁴⁷ იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴⁸ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღკვეთის ღონისძიება იქნა გამოყენებული. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ექნებოდა უკუძალა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ, მოსარჩელე არათუ დამატებით კიდევ ცხრა თვეს გაატარებდა პატიმრობაში, არამედ, დიდი ალბათობით, ამ ვადის მიმდინარეობის პერიოდში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კვლავ შესაძლებელი იქნებოდა მის მიმართ კვლავ პატიმრობის გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, საერთო სასამართლომ, სწორედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, გაათავისუფლა პატიმრობაში მყოფი მოსარჩელე. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც ზემოთ იქნა აღნიშნული⁴⁹, არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაც ბრალად ედებოდა მოსარჩელე პირს.⁵⁰ შესაბამისად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ექნებოდა უკუქმედებითი ძალა, იმ პირებს, რომელთაც შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე, ჩვეულებრივად მოუწევდათ სასჯელის მოხდა. ეს კი უკუძალას, როგორც პიროვნების მდგომარეობის შესამსუბუქებელ მექანიზმს, მთლიანად დაუკარგავდა არსს, რადგან ვერ მოხდებოდა ძველი, იქამდე არსებული სამართლებრივი შედეგების ახლებურად მონესრიგება.⁵¹

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური უკუძალის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა იწვევს სასამართლოების ან სახელმწიფო უწყებების მიერ ამ ნორმის საფუძველზე მიღებული

⁴⁹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁰ იხ., იქვე.

⁵¹ სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2009, 200.

ყველა საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებას.⁵² უმჯობესი იქნებოდა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო შეძლებდა, გაეუქმებინა საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე.⁵³ რაც შეეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლს, მას სააღსრულებო წარმოების შეწყვეტაც კი არ შეუძლია, იწვევს მხოლოდ აღსრულების შეჩერებას.⁵⁴

საინტერესოა მოცემული საკითხისადმი სხვა სახელმწიფოთა მიდგომა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შესაძლოა ჰქონდეს რეტროაქტიური ეფექტი საერთო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, თუკი საქმე სისხლის სამართლის კანონმდებლობას ეხება.⁵⁵ მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს საქმის ხელახალი განხილვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.⁵⁶ პორტუგალიის კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ექნება რეტროაქტიური ეფექტი, თუ იგი ამსუბუქებს პირის მდგომარეობას.⁵⁷ საყურადღებოა, რომ პორტუგალიის კონსტიტუციით, რეტროაქტიური ეფექტი არ არის დადგენილი მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე და იგი სხვა სახელისუფლებო ორგანოს თუ თანამდებობის პირის მიერ გამოცემულ აქტსაც შეიძლება შეეხოს.⁵⁸ ბელგიის კანონმდებლობა კიდევ უფრო აფართოებს საკონსტი-

⁵² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 28 თებერვლის №40765/02 გადაწყვეტილება საქმეზე, „პოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 42.

⁵³ იქვე, პარ. 43.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ <<https://www.vfgh.gv.at/cms/vfgh-site/english/jurisdiction1.html>> [20.06.2016]

⁵⁶ მელქაძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2001, 60.

⁵⁷ პორტუგალიის კონსტიტუციის 282-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁵⁸ იქვე, მესამე პუნქტი.

ტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტის ფარგლებს და უშვებს, რომ გადაწყვეტილება შეეხოს არა მხოლოდ სისხლის, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებსაც. პირს შეუძლია შეიტანოს საჩივარი იმ საერთო სასამართლოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას დაეყრდნო.⁵⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი საერთო სასამართლოთა პრაქტიკის მიმართ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან. იმ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილებას შეიძლება უკუძალა მიენიჭოს, მიღებული გადაწყვეტილების გავლენის ფარგლები თავად ამ ორგანოზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემის გადაჭრის გზა ნამდვილი და არანამდვილი უკუძალის გარკვეული კომბინაციით იქნა მიღწეული. მაგალითად, ბელორუსიაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაირღვა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებები არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმით. შესაბამისად, უფლებების დარღვევის ხარისხი განსაზღვრავს, აღდგება თუ არა პირვანდელი მდგომარეობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ.⁶⁰ მაკედონიის საკონსტიტუციო სასამართლო, სამართლებრივი სტაბილურობისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით, თავად წყვეტს გადაწყვეტილების ეფექტის მოქმედებას, ანუ აღდგება პირვანდელი მდგომარეობა თუ გადაწყვეტილება მომავლისკენ იქნება მიმართული.⁶¹

⁵⁹ კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016, 47.

⁶⁰ Cvetkovski C., *The Constitutional-Judicial Control of the Legislative and Executive Powers in Central and Eastern Europe Countries*, 1999, 15.

⁶¹ იქვე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილების გავლენა საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ძირითადად სისხლის სამართლის საქმეებში ვლინდება, თუმცა ზემოთ მოყვანილი სახელმწიფოების მაგალითებიდან ჩანს, რომ ამ გადაწყვეტილების ეფექტი შესაძლოა უფრო ფართოც იყოს. კანონის უკუძალის მსგავსად, გადაწყვეტილების უკუძალაც მიმართულია იმისაკენ, რომ პირს შეუმსუბუქდეს ან მოეხსნას პასუხისმგებლობა, რომელიც მას არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმაზე დაყრდნობით დაეკისრა. ამასთანავე, უმჯობესი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდეს უფლებამოსილება, თავისი გადაწყვეტილება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ წარსულ დროსაც დაუკავშიროს. საკონსტიტუციო სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ საქმეში, უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქმეში არსებული მნიშვნელოვანი გარემოებანი და განსაზღვროს გადაწყვეტილების ეფექტის ფარგლები სამართლებრივ სიკეთეთა შედარების საფუძველზე.⁶²

⁶² კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტი, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016, 40.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები

დიმიტრი გეგენავა*, პაატა ჯაფარიშვილი**

I. შესავალი

საკონსტიტუციო სასამართლო სრულიად გამორჩეული სტატუსისა და ძალაუფლების მქონე ორგანოა, რომელიც ძალაუფლების გამიჯვნის სისტემაში სერიოზულ როლს თამაშობს¹. მისი „საკრალური“ სტატუსი ყველაზე ნათლად გარდამავალ პერიოდში მყოფ თანამედროვე დემოკრატიებში ჩანს, ვინაიდან აქ სასამართლო ერთგვარი დემოკრატიულობის კატალიზატორიცაა². საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც აქტუალობა არასდროს აკლდა, განსაკუთრებული დატვირთვა 2013 წლის შემდეგ შეიძინა, ვინაიდან, ერთი მხრივ, მისმა აქტიურობამ, მეორე მხრივ კი, მმართველი პოლიტიკური ელიტის უკმაყოფილებამ იგი გააფთვრებული პოლიტიკური ბატალიების ეპიცენტრში მოაქცია. თუკი აქამდე კითხვის ნიშნები არსებობდა მის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას,

* სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

** სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი.

¹ იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 12, 23; Garlicki L., Constitutional Courts versus Supreme Courts, International Journal of Constitutional Law, Vol.5, #1, 2007, 44; Hausmaninger H., Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany, and Russia, Tulane European & Civil Law Forum, Vol.12, 1997, 25.

² იხ., Arnold R., Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies, Tulane European & Civil Law Forum, Vol.18, 2003, 103.

რომ იგი პოლიტიკური ორგანოცაა³ და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს იმ ინსტიტუტის შემთხვევაში, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება აქვს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ბოლოდროინდელი პრაქტიკა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით გამდიდრდა, ამით კი ბევრ საინტერესო და ახალ ტენდენციას ჩაეყარა საფუძველი. ინტერპრეტაციულმა ვარიაციებმა, კომპეტენციური არსენალის პოზიციურმა გადახალისებამ და გაბედულმა ნაბიჯებმა დიდწილად განაპირობეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციის დამკვიდრება. ამ გადაწყვეტილებათა ნაწილმა იმის ილუზიაც შექმნა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას სასამართლო კლასიკურ „ნეგატიურ კანონმდებლობას“ გასცდა და გარკვეულწილად, ახალი სივრცის დაუფლებაც დაიწყო.

სტატიის მიზანია, გააანალიზოს საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკა, არსებითი მიმართულებები და ტენდენციები, მიმოიხილოს მასზე დაკისრებული ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციის პოზიტიურ ნორმაშემოქმედებად გარდაქმნისა და განვითარების შესაძლებლობები.

II. ნეგატიური კანონმდებლიდან თანამედროვე ნორმაშემოქმედამდე

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტის, არსებობა არსებითად ევროპული კონსტიტუციონალიზმის საჭიროებამ და მმართველობის მოდელის პოლიტიკურმა კრიზისმა განაპირობა. მართალია, კელზენისეული იდეა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ დროთა განმავლობაში იცვლებოდა და სახელმწიფოთა მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება, თუმცა სასამართლოს ფუნქციური დანიშნულება

³ იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, ნ. I, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 77-100.

ერთიანი სწორი ხაზით, მყარი ლოგიკით განაგრძობდა არსებობას. ახალ ორგანოს ძალაუფლების გამიჯვნის კლასიკური მოდელი ძნელად შეეგუა,⁴ ვინაიდან ძალაუფლების სამ განშტოებას ჰიბრიდული, სრულიად ახალი ტიპის ძალაუფლების განმახორციელებელი შეემატა,⁵ რომელმაც, ერთი მხრივ, კანონმდებლის, მეორე მხრივ კი, სასამართლოს დატვირთვა შეიძინა. უფრო მეტიც, მაგ., საფრანგეთში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, ფაქტობრივად, პარლამენტის მესამე პალატად იქცა,⁶ გერმანიაში კი - სასამართლოს ხელისუფლების ინსტიტუციურ სათავეში მოექცა⁷.

„ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქცია დღესდღეობით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიკური მახასიათებელია. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები (საქართველოს შემთხვევაში, ზოგადად ნორმატიული აქტები), რითაც იგი კანონმდებლის ფუნქციას ახორციელებს, ვინაიდან კანონშემოქმედება არა მხოლოდ პოზიტიურ გაგებას, რაღაც ახლის შექმნას, არამედ არსებულის შეცვლას ან სულაც გაუქმებასაც მოიაზრებს. სწორედ ამ მიზეზით, გაერთიანებული სამეფო დღემდე უარს ამბობს საკონსტიტუციო კონტროლის იდეის იმპლემენტაციაზე, ვინაიდან

⁴ ევროპული მოდელის საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლოები მხოლოდ სამართლის სფეროს არ წარმოადგენენ და არც ხელისუფლების ტრადიციულ კლასიკურ ტრიადაში ექცევიან, რაც გარკვეულწილად განაპირობებს კიდევ მათ განსაკუთრებულ ბუნებასა და ფუნქციებს. იხ., Safta M., *Developments in the Constitutional Review, Constitutional Court between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator*, Perspectives of Business Law Journal, Vol.1, No.1, November 2012, 1.

⁵ მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიאלოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N2, 2011, 6.

⁶ Sadurski W., *Constitutional Review in Europe and in the United States: Influences, Paradoxes, and Convergence*, Legal Studies Research Paper, No.11/15, 2011, 15; იხ. ციტირება: Fletcher G., *Basic Concepts of Legal Thought*, New York, 1995, 25.

⁷ Schlüter H., *The German Constitutional Court*, Journal for South African Law, N2, 1998, 284.

ბრიტანული საპარლამენტო უზენაესობის იდეა⁸ სრულიად გამორიცხავს პარლამენტის გარდა რომელიმე სხვა ორგანოს საკანონმდებლო უფლებამოსილებას⁹, თუნდაც შეზღუდული, კანონის გაუქმების უფლების გაგებით.

ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია ეტაპობრივად გაიზარდა და გაცილებით მასშტაბურ კომპეტენციად ჩამოყალიბდა. საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ კონსტიტუციათა ინტერპრეტაციამ, როგორც ინციდენტურად, ისე აბსტრაქტულად, ნორმატივარდების ექსკლუზიურმა პრაქტიკამ ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციის განხორციელების ფარგლები მნიშვნელოვნად გააფართოვა. სახელმწიფო ორგანოთათვის მათი ვალდებულებების განმარტებამ,¹⁰ არსებულის ფარგლებში მეტი მოვალეობისა თუ სტატუსის მინიჭებამ, ავთენტური ნორმატიული შინაარსის განსაზღვრამ¹¹ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები პოზიტიურ ნორმაშემოქმედად აქცია. თანამედროვე პირობებში იგი არა მხოლოდ განსაზღვრავს კონსტიტუციისა თუ განსახილველი კანონმდებლობის ნორმის შინაარსს, არამედ ადგენს იმ ინსტიტუციურ სტანდარტს, რომელსაც სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მისდიოს. ამ გაგებით იგი სრულიად გასცდა კონტროლის კელზენისეულ გაგებას და კლასიკურ ნორმატივიზმს, რომელზეც ასე ძლიერა დამოკიდებული კონსერვატიული კონტინენტურევეროპული სამართლის ოჯახი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულ დონეზე საკონსტიტუციო კონტროლის ევეროპული გაგება მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სასამართლოს კომპეტენციურ ზრდას, პროცესი,

⁸ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 86.

⁹ იქვე, 37.

¹⁰ იხ., კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, 41; გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 52.

¹¹ იხ., გეგენავა დ., კონსტიტუციის განმარტება და ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხი, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, N1, 2013

ფაქტობრივად, შეუქცევადია, რადგანაც მხოლოდ ის ფაქტიც კი, რომ მას კონსტიტუციის ავთენტური განმარტების დადგენის უფლებამოსილება აქვს, უკვე გაცილებით დიდ, გარდამტეხ ფუნქციურ ცვლილებებს განაპირობებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს ევროპული საკონსტიტუციო ტრიბუნალების ისტორიულ ბედს და ძალაუფლების გამიჯვნის ქართულ მოდელში ხელისუფლების შტოებისთვის ერთობ არაკომფორტული სტატუსითა და კომპეტენციური არსენალით, ხშირად ხდება პოლიტიკური ზრახვების სამიზნე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც განვითარებადი დემოკრატიის პირმშო, საქართველოში მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რის გამოც სასამართლოს პრაქტიკა მრავალფეროვანი და ზოგიერთ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი ასპექტებით ხასიათდება. ამის მიზეზი, სხვა გარემოებებთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო მანდატი და უფლებამოსილებების ფარგლებია.

III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ფარგლები 1. საკანონმდებლო ფარგლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების სამართლებრივ საფუძველს, პირველ ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუცია ქმნის, რომლის 89-ე მუხლი კომპეტენციითა საკმაოდ დეტალურ ჩამონათვალს ადგენს. აღნიშნულის გარდა, უფლებამოსილებათა ნაწილი მოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში.¹² საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია ნორმატივობის ფუნქციით, როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული კუთხით, რაც მთავარია, მისი გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრების თუ გადახედვის მექანიზმს არ ითვალისწინებს.¹³

¹² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი.

¹³ იქვე, 48-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით და ვალდებულია, იმსჯელოს სადავო ნორმის მხოლოდ გასაჩივრებულ ნორმატიულ შინაარსზე. იგი საქმეს განიხილავს მხარეთა მიერ განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში. მოსარჩელეს უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ნებისმიერ დროს შეამციროს მოთხოვნის მოცულობა ან უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე.¹⁴ მოსარჩლის მიერ გარკვეულ მოთხოვნაზე უარის თქმა, თავისთავად, ნიშნავს, რომ ამ მომენტიდან მოთხოვნა აღარ წარმოადგენს დავის საგნის ნაწილს.¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურობას.¹⁶

ხელისუფლების არც ერთი შტო არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს კონსტიტუციით გათვალისწინებული წესრიგის საწინააღმდეგო წესი.¹⁷ ასეთ შემთხვევაში კი საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს, არაკონსტიტუციურობად ცნოს

¹⁴ საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 12.

¹⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996, 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 11.

გასაჩივრებული ნორმა.¹⁸ მის გადაწყვეტილებას რაიმე აღსრულება ან დამატებითი მექანიზმის გამოყენება აღსასრულებლად არ სჭირდება.¹⁹ სამართლებრივი აქტებისა და ნორმების გაუქმების საშუალებით საკონსტიტუციო სასამართლო ასწორებს კანონმდებლის მიერ დაშვებულ შეცდომებს,²⁰ რითაც სასამართლო კანონმდებლობის სისტემურ გამართულობას უზრუნველყოფს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დიდი ხნის განმავლობაში უფრთხოდა საკუთარი უფლებამოსილებების გაფართოებას და სამწუხაროდ, კომპეტენციურ კასტრაციასაც კი ახდენდა რიგ შემთხვევებში. რედუცირებული ტელეოლოგიური განმარტების გზით, სასამართლომ უარი თქვა საკონსტიტუციო ცვლილებების კონსტიტუციურობის თაობაზე საქმის განხილვის შესაძლებლობაზე, რაც იმით დაასაბუთა, რომ კონსტიტუციური კანონი, რომლითაც კონსტიტუცია გადაისინჯება, კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია და თავად სასამართლო ძირითადი კანონის ნორმებს შორის იერარქიას ვერ დაადგენდა.²¹ 2015 წლამდე სასამართლო მაქსიმალურად ცდილობდა თავისი კლასიკური ფუნქციების ფარგლებში ემოქმედა და ხშირად საკმაოდ კონსერვატიულ, საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელისთვისაც კი მეტად ორთოდოქსულ მიდგომას ირჩევდა, თუმცა ბოლო-

¹⁸ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ვ2“ და „ვ3“ ქვეპუნქტები, მე-2 პუნქტის მეორე წინადადება.

¹⁹ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 68-70.

²⁰ Faber R., The Austrian Constitutional Court – An Overview, Vienna Journal of International Constitutional Law, Vol.1, 2008, 51.

²¹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/3/523 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის N2/2/486 განჩინება საქმეზე, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დროინდელმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა პრაქტიკა, რითაც სასამართლომ არა მხოლოდ უბრალოდ გაბედულად იმოქმედა, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, კომპეტენციური რევოლუციაც კი მოახდინა. ამან კი მნიშვნელოვნად გაზარდა საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები და იგი, მაკონტროლებელთან ერთად, სამართალშემოქმედადაც აქცია. ეს იმ პირობებში, როცა საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი არსებობის პირველ ეტაპზე კატეგორიულად მიჯნავდა სამართალშემოქმედებისა და საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციებს, რითაც სრულად დისტანცირდებოდა კანონშემოქმედებისგან.²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენციური ევოლუციის გზაზე დგას და ყოველი ახალი გადაწყვეტილება მისი უფლებამოსილებების ახალ განზომილებებს უდებს სათავეს.

2. სასამართლო პრაქტიკით დადგენილი ფარგლები

2.1. ნორმატიული შინაარსი და მისი საკონსტიტუციო კონტროლი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წელს საფუძველი ჩაუყარა საკონსტიტუციო კონტროლის სრულიად ახალ მიმართულებას. საკუთარი საკონსტიტუციო მანდატის პირობებში, რომელიც მას ე.წ. „ნეგატიური კანონმდებლის“ სტატუსს ანიჭებს, შემოქმედებითად განმარტა თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილებები და სათავე დაუდო ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის ინსტიტუტს.²³ ამ არასტანდარტული მიდგომით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან განაცალკევა ნორმის შინაარსი და უშუალოდ ნორმა, როგორც სამართლებრივი მოცემულობა, რის შედეგადაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო არა მხოლოდ ნორმის, არამედ მისი კონკრეტული შინაარსით გამოყენების კონსტიტუციურობის შეფასება.

²² იხ., ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63, იხ. ციტირება: ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, 2002, 93.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის პირობებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი კომპეტენციური ტრანსფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ერთგვარი გამოსავლის ძიების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის არასრულყოფილი ბუნებით ხასიათდება.²⁴

ნორმატიული შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომლითაც გააუქმა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი, თუმცა არა უშუალოდ ნორმა, ფორმალური თვალსაზრისით.²⁵ სასამართლოს განმარტებით, პრობლემური იყო არა სამხედრო სარეზერვო სისტემის იდეა და არსი, კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება, არამედ მისი გავლის წესი და დადგენილი პრაქტიკა. სამხედრო სარეზერვო სამსახურის, როგორც ინსტიტუტის, კონსტიტუციურობაზე მსჯელობა არ გამართულა, არამედ დავის საგანი იყო სამხედრო სარეზერვო სამსახურის ზოგადი ვალდებულება, რომელიც ადამიანის რწმენისა და თანასწორობის ძირითად უფლებებს არ ითვალისწინებდა. კანონი არ ადგენდა გამონაკლისს, რომლითაც პირებს, თავიანთი რწმენიდან გამომდინარე, შეეძლებოდათ, უარი ეთქვათ ამ ვალდებულებაზე რაიმე ალტერნატივის პირობით. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მსგავსი ვალდებულების გავრცელება ყველა ადამიანზე და დაადგინა, რომ არსებული პრაქტიკა არ შეესაბამებოდა ადამიანის ძირითადი უფლებების საკონსტიტუციო სტანდარტს. ამავდროულად, ფაქ-

²⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სტრასბურგი, 41-ე პუნქტი.

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ტობრივად შექმნა გამონაკლისი ზოგადი ნორმიდან და ახალი მოწესრიგება, რომელსაც მბოჭავი ძალა მიანიჭა.

ნორმის ნორმატიული შინაარსის განსაზღვრა და მისი უშუალოდ ნორმის ფორმალური არსებობისგან აბსტრაქტირება საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დააფიქსირა.²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი ფაქტობრივად იმეორებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილ შინაარსს. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, ეს ორი ნორმა იდენტური იყო, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ განიხილავდა გასაჩივრებული ნორმის არაკონსტიტუციურობის საკითხს. სასამართლომ ამ შემთხვევაში ფართო ტელეოლოგიური განმარტების მეთოდი გამოიყენა, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო არა 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი, როგორც ასეთი, არამედ ის ნორმატიული შინაარსი, როგორც მას საერთო სასამართლოების პრაქტიკაში განმარტავდნენ.²⁷ ფაქტობრივად, სასამართლომ არა მხოლოდ გააუქმა ნორმის არაკონსტიტუციური ინტერპრეტაცია, არამედ მიუთითა საერთო სასამართლოებს, თუ რომელი იყო მართებული განმარტება და შესაბამისად, ნორმის ავთენტური ნორმატიული შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული შინაარსის გაუქმების უფლებამოსილება პირდაპირ კანონმდებლობაში მითითებული არაა. ამ შემთხვევაში არასწორი პრაქტიკის შეფასებითა და ნორმატიული შინაარსის გაუქმებით სასამართლომ დაადგინა ნორმის ახალი შინაარსი, რომელმაც შებოჭა და დაავალდებულა მისი გამოყენებლები და შემფარდებლები, მომავალში ნორმა ახლებული შინაარსით, ინტერპრეტაციით გამოეყენებინათ პრაქტიკაში.

ნორმატიული შინაარსის გაუქმების პრაქტიკა და ამით ახალი მოწესრიგების შექმნის შესაძლებლობა გამოიყენა საკონსტიტუციო

²⁶ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²⁷ იქვე, III, 2, 4.

სასამართლომ 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებითაც.²⁸ სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების გაგება, რომლითაც იგი გამოიყენებოდა პრაქტიკაში ტელე-რადიო სივრცეში კვალიფიციური სუბიექტების მიერ რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით. ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებულ ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის გათვალისწინების გარეშე) ამავე ნორმით დადგენილ უფლებას საარჩევნო სუბიექტზე ავრცელებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში გაერთიანებული პარტია წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკის პირველ ნომერს.²⁹ ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი უფლებამოსილება ფართოდ აღიქვა და გააუქმა ნორმის არაკონსტიტუციური გამოყენება, რითაც ფაქტობრივად დაადგინა ახალი ნორმატიული შინაარსი, ისე, რომ თავად ახალი ნორმა არ შეუქმნია.

სამივე შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო გასცდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების პოზიტიურსამართლებრივ ფარგლებს და საკუთარი ინტერპრეტაციის საშუალებით დაუმკვიდრა თავს ახალი უფლებამოსილება, შეამოწმოს ნორმის ნორმატიული შინაარსი. ამავდროულად, ამ უკანასკნელით ავტომატურად განსაზღვრა ძველი, არაკონსტიტუციური შინაარსის ნაცვლად, ნორმის ავთენტური, ახლებური გაგება და მას მბოჭავი ძალა მიანიჭა ნორმის გამოყენებისა და შემფარდების მიმართ. ნეგატიური კანონმდებლის კომპეტენციის გაზრდით, ნორმიდან ნორმატიული შინაარსის აბსტრაჰირებით, სასამართლომ პრაქტიკაში საკუთარ თავს პოზიტიური კანონმდებლის ფუნქციაც მიანიჭა.

²⁸ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის N2/3/591 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²⁹ იქვე, III, 1.

2.2. ნეგატიური კანონმდებლის ტრანსფორმირება

საკონსტიტუციო სასამართლოებმა ფუნქციური ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ კელზენის სიცოცხლეშივე განიცადეს. თანამედროვე სამყაროში კი მათი საქმიანობა დიდი ხანია ნეგატიური კანონმდებლის კომპეტენციას გასცდა, ხშირად მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გარდაქმნებს, ხანდახან საკონსტიტუციო ცვლილებებსაც კი იწვევს.³⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სცდება უბრალოდ „სასამართლოს გადაწყვეტილების“ ფარგლებს და ხშირად კონკრეტული მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის ბიძგის დატვირთვას იძენს, რაც ხშირად სახელმწიფო ორგანოებისთვის საპირისპირო იმპულსების საფუძველი ხდება და მაგალითად, პოლონეთისა და თურქეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალების შემთხვევაში, მათი „კომპეტენციური სრულყოფის“ მოტივით საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან „არასასურველი ზრუნვის“ ობიექტები ხდებიან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მთელ რიგ გადაწყვეტილებებში გამოდის არა როგორც ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის მქონე საკონსტიტუციო ორგანო, არამედ ქმნის მტკიცე სამართლებრივ ნორმებს მატერიალური გაგებით.³¹ მაგალითად, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენისას საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებელია საერთოდ გასცდეს ნორმის გრამატიკულ მოცემულობას, მის სიტყვასიტყვით ფარგლებს და სრულიად ახალი მოწესრიგება დაადგინოს. 2014 წლის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ შემოიფარგლა სადავო ნორმით განსაზღვრულ პირთა ჩამონათვალით, რომელსაც ამომწურავი სახით ადგენდა სადავო ნორმა და ამ ნორმით სარგებლობის უფლება იმ პირებსაც მიანიჭა,

³⁰ იხ., შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 292.

³¹ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 49.

რომელთაც შეიძლება ჰქონოდათ გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების კანონიერი ინტერესი.³² ამ გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო მაღალი კონსტიტუციური სტანდარტით იხელმძღვანელა, ვიდრე ამას სადავო ნორმატიული აქტი განსაზღვრავდა, გასცდა ნორმის გრამატიკულ მნიშვნელობას და ნორმის განმარტების ტელეოლოგიური მეთოდის გამოყენებით, სადავო ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე იმ პირებზეც გაავრცელა, რომლებიც ნორმის მხოლოდ პირდაპირი, სიტყვასიტყვითი განმარტებით არ მოიაზრებოდნენ ნორმით განსაზღვრული სიკეთის დაცვის ობიექტებად.³³ აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივი რეალური კონტროლი ფუნქცია შეითვისა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სულ უფრო იხრება ნეგატიური კანონმდებლის სტატუსისგან ნორმაშემოქმედისკენ, საკუთარ გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნავს მის კონსტიტუციურ მანდატს და კანონმდებლის უფლებამოსილებებისგან დისტანცირდება. სასამართლომ 2017 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მას არ გააჩნია ნორმატიული შინაარსის აქტების გამოცემის უფლებამოსილება. იგი ასრულებს კონსტიტუციით გარანტირებულ ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახალი წესრიგის დადგენას კი არ ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობასა და ქმედითობას. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატს სცდება უფლებამოსილება, ძალადაკარგული სამართლებრივი ნორმების ნაცვლად, კანონმდებლობაში დაადგინოს განსხვავებული, თუნდაც კონს-

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

³³ ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 344.

ტიტუციური წესები.³⁴ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული, საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტების/მისი ნაწილების სამართლებრივი ძალის გაუქმების უფლებამოსილება.³⁵

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მიდგომა ერთგვარ წინააღმდეგობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში დამკვიდრებული მიდგომები ხშირად არა მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობისა და სამართლებრივი დაცვის მიზანს ემსახურება, არამედ კონსტიტუციასთან შესაბამისი ახალი სამართლებრივი წესრიგის დადგენას. მიღებულ გადაწყვეტილებებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ხშირად თავად საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსია, რასაც სასამართლო დავის საგანს უკავშირებს. „აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის, მისი კომპეტენციის გაანალიზება. მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატისა და კომპეტენციის დადასტურების შემდგომ იქნება შესაძლებელი საქმის გარემოებებზე მსჯელობა და სასარჩელო მოთხოვნის შეფასება.“³⁶ საკუთარ სტატუსზე ხაზგასმით, საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს არ შევიდეს იმ საკითხების შინაარსობრივ განხილვაში, რომლებიც შესაძლებელია პოლიტიკურ ელფერს ატარებდნენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როცა სასამართლომ ვერ შეძლო ადამიანის ძირითადი უფლების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე გაბედული გადაწყვეტილების მიღება და არ დააკმაყოფილა მოქალაქის სარჩელი. კერძოდ, 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე და სადავო ნორმით

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 20.

³⁵ იხ., იქვე, 21.

³⁶ იქვე, 13.

განსაზღვრული პირები არსებითად თანასწორი სუბიექტები იყვნენ,³⁷ თუმცა სასამართლომ მაინც არ დააკმაყოფილა სარჩელი პროცესუალური მოტივით. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებას თან ახლავს ორი მოსამართლის თანმხვედრი და ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრი. საკონსტიტუციო სასამართლო შეფასებით, მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებისკენ, არამედ ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ. აღნიშნული მოთხოვნა შინაარსობრივად კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის გაკეთების იდენტურია, რაც კანონშემოქმედებითი პროცესის ნაწილია და არა ნეგატიური კანონმდებლის კომპეტენციის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი.³⁸ თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო გაბედულად იმოქმედა და საკუთარი პროცესუალური უფლებამოსილების ფართოდ განმარტების გზით გადაწყვეტილება მაინც მიიღო.³⁹ კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არარელევანტურად მიიჩნია უზენაესი სასამართლოს მიერ კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული კონსტიტუციის ნორმა და საკუთარი ინიციატივით შეცვალა სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული მოქმედებით საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიწვია იმის შესაძლებლობა, რომ

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, 19.

³⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 24.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

ძალაში დარჩენილიყო სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმა, რომლის მოქმედებასაც შეეძლო შეელახა სხვა პირთა უფლებები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება, შემოწმოს ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, არ არის თავისუფალი საფრთხეებისა და რისკებისაგან. ამიტომ თავად საკონსტიტუციო სასამართლოც ცდილობს, არ გასცდეს მისი, როგორც ნეგატიური კანონმდებლის, მანდატს და მკაცრად დაიცვას მიწნა ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებასა და ნორმაშემოქმედებას შორის. ამ მხრივ, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის დადგენილების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებისკენ, არამედ ნორმიდან კონკრეტული სიტყვების ამოღების მიზნით, ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ, არსებული შინაარსის გაფართოებისკენ.⁴¹ სასამართლოს შეფასებით, მსგავსი მოთხოვნა „შინაარსობრივად კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის გაკეთების იდენტურია, რაც კანონშემოქმედებითი პროცესის ნაწილია და არა ნეგატიური კანონმდებლის კომპეტენციის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი“⁴².

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის № 2/1/743 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ ქათამაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

⁴¹ იხ., იქვე, 12.

⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 24.

IV. საკონსტიტუციო კონტროლის გამოწვევები

1. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მბოჭავი ძალა

კონსტიტუციის განმარტების გზით საკონსტიტუციო სასამართლო როგორც „კონსტიტუციურობის“ სტანდარტს ქმნის,⁴³ ისე პრეცედენტული პრაქტიკით შეიმუშავებს იმ ძირითად მიმართულებებსა და საქმიანობის ფარგლებს, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მისდიონ კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. კონსტიტუციის ერთადერთ ავთენტურ, ამასთან, ზოგადსავალდებულო განმარტებას საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს,⁴⁴ რაც პოზიტიურ ნორმაშემოქმედებას უახლოვდება.⁴⁵ კონსტიტუციის ოფიციალური ინტერპრეტაციის უფლება, კონსტიტუციის ნორმებისთვის შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს ფაქტობრივად „თანაკანონმდებლად“ აქცევს, არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ გარკვეულწილად პოზიტიური გაგებითაც.⁴⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისთვის მბოჭავი ძალა აქვს და იგი პირდაპირი ეფექტის მქონეა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია და მას სხვა რომელიმე ორგანოს მხრიდან რაიმე აქტის გამოცემა არ სჭირდება. იგი უფლებამოსილია, განმარტოს ნორმის შინაარსი და გამოორიცხოს მისი არაკონსტიტუციური მნიშვნელობით გამოყენება. საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ არა მხოლოდ

43 Safta M., Developments in the Constitutional Review, Constitutional Court between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator, Perspectives of Business Law Journal, Vol.1, No.1, November 2012, 2-3.

44 Rupp H.G., Judicial Review in the Federal Republic of Germany, The American Journal of Comparative Law, Vol.9, No.1, 30.

45 Dürr S.R., Comparative Overview of European Systems of Constitutional Justice, International Constitutional Law Journal, Vol.5, No.2, 2011, 171.

46 იხ., Safta M., Developments in the Constitutional Review, Constitutional Court between the Status of Negative Legislator and the Status of Positive Co-Legislator, Perspectives of Business Law Journal, Vol.1, No.1, November 2012, 1.

გააუქმა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისათვის განსაზღვრული სანქცია – შვიდიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, არამედ, ზოგადად, ასეთი ქმედებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.⁴⁷

კონსტიტუციის ოფიციალურ განმარტებაზე ერთგვარი ექსკლუზიური უფლებამოსილების მიუხედავად, ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის შინაარსის იდენტიფიცირებას. ნორმის შინაარსის დადგენისას სასამართლო ეყრდნობა სხვადასხვა საშუალებას, მათ შორის, მხარეთა მოსაზრებებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ ნორმის გამოყენების დამკვიდრებულ პრაქტიკას, ან ნორმის განმარტების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით თავად ახდენს მის ინტერპრეტაციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის შინაარსის იდენტიფიცირებისთვის, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას, რადგან სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობს საერთო სასამართლოების მიერ ნორმის განმარტების ერთგვაროვანი პრაქტიკით და როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.⁴⁸ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა მოქმედებდეს ნორმის

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე, „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 16.

არსებული შინაარსობრივი მასშტაბის ფარგლებში, მასში ჩადებული ნამდვილი აზრის დადგენისა და განმარტების მიზნით და მოერიდოს ნორმისთვის ახალი შინაარსის მინიჭებას, რაც კანონმდებლის პოზიტიური ვალდებულებაა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ შედის საერთო სასამართლოების გადანყვეტილების შეფასებაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე გადანყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებაზე არ აქვს ნამსჯელი. იგი ერთგვარ ვარაუდებს აყალიბებს, რითაც ცდილობს, საერთო სასამართლოების მიერ გადანყვეტილებაში ჩამოყალიბებული ლოგიკის პრიზმაში შეხედოს სადავო ნორმის ცალკეულ ასპექტებს და ლოგიკური ინტერპრეტაციით შეავსოს ნორმის ცალკეული განზომილებები. ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ მითითებულ გადანყვეტილებაში არ არის წარმოდგენილი მსჯელობა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს გონივრულ ვადად. აღნიშნული მეტყველებს, რომ საკითხი, რამდენად არის დაცული (დარღვეული) გონივრული ვადა, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ყველა იმ რელევანტური გარემოების მხედველობაში მიღებითა და შესწავლით, რაც მის განსაზღვრასთან არის კავშირში“⁴⁹.

საერთო სასამართლოების, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მუდმივად იცვლება და შესაძლოა, დროის განსხვავებულ პერიოდში ამ უკანასკნელმა სადავო ნორმის შინაარსი სხვადასხვაგვარად განმარტოს.⁵⁰ არსებობს კი ასეთ შემთხვევაში მოსარჩელისათვის დამაჯერებელი გარანტია, რომ არ შეიცვლება ნორმის შინაარსი და დაცული იქნება მოსარჩელის ინტერესი იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სადავო ნორმას სხვადასხვა მნიშვნელობით განმარტავენ? ერთ-ერთ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთს

⁴⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/2/656 გადანყვეტილება საქმეზე „სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 21.

⁵⁰ იხ., იქვე, 7.

შეადარა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის, განმარტებები სადავო ნორმის შინაარსთან მიმართებით და არსებული წინააღმდეგობის გამო გაოცება ვერ დამალა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში გაუგებარია საქართველოს პარლამენტის პოზიცია. „თუ კანონმდებლის მიზანს არ წარმოადგენდა სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედების რვიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დასჯა, მაშინ რატომ არ შეცვალა და საკმარისი სიცხადით არ ჩამოაყალიბა საკუთარი ნება მას შემდეგ, რაც საერთო სასამართლოებმა ამ ნორმას, პარლამენტისვე განმარტებით, სხვა შინაარსი შესძინეს?! თუკი სამართალშეფარდების პროცესში კონკრეტული ნორმა კანონმდებლის ნებისგან განსხვავებულად განიმარტება, კანონმდებელსვე შეუძლია ამ ნორმის ისეთი სახით მოდიფიცირება, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს მის ნებას.“⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი ამ კითხვაზე, საერთო სასამართლოების პრაქტიკის ერთგვაროვნებიდან გამომდინარეობს. მისი განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების საბოლოო, უზენაესი ინსტანციაა, რომელიც საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებს ამონმებს კანონიერების თვალსაზრისით. ამ მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლო ასრულებს უმნიშვნელოვანეს საკონსტიტუციო ფუნქციას, ხელს უწყობს კანონის განმარტების სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო ორგანო, საერთო სასამართლოების სისტემაში

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 41.

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 14.

კანონის განმარტების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციაა. შესაბამისად, მის მიერ ნორმის განმარტება ამ უკანასკნელის შინაარსის გაგების წყაროდ უნდა ჩაითვალოს.⁵³

2. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პოლიტიკის შემქმნელი სახელმწიფო ორგანო

საკონსტიტუციო სასამართლო, „თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ზოგადად, ორ მიზანს ემსახურება – ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფას (ხელშეწყობას) და ადამიანის უფლებების დაცვას ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისაგან (უფლების დარღვევისაგან).“⁵⁴ თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებები უკვე გასცდა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით სამართლებრივ ეფექტს და სამართლის პოლიტიკის ასპექტებიც მოიცვა. ვერც საკანონმდებლო ხელისუფლება ეგუება მის ბუნებრივ ოპონენტს, რომელიც ე.წ. ნეგატიური კანონმდებლის როლით პარლამენტის გამგებლობის სფეროში იჭრება.⁵⁵ ამდენად, პარლამენტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის ანტაგონისტური ურთიერთობა ურთიერთგანპირობებულია. ამ ფონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ფაქტობრივად სცდებიან მისი, როგორც მხოლოდ ე.წ. ნეგატიური კანონმდებლის საკონსტიტუციო მანდატს, კიდევ უფრო ამძაფრებს წინააღმდეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებას საკანონმდებლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. ამის

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 16.

⁵⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

⁵⁵ ხეცუურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 282.

ბუნებრივი საფუძველი იმთავითვე არსებობს ხელისუფლების ამ შტოების ლეგიტიმაციის წყაროების გამო – პარლამენტი უშუალოდ ხალხისგან იღებს ლეგიტიმაციას, ხოლო ხელისუფლების სხვა შტოებისა და მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს, ფორმირებას სწორედ პარლამენტი ახდენს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელი ორგანოს, სახე ყველაზე ნათლად ჩანს სასჯელთა კონსტიტუციურობის შეფასებასთან დაკავშირებულ საქმეებში. საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით უდგება სასჯელთა კონსტიტუციურობის შეფასებას, თუმცა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს სასჯელთა პროპორციულობასა და მის კონსტიტუციურობაზეც უწევს მსჯელობა. სასამართლო აღნიშნავს, რომ „ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა, სახდელის დაწესება და მისი სიმძიმის განსაზღვრა სახელმწიფოს (კანონმდებლის) ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს“⁵⁶. მიუხედავად ამისა, კანონმდებლის ასეთი ფართო დისკრეტია უსაზღვრო არ არის და იშვიათ შემთხვევებში კონკრეტული ქმედებისთვის დაწესებული სასჯელი შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი საკონსტიტუციო სასამართლოში.⁵⁷

სასჯელების კონსტიტუციურობის შეფასებას საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება, რათა კანონმდებლის კომპეტენციაში არ შეიჭრას. „საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს სასჯელთა პოლიტიკა იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მისი შედეგი ადამიანის ამა თუ

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები - დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 8.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 26.

იმ უფლების დარღვევაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სასჯელის ყველა ზომის კონსტიტუციურობაზე პოტენციურად მსჯელობაუნარიანია. ასეთი მიდგომა დაარღვევდა ბალანსს სასამართლოს და კანონმდებლის კომპეტენციებს შორის, შექმნიდა ცდუნებას, მართლმსაჯულებამ ჩაანაცვლოს კანონმდებელი. თუმცა ამ სფეროში შესვლისას სასამართლოს სიფრთხილე უსაფუძვლო და უადგილო გახდება, როდესაც სასჯელის ზომა ამკარად არაგონივრული და არაპროპორციულია. სასამართლო უფლებამოსილია და ვალდებულიც, შეაფასოს იმ სასჯელთა კონსტიტუციურობა, რომელთა არაადეკვატურობის, არაპროპორციულობის დონე მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს, დისბალანსი მკაფიოდ, მკვეთრად გამოხატულია. რადგან ასეთ შემთხვევაში სასჯელი სცდება თავის მიზნებს და გაუმართლებლად ზღუდავს კონსტიტუციურ უფლებებს“.⁵⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია არა მხოლოდ კონკრეტული ნორმატიული შინაარსი დაეკარგოს ნორმას, არამედ ახალი ნორმა-პრინციპი დადგინდეს და იგი, ასევე, გავრცელდეს, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლში გაფანტული, ინკრიმინირებული კონკრეტული ქმედების მიმართ.⁵⁹ საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁶⁰, სადაც მოსარჩელისთვის პრობლემა იყო არა ზოგადად ნარკოტიკული საშუალებები, არამედ გამომშრალი მარიხუანის მხოლოდ შეძენა/შენახვისთვის (და არა სადავო მუხლით აკრძალული ნებისმიერი ქმედებისთვის) პასუხისმგებლობის სახით 7-იდან 14 წლამდე

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 34.

⁵⁹ ჯავახიშვილი პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 342.

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თავისუფლების აღკვეთა.⁶¹ ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლო გაცდა ნეგატიური კანონმდებლისთვის დადგენილ ფარგლებს და არაკონსტიტუციურად სცნო კონკრეტულ დანაშაულზე სასჯელის გამოყენება, როცა დავის საგანი სასჯელის პროპორციულობას შეეხებოდა, რითაც კონკრეტული მიმართულებით სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის ჩამოყალიბებას მისცა მნიშვნელოვანი ბიძგი და თავად შექმნა მისი ფორმირების ერთ-ერთი პრინციპი.

V. დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ძალაუფლების გამიჯვნის სისტემასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით სულ უფრო იზრდება. კონსტიტუციის ნორმების ინტერპრეტაციისას საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ სამართლებრივ ფუნქციას ასრულებს, არამედ, ფაქტობრივად, პოლიტიკას ქმნის, ერთვება პოლიტიკურ პროცესში, ამ უკანასკნელის ყველაზე ფართო გაგებით.⁶² თუმცა რაც უფრო იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს სამოქმედო არეალი, პირდაპირპროპორციულად მატულობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ არაერთგვაროვანი შეფასებები, რასაც, ხშირ შემთხვევაში, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის №3/1/708,709,710 განჩინება საქმეზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის და 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო“.

⁶² იხ., Arnaiz A.S., *Constitutional Jurisdiction in Europe: Between Law and Politics*, Maastricht Journal, Vol.111, 1999, 118.

მიერ ახალი პრაქტიკის დამკვიდრება განაპირობებს: მის მიერ ცალკეულ შემთხვევაში დამკვიდრებული მიდგომები წინააღმდეგობრივი ასპექტებით ხასიათდება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან მიმართებით და სრულიად ახალ განზომილებებს იძენს საკონსტიტუციო კონტროლის პროცესში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დროთა განმავლობაში სულ უფრო მრავალფეროვან მიმართულებებს იძენს. თვალშისაცემია ის ტენდენცია, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი უფლებამოსილების გაფართოების მიმართულებით ამკვიდრებს. რიგ გადანყვებილებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, დამატებითი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნის გარეშე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების შემოქმედებითი ინტერპრეტაცია დაადგინა და შესაბამისად, კომპეტენციური ტრანსფორმაცია განიცადა, რითაც ფაქტობრივი რეალური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. მის მიერ მიღებული არაერთი გადანყვებილებით სასამართლომ არა მხოლოდ ძალადაკარგულად ცნო არაკონსტიტუციური ნორმები, არამედ გააჩინა ეჭვი, რომ გასცდნენ ეგატიური კანონმდებლის საკონსტიტუციო მანდატის ფარგლებს და ახალი სამართლებრივი მონესრიგების დადგენით პოზიტიური კანონმდებლის ფუნქცია შეიძინა, რაც მნიშვნელოვანი განა-ცხადია საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განვითარების მიმართულებით და ძალაუფლების გამიჯვნის ქართულ მოდელში სრულიად ახალ პერსპექტივებს სახავს.

გარანტირებული სიმძლავრე: სამართლებრივი მოწესრიგება და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

მაკა ფარცვანია*

I. შესავალი

ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება, რაც ეროვნული ღირებულებების დაცვის და ეროვნული ინტერესების განხორციელების უზრუნველყოფას, ენერგიის სხვადასხვა სახეების საკმარისი რაოდენობით, უწყვეტად, ხარისხიანად და მისაღებ ფასად მიწოდებას ემსახურება.¹ ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკის დარგის პრიორიტეტებსა და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.²

ენერგეტიკული უსაფრთხოება ენერგეტიკის პოლიტიკის მთავარი მიზანია, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების სრულფასოვან და დროულ გაცნობიერებას და შემდგომ გარკვეული ქმედებების განხორციელებას გულისხმობს.³ ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია და განპირობებულია ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით და საგარეო პოლიტიკური

* სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი.

¹ „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის N3785-III დადგენილება.

² იქვე.

³ მარგველაშვილი მ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების მიმართულებები;

იხ., <<http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2580.pdf>> [13.98.2018]

მდგომარეობით.⁴ გარანტირებული სიმძლავრე სწორედ ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში განსახილველი კატეგორიაა, რომელიც საქართველოში, ენერგეტიკის სამართლის მთელი მიმართულების მსგავსად, სრულიად დაუმუშავებელი და აკადემიური თვალსაზრისით, განუვითარებელია. სტატიის მიზანია გარანტირებული სიმძლავრის არსის, მისი სამართლებრივი მოწესრიგების ანალიზი და მასთან დაკავშირებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმოხილვა.

II. გარანტირებული სიმძლავრის ცნების არსი

„საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 6 ივლისის კანონით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2010 წლის 1 სექტემბრიდან გარანტირებული სიმძლავრე ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის, უსაფრთხოების და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტია.⁵ გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისა და შესაბამისი წყაროების მიერ ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდისა და უზრუნველყოფილი სიმძლავრის ოდენობის განსაზღვრა საქართველოს მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება.⁶ აგრეთვე, მთავრობა ადგენს გარანტირებული სიმძლავრის საფასურის განსაზღვრის პრინციპებს, მის განსაზღვრაზე უფლებამოსილ ორგანოს და ამ საფასურის ანაზღაურების კონკრეტულ სამართლებრივ, ტექნიკურ და კომერციულ პირობებს.⁷ მთავრობავე განსაზღვრავს იმ კვალიფიციურ სანარმოებს, რომლებიც ვალდებული იქნებიან, აღნიშნული საფასურის ანაზღაურება უზრუნველყონ.⁸

⁴ Heffron R.J., *Energy Law: An Introduction*, SpringerBriefs in Law, 2015, 39.

⁵ „საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლი.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გარანტირებული სიმძლავრის არსებობა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო და უსაფრთხო ფუნქციონირებას განაპირობებს. გარანტირებული სიმძლავრე ელექტროსისტემის სტაბილური ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა და სწორედ გარანტირებული სიმძლავრის წყაროების არსებობით აღმოიფხვრება ელექტროენერგიის დროებითი დეფიციტი.⁹

III. გარანტირებულის სიმძლავრით ვაჭრობა

გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, ბაზრის ოპერატორის წინადადების საფუძველზე, ამტკიცებს სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“.¹⁰ სხვადასხვა ენერგეტიკული მომსახურებისთვის დადგენილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. კერძოდ, სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ შემუშავებულია გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რაც წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული სახელშეკრულებო პირობებია, რომლებსაც სს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“ უდგენს გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ იმ კვალიფიციურ სანარმოს, რომელიც მონაწილეობს ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით საბითუმო ვაჭრობაში ან ვალდებულია, შეისყიდოს გარანტირებული სიმძლავრე.¹¹ ბაზრის ოპერა-

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/9/745 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁰ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-2 მუხლი.

¹¹ იქვე, მე-20; სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2014 წლის 14 აგვისტოს N30/2 გადაწყვეტილება.

ტორის მიერ გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა განპირობებულია იმით, რომ მას აქვს ფაქტობრივი, დროში განერილი ინფორმაცია (მონაცემები) ელექტროენერგიის მოთხოვნისა და არსებული სიმძლავრეების შესახებ¹².

სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ“, ასევე, შეიმუშავა გარანტირებული სიმძლავრის ყიდვის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები¹³. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გადაცემის მომსახურების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს კი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა“ („საქრუსენერგო“) ან შპს „ენერგოტრანსი“ უდგენს ყველა იმ შესაბამის კვალიფიციურ სანარმოს, რომელიც მონაწილეობს ქვეყნის შიგნით ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში, სარგებლობს შესყიდული ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებით, ან გადაცემის შესაბამისი პირდაპირი ხელშეკრულება არ გააჩნია.¹⁴ ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიდგომა, კერძოდ, გარანტირებული სიმძლავრე განიხილება როგორც საქონელი¹⁵ და ის გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით¹⁶.

გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ.¹⁷ გარანტირებული სიმძლავრე იმყოფება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის განკარგუ-

¹² Harris C., *Electricity Markets. Pricing, Structures and Economics*, UK, 2006, 69.

¹³ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2014 წლის 14 აგვისტოს N30/4 გადაწყვეტილება.

¹⁴ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2014 წლის 22 აგვისტოს N31/5 გადაწყვეტილება.

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁶ იქვე, 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ც“ ქვეპუნქტი.

¹⁷ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-20 მუხლი.

მაკა ფარცვანია, გარანტირებული სიმძლავრე

ლებაში და გამოიყენება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდება/მოხმარების დასაბალანსებლად.¹⁸ გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვას და შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის საფასურის ანაზღაურებას სისტემის კომერციული ოპერატორი ახორციელებს.¹⁹ გარანტირებული სიმძლავრის საფასური უნაზღაურდებათ მხოლოდ იმ გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს და მხოლოდ იმ პერიოდში, რომელთა მზადყოფნაც დადასტურებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ.²⁰ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური არ უნაზღაურდება რიგ შემთხვევებში, მათ შორის, როდესაც გარანტირებული სიმძლავრის წყარო შეკეთების ან რემონტის პერიოდში იმყოფება, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ის ტესტირების დროს ვერ უზრუნველყოფს სისტემასთან სინქრონიზაციას, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის ალბას და/ან შენარჩუნებას დადგენილი პირობებისა და ვადების შესაბამისად, ასევე, ავარიული გაჩერების შემთხვევაში.²¹

IV. გარანტირებული სიმძლავრის წყაროები

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, მათ მიერ ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდი და უზრუნველყოფილი სიმძლავრის ოდენობა.²² თავდაპირველად გარანტირებული სიმძლავრის წყაროებად განისაზღვრა შპს „მტკვარი ენერგეტიკა“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ და სს „ენერჯი ინვესტი“, ხოლო დღეის მდგომარეობით გარანტირებული სიმ-

¹⁸ იქვე, მე-18 მუხლი.

¹⁹ იქვე, მე-20 მუხლი.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილება.

ძლავრის წყაროებია: შპს „მტკვარი ენერჯი“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, შპს „ჯიფაუერი“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური“.²³

თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის საფასური დადგენილია სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2008 წლის 4 დეკემბრის N33 დადგენილებით. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს განეკუთვნება თბოსადგური ან თბოელექტროსადგურები, რომლებიც კანონმდებლობით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს აკმაყოფილებენ. კერძოდ, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს, ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად, უნდა შეედლოს გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია არა უმეტეს 25 წუთისა და მოთხოვნილი სიმძლავრის აღება არა უმეტეს მომდევნო 35 წუთისა ან გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია არა უმეტეს 24 საათისა და მოთხოვნილი სიმძლავრის აღება არა უმეტეს მომდევნო 12 საათისა.²⁴ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნა შესაძლებელია შემონმდეს ტესტირების გზით, რომელიც ადასტურებს მის მზადყოფნას ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.²⁵ ტესტირება ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ან გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნით.²⁶ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მოთხოვნით გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება უნდა ჩატარდეს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.²⁷ ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტესტირების დროს გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა იმიჯნება შესაბამის საანგარიშო პერიოდში ჯამური გამომუშავებისგან.²⁸ გარანტირებული სიმძლავრით უზ-

²³ იქვე.

²⁴ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-17 მუხლი.

²⁵ იქვე, მე-19¹ მუხლი.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

რუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არის გარანტირებული სიმძლავრის შესაბამისი წყარო.²⁹

V. გარანტირებული სიმძლავრის საფასური

თბოელექტროსადგურები საქმიანობენ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ გაცემული ლიცენზიითა და ორგანაკვეთიანი ტარიფით. თითოეული გარანტირებული სიმძლავრის საფასური დადგენილია „ელექტროენერგიის ტარიფის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის N33 დადგენილებით.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ“ 2016 წლის 22 ივნისის კანონით, ცვლილება შეეხო ორ მუხლს, კერძოდ, კანონის მე-2 მუხლის „ჰ¹³“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და 43¹-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა 2¹ და 2² პუნქტები და მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციის თანახმად, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მთლიანი მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯები აისახებოდა გარანტირებული სიმძლავრის საფასურში. ამგვარი მიდგომა მყარ ფინანსურ და სამართლებრივ გარანტიებს უქმნიდა ახლად აშენებულ გენერაციის ობიექტებს (თბოელექტროსადგურებს), რომლებსაც საქართველოს მთავრობა, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრავდა გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ“ 2016 წლის 22 ივნისის საქართველოს კანონმა ეს მიდგომა არ შეცვალა, მისი მიზანი იყო მხოლოდ გარანტირებული სიმძლავრის მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების განაწილების ახალი წესის შემუშავება.

²⁹ იქვე, 22-ე მუხლი.

გარანტირებული სიმძლავრის საფასურს იხდის საბითუმო ბაზრის მონაწილე ყველა ის სუბიექტი, რომელიც ელექტროენერგიის მყიდველია. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ოქტომბრის თვემდე გარანტირებული სიმძლავრის წყაროები იყვნენ მხოლოდ ძველი თბოელექტროსადგურები (შპს „მტკვარი ენერგეტიკა“, შპს „საქართველოს საერთაშორისო კორპორაცია“ და შპს „ჯი ფაუერი“),³⁰ რომელთა ჯამურ დანახარჯებშიც მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების წილი მაღალი არ იყო, ვინაიდან აქტივების დარჩენილი საექსპლოატაციო ვადის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად იყო შემცირებული კაპიტალური დანახარჯებიც. შესაბამისად, ბოლო სამი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის საბითუმო მყიდველების მიერ 1 კვტ/სთზე გადასახდელი გარანტირებული სიმძლავრის საფასური 0.6 თეთრს არ აღემატებოდა³¹.

2015 წლის ნოემბრის თვიდან გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი მიენიჭა შპს „გარდაბნის თბოსადგურს“,³² რომელიც ახალი ინვესტიციის შედეგად შეიქმნა და, შესაბამისად, მისთვის დადგენილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა საშუალოდ 3,5-ჯერ გაზარდა საბითუმო ბაზრის მონაწილე სუბიექტების მიერ გადასახდელი გარანტირებული სიმძლავრის საფასური, რაც მძიმე ტვირთად დააწვა კონკრეტული სეგმენტის მომხმარებლებს – ექსპორტიორებსა და პირდაპირ მომხმარებლებს.³³

³⁰ „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილება.

³¹ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის N33 დადგენილება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“.

³² „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბერი N496 დადგენილება.

³³ „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის

კანონის ცვლილების მიზანი იყო გარანტირებული სიმძლავრის საფასურის რეგულირებაში ცვლილებების შეტანა იმისათვის, რომ სამართლიანად გადანაწილებულიყო გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯები გარანტირებული სიმძლავრის საფასურსა და ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს შორის. ხარჯების სამართლიანი გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა, რომელიც კანონის მაშინდელი მოქმედი რედაქციით გენერაციის ობიექტს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსს ანიჭებდა, მუდმივი ფიქსირებული დანახარჯების გარანტირებული სიმძლავრის საფასურსა და ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს შორის განაწილების პროპორციას განსაზღვრავდა.

კანონის ცვლილების შესაბამისად, მე-2 მუხლის „ჰ¹³“ პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი იყო, რათა საქართველოს მთავრობას ჰქონოდა შესაძლებლობა, განესაზღვრა სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ დადგენილი მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების ის პროცენტული წილი, რომლის ანაზღაურებაც გარანტირებული სიმძლავრის საფასურით უნდა განხორციელდეს. ასევე, კანონის 43¹-ე მუხლის მე-2¹ პუნქტის შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების შეფასება და განსაზღვრა ხორციელდება სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თუ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ განსაზღვრული მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების გარანტირებული სიმძლავრის საფასურში ნაწილობრივ

4 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 22 ივლისის N16 დადგენილება.

ასახვის თაობაზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასურში სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ შეფასებული და დადგენილი მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯები აისახება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროპორციით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფში. კანონმდებლობით, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფში აისახება ხორციელდება სპეციალური კანონითა და ტარიფების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული წესით. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფში აისახება უშუალოდ ელექტროენერგიის წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯები, აგრეთვე, მუდმივი (ფიქსირებული) დანახარჯების ის ნაწილი, რომლის ასახვაც არ მოხდა გარანტირებული სიმძლავრის საფასურში.³⁴

VI. შპს „ჯორჯიან მანგანუზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასა და საფასურის გადახდასთან დაკავშირებით, თუმცა მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბერის №2/9/745 გადაწყვეტილება საქმეზე, შპს „ჯორჯიან მანგანუზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

2017 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ არ დააკმაყოფილა „შპს ჯორჯიან მანგანუზის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელე ითხოვდა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლის მე-9 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (საკუთრების უფლება) და 30-ე მუხლის მე-2

³⁴ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 43¹-ე მუხლის, მე-3 პუნქტი.

პუნქტთან (სამეწარმეო თავისუფლება) მიმართებით. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულია სხვადასხვა სუბიექტის, მათ შორის, ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლების, მიერ ელექტროენერგიის გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვისა და მისი საფასურის გადახდის ვალდებულება.

გარანტირებული სიმძლავრე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული სიმძლავრეა, რომელიც ელექტროენერგიის დროებითი დეფიციტის შესავსებად გამოიყენება. იმ შემთხვევებში, როდესაც სისტემაში არ არის საკმარისი სიმძლავრე, რთავენ თბოელექტროსადგურებს და დეფიციტი შედარებით ძვირადღირებული ელექტროენერგიით ივსება. გარანტირებული სიმძლავრის საფასური კი არის თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის საფასური. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გარანტირებული სიმძლავრის წყაროების არსებობა და მათი საშუალებით ელექტროენერგიის დროებითი დეფიციტის აღმოფხვრა, ელექტროსისტემის სტაბილური ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა და შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრის შენახვის ხარჯების ელექტროენერგიის მომხმარებლებზე გადანაწილება ელექტროსისტემის ფუნქციონირების აუცილებლობით არის განპირობებული. გარანტირებული სიმძლავრის შენახვის საფასური, როგორც გამართული ელექტროენერგეტიკის სისტემის არსებობისათვის აუცილებელი ხარჯი, მოხმარებული ელექტროენერგიის ფასის ნაწილია. ხსენებულ საფასურს ელექტროენერგიის ზოგიერთი მომხმარებელი (მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომხმარებელი) ელექტროენერგიის ტარიფში ასახული ფორმით იხდის, ზოგი კი (მაგალითად, პირდაპირი მომხმარებელი) –განცალკევებულად. ამდენად, სასამართლომ არ მიიჩნია არაგონივრულად ხსენებული საფასურის მოხმარებული ელექტროენერგიის პროპორციულად გადახდა.

ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით,

ბაზრის ოპერატორს აეკრძალა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა მოსარჩელისთვის. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, შპს „ჯორჯიან მანგანუმა“ ვერ შეძლო გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდა, რის გამოც ბაზრის ოპერატორმა მის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი. ამასთან, ბაზრის ოპერატორმა მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, ბაზრის ოპერატორმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება მოსარჩელის მიერ, რაც 7 დღის ვადაში ვერ შესრულდა და რამაც გამოიწვია სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმება სადავო ნორმის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ არ იკვეთება გონივრული კავშირი სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობასა და მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ვადაში შეზღუდვას შორის. ასევე, აღნიშნული ვადა გავლენას არ ახდენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის 7 დღიან ვადას აწესებს.³⁵

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატები, პირდაპირი მომხმარებლები და ექსპორტიორები შეისყიდნიან გარანტირებულ სიმძლავრეს ბაზრის ოპერატორისაგან და იხდიან მის საფასურს მათ მიერ მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობის პროპორციულად. თბოელექტროსადგურების ექსპლუატაცია მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამდენად, ასევე, ბუნებრივი აუცილებლობით არის გამოწვეული გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდის საჭიროება. ეკონომიკური თვალსაზრისით, გარანტირებული სიმძლავრის შენახვის ხარჯები ელექტროენერგიის მომხმარებლამდე

³⁵<[https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-tax-and-law-brief-december-2017-geo/\\$FILE/ey-tax-and-law-brief-december-2017-geo.pdf](https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/ey-tax-and-law-brief-december-2017-geo/$FILE/ey-tax-and-law-brief-december-2017-geo.pdf) [10.07.2018]

მიწოდების საფასურის ნაწილია. გარანტირებული სიმძლავრე უზრუნველყოფს ელექტროსისტემის სტაბილურობას; გარანტირებული სიმძლავრით სარგებლობა ფაქტობრივად ელექტროენერგიით სარგებლობასთან ერთად ხორციელდება.³⁶ სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ ელექტროენერგიის გარანტირებული სიმძლავრის საფასურში გათვალისწინებულია სიმძლავრის მწარმოებელი თბოელექტროსადგურის მიერ გაწეული სხვადასხვა სახის ხარჯი³⁷. მომხმარებლების გარკვეული კატეგორია პირდაპირ იხდის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს, ნაწილი – კი ირიბად, მათთვის ეს საფასური გათვალისწინებულია ელექტროენერგიის ტარიფში. გარანტირებული სიმძლავრის წყაროებთან ანგარიშსწორებას ახორციელებს ბაზრის ოპერატორი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ ბაზრის წესები უნდა შეესაბამებოდეს გრძელვადიან ინდუსტრიულ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებასა და საიმედოობას, ასევე, ქსელის ოპერირების სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.³⁸ სიმძლავრით ვაჭრობაში მონაწილეობა ბაზრის ოპერატორისთვის არ შემოსავლის წყარო არაა. ბაზრის ოპერატორი მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას იღებს მხოლოდ მომსახურების საფასურს, რომლის ოდენობაც დადგენილია სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ.

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/9/745 გადაწყვეტილება „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁷ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 43¹-ე მუხლები.

³⁸ Restructured Electric Power Systems, Analysis of Electricity Markets with Equilibrium Models, Edited by X.P. Zhang, Canada, 2010, 101.

VII. დასკვნა

გასათვალისწინებელია, რომ გარანტირებული სიმძლავრის, როგორც ელექტროენერგიის დამატებითი რეზერვის, არსებობის აუცილებლობაზე, ასევე, მიუთითებს „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის დადგენილება. ენერგეტიკაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნად გაცხადებულია „ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერგიის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებას“. აქედან გამომდინარე, სრულიად მისაღებია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სულისკვეთება, ვინაიდან გარანტირებული სიმძლავრე და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოწესრიგება არა უბრალოდ კარგი და საჭირო მექანიზმია, არამედ აუცილებელია როგორც ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდებისთვის, ისე მთლიანად სახელმწიფო მასშტაბით ენერგო-უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.